სმარტ კაპიტალ გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მმართველობითი ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სმარტ კაპიტალ გრუპი

შინაარსი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-5
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:	
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით	23
5. შვილობილი კომპანიების შესყიდვა	25
6. ამონაგები	27
7. ამონაგების თვითღირებულება	28
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	28
9. ფინანსური ხარჯი	28
10. ძირითადი საშუალებები	29
11. საინვესტიციო ქონება	30
12. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	30
13. გაცემული სესხები	31
14. მარაგები	31
15. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	32
16. ფული და ფულის ექვივალენტები	33
17. საწესდებო კაპიტალი და დაგროვილი მოგება	33
18. ნასესხები სახსრები	34
19. გადასახდელი გადასახადები	34
20. სახელშეკრულებო ვალდებულებები	34
21. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	35
22. ფინანსური ინსტრუმენტები	35
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	39
23. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	40
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	41
25. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	41
მმართველობითი ანგარიშგება	42

სმარტ კაპიტალ გრუპი

„ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე“

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სმარტ კაპიტალ გრუპის“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობას 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის უწყვეტად ფუნქციონირების მუშაობის უნარის შეფასებაზე;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შიდა კონტროლებზე, რომლებიც ხელმძღვანელობის აზრით საჭიროა ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც არ შეიცავს არსებით უზუსტობებს, გამოწვეული იქნება ეს თაღლითობისგან თუ შეცდომისგან.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობით ანგარიშგებაში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობით ანგარიშგებაში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2029 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 8 ნოემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით

_____

რატი ღვამბერია
გენერალური დირექტორი
8 ნოემბერი 2021
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სმარტ კაპიტალ გრუპის“ აქციონერებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სმარტ კაპიტალ გრუპის“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით (ერთობლივად „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველში“ აღწერილი საკითხის ზემოქმედების შედეგისა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის 30 მარტს და არ დავსწრებივართ 2020 წლის 1 იანვარს ჩატარებულ მარაგების ფიზიკურ დათვლას. ჩვენ, ალტერნატიული საშუალებებით, ვერ დავრწმუნდით 2020 წლის 1 იანვრისთვის ფლობილი მარაგების რაოდენობაში. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთები შედის ფინანსური შედეგების გაანგარიშებაში, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ კონსოლიდირებულ წლიურ მოგებასთან და კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებთან მიმართებაში.

როგორც ეს კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მე-23 შენიშვნაშია განმარტებული ჯგუფმა გასცა ფინანსური გარანტია მეკავშირე საწარმოს მიერ მიღებულ სესხთან დაკავშირებით. ჯგუფს იმ მომენტისთვის აღნიშნული ფინანსური გარანტიის სამართლიანი ღირებულება არ დაუდგენია და არ ასახა საგარანტიო კონტრაქტის ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბერს, რაც წარმოადგენს ფასს 9 სტანდარტის, „ფინანსური ინსტრუმენტები“ დარღვევას. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფისთვის საგარანტიო კონტრაქტის რისკი 57,268 ათასი ლარით შემოიფარგლება. ჩვენ ვერ შევძელით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებებსა და კაპიტალზე და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე ამ დარღვევის ეფექტის დადგენა.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას. ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენს პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში, იმის დადგენას, ხომ არ არის არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვაგვარად არსებითი შეცდომების შემცველი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ მმართველობით ანგარიშგებაში მოცემულია არსებითად მცდარი ინფორმაცია, ჩვენ მოვალენი ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

როგორც აღნიშნულია პირობითი მოსაზრების საფუძვლის სექციაში ზემოთ, ჩვენ ვერ შევძელით, დავსწრებოდით მარაგების ფიზიკურ დათვლას 2020 წლის 1 იანვარს. ასევე, ჯგუფმა არ განსაზღვრა გაცემული ფინანსური გარანტიების სამართლიანი ღირებულება აღიარებისას და არ გაუზომავს გარანტიის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, ჩვენ არ შეგვიძლია დავასკვნათ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად არაზუსტი პირველ საკითხთან მიმართებაში და ჩვენ დავასკვენით, რომ სხვა ინფორმაცია არის არსებითად არაზუსტი თანხებთან ან სხვა საკითხებთან მიმართებაში, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში მეორე საკითხთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევარჩიეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

გარდა ჩვენი ანგარიშის კვალიფიციური დასკვნის საფუძველში აღწერილი საკითხისა, ჩვენი აზრით:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობით ანგარიშგებაში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობით ანგარიშგებაში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

სრბუჰი ჰაკობიანი
დელოიტი და ტუშის სახელით

2021 წლის 8 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

სმარტ კაპიტალ გრუპი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრისთვის დამთავრებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	6	108,137	17,242
ამონაგების თვითღირებულება	7	(80,941)	(10,848)
მთლიანი მოგება		**27,196**	**6,394**
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები		(720)	(652)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(15,085)	(11,888)
მოგება ინვესტიციაზე	5	1,532	2,229
მოგება ხელსაყრელი შესყიდვიდან	5	1,961	25,391
წილი მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების შედეგებიდან	5	5,988	8,229
სხვა შემოსავალი		374	-
სხვა ხარჯი		(388)	(504)
ფინანსური შემოსავალი		1,392	293
ფინანსური ხარჯი	9	(2,754)	(2,123)
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		(1,942)	(903)
მოგება გადასახადამდე		**17,554**	**26,466**
მოგების გადასახადის ხარჯი		(848)	(17)
წლიური მოგება		**16,706**	**26,449**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		**16,706**	**26,449**
მიეკუთვნება:			
დამფუძნებლის მფლობელებს		16,531	26,515
არამაკონტროლებელ წილს		175	(66)
		16,706	**26,449**

ხელმძღვანელობის სახელით

_____

რატი ღვამბერია

გენერალური დირექტორი

8 ნოემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-41 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრისთვის დამთავრებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	40,746	33,327
საინვესტიციო ქონება	11	4,428	1,244
აქტივის გამოყენების უფლება		1,062	1,036
არამატერიალური აქტივები		182	65
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	12	10,064	5,699
ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში		65	494
გაცემული სესხები	13	15,786	3,285
გადახდილი ავანსები		31	57
გრძელვადიანი მარაგები	14	1,707	1,624
სულ გრძელვადიანი აქტივები		**74,071**	**46,831**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	18,651	13,140
საიჯარო აქტივი		123	187
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	15	7,504	7,597
სახელშეკრულებო აქტივები		-	204
გადახდილი ავანსები		603	766
გაცემული სესხები	13	2,714	-
ფული და ფულის ექვივალენტები	16	2,382	4,718
სულ მიმდინარე აქტივები		**31,977**	**26,612**
სულ აქტივები		**106,048**	**73,443**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	14,998	18,473
გაუნაწილებელი მოგება	17	29,675	17,940
შპს „სმარტ კაპიტალ გრუპის“ მფლობელების კუთვნილი კაპიტალი		**44,673**	**36,413**
არამაკონტროლებელი წილი		1,599	1,424
სულ კაპიტალი		**46,272**	**37,837**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	18	14,072	6,505
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	19	5,982	-
სახელშეკრულებო ვალდებულებები	20	3,179	3,336
საიჯარო ვალდებულება		1,710	972
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**24,943**	**10,813**
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	18	16,421	12,688
საიჯარო ვალდებულება		230	35
გადასახდელი გადასახადები	19	2,292	2,599
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	21	15,890	9,471
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**34,833**	**24,793**
სულ ვალდებულებები		**59,776**	**35,606**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**106,048**	**73,443**

ხელმძღვანელობის სახელით

_____

რატი ღვამბერია

გენერალური დირექტორი

8 ნოემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-41 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრისთვის დამთავრებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შეტანილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	შპს „სმარტ კაპიტალ გრუპის“ მფლობელის კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი	**18,337**	**(8,642)**	**9,695**	**27**	**9,722**
წლიური მოგება	-	26,515	**26,515**	(66)	**26,449**
წილის გადაცემა	-	-	**-**	1,463	**1,463**
დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციის მოგება	-	67	**67**	-	**67**
კაპიტალში შენატანები (შენიშვნა 17)	2,814	-	**2,814**	-	**2,814**
კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 17)	(2,678)	-	**(2,678)**	-	**(2,678)**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	**18,473**	**17,940**	**36,413**	**1,424**	**37,837**
წლიური მოგება	-	16,531	**16,531**	175	**16,706**
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	-	(4,796)	**(4,796)**	-	**(4,796)**
კაპიტალში შენატანები (შენიშვნა 17)	161	-	**161**	-	**161**
კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 17)	(3,636)	-	**(3,636)**	-	**(3,636)**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	**14,998**	**29,675**	**44,673**	**1,599**	**46,272**

ხელმძღვანელობის სახელით

_____

რატი ღვამბერია

გენერალური დირექტორი

8 ნოემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-41 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრისთვის დამთავრებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	Note	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე		17,554	26,466
შესწორებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		2,868	2,614
მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი, წმინდა	8	724	1,490
მოგება ინვესტიციაზე	5	(1,532)	(2,229)
მოგება ხელსაყრელ შესყიდვაზე	5	(1,961)	(25,391)
წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების შედეგებში	5	(5,988)	(8,229)
მარაგების რეზერვი		1,252	391
ფინანსური შემოსავალი		(1,391)	(293)
ფინანსური ხარჯი	9	2,754	2,123
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი		1,942	903
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ზარალი		(252)	6
ფულის შემოდინება(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		**15,970**	**(2,149)**
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების კლება		3,101	13,328
გადახდილი ავანსების კლება/(ზრდა)		1,096	(525)
მარაგების ზრდა		(4,786)	(679)
გადასახდელი გადასახადების კლება		(578)	(8,914)
სახელშეკრულებო ვალდებულებების (კლება)/ზრდა		(312)	1,135
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ზრდა/(კლება)		2,987	(388)
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**17,478**	**1,808**
გადახდილი პროცენტი		(1,126)	(2,239)
გადახდილი მოგებიდან გადასახადი		(624)	(8)
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან*		**15,728**	**(439)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შვილობილი კომპანიის შესყიდვა		869	(3,810)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(5,378)	(2,130)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების რეალიზაცია		754	783
საინვესტიციო ქონების შესყიდვა		(2,127)	-
გაცემული სესხების წმინდა ცვლილება		(11,689)	(1,205)
წილის გადაცემა		-	1,526
ერთობლივი საწარმოს აქციების შესყიდვა		-	(50)
მიღებული დივიდენდები		5,923	7,722
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		(4,361)	(4)
წმინდა ფულადი (გადინება)შემოდინება საინვესტიციო საქმიანობიდან		**(16,009)**	**2,832**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული შენატანი კაპიტალში	17	162	884
კაპიტალის შემცირება	17	(3,636)	(748)
გადახდილი დივიდენდები	17	(4,796)	-
ფინანსური იჯარიდან მიღებული შემოსავალი		187	199
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(152)	(331)
ნასესხები სახსრების მიღება	18	77,565	19,504
ნასესხები სახსრების დაფარვა	18	(71,386)	(17,770)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(2,056)**	**1,738**
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა კლება		(2,337)	**4,131**
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		1	5
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	16	**4,718**	**582**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		**2,382**	**4,718**

*წმინდა ფულადი შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან მოიცავს საბრუნავი კაპიტალის ცვლილებას მე-5 შენიშვნაში აღწერილი შვილობილი კომპანიების საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვის შემდეგ.

ხელმძღვანელობის სახელით

რატი ღვამბერია

გენერალური დირექტორი

8 ნოემბერი 2021
თბილისი, საქართველო
10-41 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სმარტ კაპიტალ გრუპი“ („კომპანია“) დაარსდა 2014 წლის 2 აგვისტოს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო და შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო კოდით 404444703. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია გერგეთის ქუჩა #3. კომპანია და მისი შვილობილები („ჯგუფი“) კონსოლიდირებულია ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის აქტივები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, მათ შორისაა ხუთი ძირითადი სექტორი: ენერგეტიკა და ნავთობი, უძრავი ქონების და სასტუმროების განვითარება და მენეჯმენტი, სტუმართმოყვარეობის მენეჯმენტი, ტექნოლოგია, წარმოება და ლოჯისტიკა.

ჯგუფის სტრუქტურა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

დასახელება	ჯგუფის ქვეშ შესვლის თარიღი	წილი 31 დეკემბერი 2020	წილი 31 დეკემბერი 2019	საქმიანობის ტიპი
შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენი“ და მისი შვილობილები	12 იანვარი 2018	100%	100%	წარმოება და დისტრიბუცია
შპს „სმარტ კაპიტალ სფირითსი“ და მისი შვილობილები	8 აპრილი 2014	100%	100%	წარმოება და დისტრიბუცია
შპს „სმარტ ქონსალთენსი“	26 მარტი 2019	100%	100%	საკონსულტაციო მომსახურება
შპს „კლარენ ჯორჯია“	6 აგვისტო 2014	100%	100%	მანქანების გაქირავების სერვისი
შპს „სმარტ ტრეიდინგი“	5 მაისი 2015	60%	60%	უძრავი ქონება
„რეალ ესთეით აჭარა“ და მისი შვილობილი	20 ნოემბერი 2017	100%	100%	უძრავი ქონება
„სკ რეალ ესთეით და დეველოფმენთი“ და მისი შვილობილი	8 იანვარი 2018	100%	100%	სიღნაღში მაღალი დონის სასტუმროს მშენებლობა და ოპერირება
„სმარტ ენერჯი“ და მისი შვილობილები	2 ივნისი 2017	100%	100%	საწვავის ტრანსპორტირების სერვისი და ბენზინგასამართი სადგურების გაქირავება
„სმარტ კაპიტალ ჰოსფითალითი“ და მისი შვილობილები	26 მარტი 2019	100%	100%	მაღალი დონის რესტორნების ოპერირება
შპს „ ინოვეიშენ ტექნოლოჯი“	21 მარტი 2018	100%	100%	ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისი
შპს „სმარტ კაპიტალ ტექნოლოჯი“	26 აგვისტო 2019	100%	100%	ტექნოლოგიური სერვისები
შპს „სმარტ ლოჯისტიკსი“	18 ივნისი2014	55%	55%	ლოჯისტიკა
შპს „თბილმოტორსი)	8 ივლისი 2020	100%	50%	უმოქმედო

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი პირები იყვნენ ივანე ჩხარტიშვილი, ნათია ჩხარტიშვილი და მიხეილ ჩხარტიშვილი 51%, 24.5% და 24.5% წილების შესაბამისად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი იყო მიხეილ ჩხარტიშვილი.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომლების რაოდენობა შეადგენდა 401 და 352-ს, შესაბამისად.

2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება

მიმდინარე წელს ჯგუფმა გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. მათ გამოყენებას არ ჰქონია რაიმე არსებითი ეფექტი წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

საპროცენტო განაკვეთის ბაზისის ცვლილება ფასს 9 და ფასს 7 სტანდარტების შესწორება	2019 წლის სექტემბერში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა „საპროცენტო განაკვეთის ბაზისის ცვლილება“ (შესწორება სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7). აღნიშნული შესწორებებით შეიცვალა ჰეჯირების აღრიცხვის კონკრეტული მოთხოვნები, რომელთა მიხედვით, დაშვებულია, ზეგავლენის ქვეშ მყოფი ჰეჯის აღრიცხვა გაგრძელდეს განუსაზღვრელობის პერიოდში, სანამ მოქმედი საპროცენტო განაკვეთების მოქმედების ქვეშ მყოფი ჰეჯირებული ერთეულები ან ჰეჯირების ინსტრუმენტები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ბაზისის მიმდინარე რეფორმის შედეგად. ეს შესწორებები არ ეხება ჯგუფს, რადგან იგი რისკის ქვეშ მყოფ საბაზისო საპროცენტო განაკვეთებზე ჰეჯირებას არ აღრიცხავს. შესაბამისად, აღნიშნული შესწორებების გამოყენება ზეგავლენას არ ახდენს ჯგუფის 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ბუღალტრულ აღრიცხვაზე. ამ შესწორებებით აგრეთვე შემოვიდა ფასს 7 სტანდარტით გათვალისწინებული განმარტების ახალი მოთხოვნები, რომლებიც ჰეჯირების ისეთ ურთიერთობებს ეხება, რომლებზეც ვრცელდება ფასს 9 სტანდარტის შესწორებით შემოტანილი გამონაკლისები.
კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათები შესწორება სტანდარტში ფასს 16	2020 წლის მაისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა „კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათები“ (შესწორება სტანდარტში 16), რომლითაც მოიჯარეებს მიეცა საშუალება, აღრიცხონ კოვიდ-19-ით პირდაპირ გამოწვეული ქირის დათმობა ფასს 16 სტანდარტში შეტანილი პრაქტიკული შეღავათის საშუალებით. ეს უკანასკნელი მოიჯარეს საშუალებას აძლევს, სურვილის შემთხვევაში, არ შეაფასოს, არის თუ არა კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარე, რომელიც ამ შეღავათით ისარგებლებს, კოვიდ-19-ით გამოწვეულ ქირის დათმობით მიღებული საიჯარო გადახდის ნებისმიერ ცვლილებას აღრიცხავს ფასს 16 სტანდარტის გამოყენებით, ისე, თითქოს ცვლილება იჯარის მოდიფიკაციას არ წარმოადგენდეს. ჯგუფმა გადაწყვიტა, არ გამოიყენოს კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათების მიდგომა, მან ხელახლა შეაფასა შესწორებული საიჯარო ხელშეკრულებები და დაასკვნა, რომ ისინი მოდიფიკაციას წარმოადგენს.
ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებათა შესწორებები	ჯგუფმა „ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებათა შესწორებებში“ შესული შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. ეს შესწორებები მოიცავს ზეგავლენის ქვეშ მყოფი სტანდარტების შესწორებას ისე, რომ მათში მითითება მოცემული იყოს ახალ კონცეპტუალურ ჩარჩოზე. თუმცა, მითითებები განახლებული ყველა შესწორებაში არაა. ზოგიერთი შემთხვევაში განახლება მიზნად ისახავს მხოლოდ იმის ჩვენებას, თუ კონცეპტუალური ჩარჩოს რომელ ვარიანტზეა მითითება (2001 წლის სტანდარტების საბჭოს მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ჩარჩოზე, 2010 წლის სტანდარტების საბჭოს ჩარჩოზე თუ 2018 წლის ახალ, გადამუშავებულ ჩარჩოზე) ან იმის ჩვენებას, რომ სტანდარტში მოცემული განსაზღვრებები არ განახლებულა კონცეპტუალური ჩარჩოს გადამუშავებული ვარიანტის შესაბამისად. შესწორებები ეხება სტანდარტებს ფასს 2, ფასს 3, ფასს 6, ფასს 14, ბასს 1, ბასს 8, ბასს 34, ბასს 37, ბასს 38, ფაისკ 12, ფაისკ 19, ფაისკ 20, ფაისკ 22 და სიკ-32.
შესწორება სტანდარტში ფასს 3 - ბიზნესის განსაზღვრება	ჯგუფმა ფასს 3 სტანდარტის შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები განმარტავს, რომ თუმცა ბიზნესს ჩვეულებრივ ახასიათებს პროდუქტის წარმოება, პროდუქტის არსებობა არ არის აუცილებელი პირობა, რომ საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირებული კომპლექტი ბიზნესად ჩაითვალოს. იმისათვის, რათა აქტივებისა და საქმიანობათა შეძენილი კომპლექტი ბიზნესად ჩაითვალოს, მასში მოცემული უნდა იყოს, სულ მცირე, შემავალი მასალა და არსებითი ხასიათის პროცესი და ეს ორივე მნიშვნელოვნად უნდა აფართოებდეს პირის უნარს, შექმნას პროდუქტი. შესწორებებით უქმდება იმის შეფასების აუცილებლობა, აქვთ თუ არა ბაზრის მონაწილეებს უნარი, ჩაანაცვლონ არარსებული შემავალი მასალები ან პროცესები და გააგრძელონ პროდუქტის წარმოება. შესწორებებში აგრეთვე მოცემულია დამატებითი მითითებები,

	რომლებიც პირს ეხმარება იმის დადგენაში, შეიძინა თუ არა არსებითად შინაარსობრივი პროცესი.
	შესწორებებით ანგარიშგებაში შემოდის არჩევითი კონცენტრაციის ტესტი, რომელიც გამარტივებული წესით ამოწმებს, არის თუ არა საქმიანობებისა და აქტივების შეძენილი კომპლექტი ბიზნესი. ამ ტესტის მიხედვით, საქმიანობებისა და აქტივების შეძენილი კომპლექტი ბიზნესი არაა, თუ შეძენილი მთლიანი აქტივების არსებითად მთელი სამართლიანი ღირებულება კონცენტრირებულია ერთ ხილულ აქტივში ან მსგავსი აქტივების ერთ ჯგუფში.
	შესწორებები პროსპექტიულად გამოიყენება ყველა იმ ბიზნეს-კომბინაციასა და აქტივების შესყიდვაზე, რომელთა შესყიდვის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი ან მისი შემდგომი თარიღი.
შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და ბასს 8 - არსებითობის განსაზღვრება	ჯგუფმა ბასს 1 და ბასს 8 სტანდარტებში შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები უფრო გასაგებს ხდის ბასს 1 სტანდარტში მოცემულ არსებითობის განსაზღვრებას და არ ისახავს მიზნად ფასს სტანდარტებში არსებითობის ფუნდამენტური პრინციპის შეცვლას. ახალ განსაზღვრებაში შესულია არსებითი ინფორმაციის არაარსებითი ინფორმაციით „მიჩქმალვის“ ცნება.
	არსებითობის მომხმარებელზე მოქმედი დონე შეიცვალა და „შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს“ ფრაზა ჩანაცვლდა ფრაზით „გონივრულად მოსალოდნელია, ზეგავლენა იქონიოს“.
	ბასს 8 სტანდარტში არსებითობის განსაზღვრება ჩანაცვლდა ბასს 1 სტანდარტში მოცემული არსებითობის განსაზღვრებაზე მითითებით. გარდა ამისა, თანმიმდევრულობის დასაცავად, სტანდარტების საბჭომ აგრეთვე შესწორება შეიტანა სხვა სტანდარტებსა და „კონცეპტუალური ჩარჩოს“ სხვა პარაგრაფებში, რომლებშიც იმთავითვე იყო მოცემული „არსებითის“ განსაზღვრება ან რომლებშიც გამოყენებული იყო ტერმინი „არსებითი“.

ახალი და განახლებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის ჯგუფი არ იყენებს შემდეგ ახალ და განახლებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

ფასს 17	სადაზღვევო კონტრაქტები
ფასს 10 და ბასს 28 (შესწორება)	აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის
შესწორება სტანდარტში ბასს 1	ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად
შესწორება სტანდარტში ბასს 8	სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება
შესწორება სტანდარტში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ	სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება
შესწორება სტანდარტში ფასს 3	მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე
შესწორება სტანდარტში ბასს 16	ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი
შესწორება სტანდარტში ბასს 37	მძიმე კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი
შესწორება სტანდარტში ბასს 8	საბუღალტრო შეფასებების განსაზღვრება
შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და ფასს პრაქტიკის განცხადება 2	საბუღალტრო პოლიტიკების განმარტება
წლიური შესწორებები - ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების ციკლი	შესწორებები სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ფასს 16 - იჯარა და ბასს 41 - სოფლის მეურნეობა

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ქვემოთ აღწერილია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს ჯგუფისა და მის მიერ კონტროლირებული კომპანიების ფინანსური ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც ჯგუფს:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს უფლებამოსილება, რომ გავლენა მოახდინოს მის შემოსავლებზე;

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს ინვესტირების ობიექტს და მიუთითებს თუ ახალი გარემოებები, რომ შეიცვალა ერთ ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ. როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის საქმიანობა ცალმხრივად. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

- კომპანიის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან განთავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი. საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა მათი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან. ჯგუფის შიდა ყველა აქტივი, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობა ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს შვილობილის კაპიტალის წილს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არ განეკუთვნება მშობელს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისას გაზომვის დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის ჩვეულებრივი გარიგების საფუძველზე იმის მიუხედავად, შეიძლება ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით უნდა გაიზომოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებ ის გაზომვისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამავე მახასიათებლებს გაზომვის დღეს აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების ფასდადების პროცესში. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების ანდა განმარტების მიზნებისათვის სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია ამგვარ საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება აქციებზე დაფუძნებული გადახდის ტრანსაქციებს, რომლებიც ფასს 2 სტანდარტით რეგულირდება, იჯარის ტრანსაქციებს, რომლებიც ფასს 16 სტანდარტით რეგულირდება და იმ შეფასებებს, რომლებიც

სამართლიანი ღირებულების მსგავსია, მაგრამ ასეთი არ არის, როგორიცაა ბასს 2 სტანდარტით გათვალისწინებული წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ან ბასს 36 სტანდარტით გათვალისწინებული გამოყენებული ღირებულება.

გარდა ამისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულებ ის საზომები იყოფა 1-ელ, მე-2 და მე-3 დონეებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხილულია სამართლიანი ღირებულებ ის გაზომვისას გამოყენებული მონაცემები და რა დატვირთვა გააჩნია ამ მონაცემებს მთლიანად სამართლიანი ღირებულებ ის განსაზღვრისას:

- 1-ელი დონის მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომლებზეც პირს ხელი მიუწვდება გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის მონაცემები არის პირველ დონეში შესულისგან განსხვავებული მონაცემები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ხილულია აღნიშული აქტივის ან ვალდებულების შემთხვევაში; და
- მე-3 დონის მონაცემები არის აქტივის ან ვალდებულების ისეთი მონაცემები, ხილული არ არის.

ფუნქციონირების უწყვეტობა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით რომ საწარმო ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად და სააღრიცხვო პოლიტიკები მთელ პერიოდზე თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული. განსჯისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ასევე გააანალიზა ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე.

ფუნქციონალური ვალუტა. ჯგუფის თითოეული პირის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ელემენტები შეფასებულია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც ეს პირი ახორციელებს თავის საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ჯგუფის მშობლის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, გაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. შემოსავალი და ხარჯი არ იქვითება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და ინდივიდუალურად განმარტებული ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ამონაგები. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- ჯგუფმა მყიდველს გადასცა საქონლის მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფი არ ინარჩუნებს მენეჯერულ ჩართულობას ისეთი ხარისხით, რაც ჩვეულებრივ ასოცირდება მფლობელობასთან და არ ინარჩუნებს კონტროლს გაყიდულ საქონელზე;
- შემოსავლის ოდენობის შეფასება სარწმუნოდაა შესაძლებელი;
- სავარაუდოა, რომ ტრანსაქციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს მოცემული პირი; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის შეფასება სარწმუნოდაა შესაძლებელი.

ჯგუფის შემოსავალი ძირითადად შედგება თამბაქოს პროდუქციის, ღვინის პროდუქციის გაყიდვებისგან, საწვავის ტრანსპორტირების სერვისისა და საკონსულტაციო სერვისის მიწოდებისგან. ჯგუფი პროდუქციის გაყიდვის შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება, ხოლო სერვისებისთვის, შესრულების ვალდებულება აღიარდება დროის

განმავლობაში და შემოსავლის აღიარება ხდება შესრულების პერიოდის განმავლობაში. შემოსავალს აკლდება დაბრუნებები, ფასდათმობები და სხვა მსგავსი შეღავათები.

საიჯარო შემოსავალი. საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივად, შესაბამისი იჯარის განმავლობაში. საოპერაციო იჯარის შეთანხმება-გაფორმებაში გაწეული საწყისი პირდაპირი ხარჯები ემატება საიჯარო აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება წრფივად იჯარის ვადის განმავლობაში.

სახელშეკრულებო ვალდებულებები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოადგენს კლიენტებისგან მიღებულ ავანსებს, რომელთა სანაცვლოდ საქონლის მიწოდება არ ხდება 1 წელზე ნაკლებ ვადაში. სახელშეკრულებო ვალდებულებებს ჯგუფი არიცხავს საპროცენტო ხარჯს.

იჯარა. იმას, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას, ჯგუფი ადგენს კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება აღიარდება ყველა იმ საიჯარო გარიგებაში, რომელშიც ჯგუფი გამოდის როგორც მოიჯარე. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან იჯარებს (განიმარტება, როგორც 12 თვიანი ან უფრო მოკლე ვადის იჯარა) და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებს (როგორებიცაა ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, მცირე საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საიჯარო გადასახადი აღირიცხება როგორც საოპერაციო ხარჯი წრფივად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების დღეს არ გადაიხდება. მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი იყენებს სესხის მზარდ განაკვეთს. საიჯარო ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილია განცალკევებულად. საიჯარო ვალდებულება შემდგომში აისახება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რაც მიზნად ისახავს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვას (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), და უკვე გადახდილი საიჯარო გადასახადის ასახვის მიზნით საბალანსო ღირებულების შესაბამისი შემცირებით.

ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას ხელახლა აფასებს (და გამოყენების უფლების მატარებელ შესაბამის აქტივს აკორექტირებს), თუ:

- იჯარის ვადა შეიცვალა ან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ხდომილებას ან გარემოებათა ისეთ ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ოფციონის რეალიზების შეფასების ცვლილება; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების დისკონტირებით (კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით).
- საიჯარო გადახდები შეიცვალა გარანტირებული ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი გადახდის ცვლილების ან ინდექსისა თუ განაკვეთის ცვლილების გამო; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების ძველი განაკვეთით დისკონტირებით (თუ იჯარის გადასახადის ცვლილება გამოწვეული არაა მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, რა დროსაც გამოიყენება კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი).
- მოხდა საიჯარო კონტრაქტის მოდიფიცირება და იჯარის მოდიფიკაცია არ აღრიცხულა როგორც დამოუკიდებელი იჯარა; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება მოდიფიცირებული იჯარის საიჯარო ვადაზე დაყრდნობით და კორექტირებული გადახდების ასევე კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით დისკონტირების გზით, მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღეს.

აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის აღიარებას, იჯარის დაწყების დღეს ან მანამდე გადახდილ საიჯარო გადახდებს, და აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები და საწყისი პირდაპირი ხარჯები. შემდგომში ასეთი აქტივები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. როდესაც ჯგუფს ეკისრება ისეთი ხარჯების გაწევის ვალდებულება, რაც დაკავშირებულია იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟთან და გატანასთან, მისი მდებარეობის ადგილის აღდგენასთან ან შესაბამისი აქტივის იჯარის პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში მოყვანასთან, აღიარდება რეზერვი, რომელიც ფასდება ბასს 37-ის საფუძველზე. თუ

ხარჯები აქტივის გამოყენების უფლებასთანაა დაკავშირებული, ისინი შედის შესაბამისი აქტივის ღირებულებაში, თუ ამ ხარჯების გაწევა მარაგების შექმნასთან არაა დაკავშირებული.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და შესაბამისი აქტივის მოხმარების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. თუ იჯარით ხდება შესაბამისი აქტივის საკუთრების უფლების გადაცემა ან გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის ღირებულებაში ასახულია, რომ ჯგუფი მოელის შესყიდვის ოფციონის რეალიზებას, შესაბამის გამოყენების უფლების მატარებელ აქტივს ცვეთა ერიცხება აქტივის მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის დაწყებისას. აქტივის გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია დამოუკიდებელ მუხლად. აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურების დასადგენად გამოიყენება ბასს 36. გაუფასურების გამოვლენილი ზარალი აღირიცხება „ძირითადი საშუალებების“ პოლიტიკაში აღწერილი წესით. პრაქტიკული შეღავათის სახით, ფასს 16 მოიჯარეს უფლებას აძლევს, არ დააცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და საიჯარო და შესაბამისი არასაიჯარო კომპონენტები ერთი გარიგების ფარგლებში აღრიცხოს. ჯგუფმა ამ პრაქტიკული შეღავათით ისარგებლა.

უცხოური ვალუტები. ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება პირის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაკადები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოშობილია საკურსო სხვაობით, შედის პერიოდის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31/12/2020	31/12/2019
ლარი/1 აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი/1 ევრო	4.0233	3.2095

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით.

ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა. მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი მოდელი ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ აქტივობას; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგებიდან გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგებიდან გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“. ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზამ დაკარგა ეკონომიკური მნიშვნელობა. ახალი კორპორატიული

დაბეგვრის მოდელით ბასს 12 სტანდარტით - „მოგებიდან გადასახადი“ გათვალისწინებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღარ გამოიყენება.

ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. მეკავშირე საწარმოები ის სუბიექტებია, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. მნიშვნელოვანი ზეგავლენა არის ჯგუფის უნარი, მონაწილეობა მიიღოს ინვესტირების ობიექტის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში, მაგრამ არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ერთპიროვნულ ან ერთობლივ კონტროლს.

ერთობლივი საწარმო არის გარიგება, სადაც ერთობლივი კონტროლის მქონე მხარეებს გააჩნიათ უფლებები ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებზე. ერთობლივად ითვლება კონტროლი, რომლის განაწილება შეთანხმებულია კონტრაქტით და არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი საქმიანობის თაობაზე მოითხოვს ყველა მაკონტროლებელი მხარის თანხმობას.

მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შედეგები და აქტივები და ვალდებულებები წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კაპიტალის მეთოდით. ამ მიდგომით ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდეგ კორექტირდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ჯგუფისეული წილის აღიარების მიზნით. თუ ჯგუფის ზარალის წილმა გადააჭარბა ჯგუფის მიერ ამ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილ წილს (რაც მოიცავს გრძელვადიან წილებს, რომლებიც არსებითად შეადგენს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის წმინდა ინვესტიციის წილს), ჯგუფი წყვეტს ამის შემდეგ მიღებულ ზარალში თავისი წილის აღიარებას. შემდგომი ზარალი აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა შეასრულა სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულებები ან განახორციელა გადახდები მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს სახელით.

ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში კაპიტალის მეთოდით აღირიცხება იმ დღიდან, როდესაც ინვესტირების ობიექტი იქცა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოდ. მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის შესყიდვისას, სხვაობა ინვესტიციის ღირებულებასა და ინვესტირების ობიექტის წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებაში ჯგუფის წილს შორის აღიარდება გუდვილად და შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულების გაანგარიშებაში. სხვაობა წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებაში ჯგუფის წილსა და ინვესტიციის თვითღირებულებას შორის, გადაფასების შემდეგ, დაუყოვნებლივ აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მოხდა ინვესტიციის შესყიდვა.

იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის ინვესტიციაზე გაუფასურების ზარალის აღიარება, გამოიყენება გარკვეული მოთხოვნები. როდესაც ეს აუცილებელია, ინვესტიციის მთელი საბალანსო ღირებულება (გუდვილის ჩათვლით) გაუფასურებაზე მოწმდება ბასს 36 - „აქტივების გაუფასურების“ შესაბამისად, როგორც ერთი აქტივი. შესამოწმებლად მისი აღდგენადი ღირებულება (გამოყენებულ ღირებულებასა და რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უმცირესი) უდარდება მის საბალანსო ღირებულებას. აღიარებული გაუფასურების ზარალი შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარდება ბასს 36-ის შესაბამისად, ისე, რომ ინვესტიციის აღდგენად ღირებულება, შედეგად, გაიზარდოს. ჯგუფი კაპიტალის მეთოდის გამოყენებას წყვეტს იმ დღიდან, როდესაც ინვესტიცია აღარ ითვლება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოდ ან მაშინ, როდესაც ინვესტიცია გადადის გასაყიდად განკუთვნილის კატეგორიაში. თუ ჯგუფმა შეინარჩუნა წილი მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში და ეს შენარჩუნებული წილის არის ფინანსური აქტივი, ჯგუფი შენარჩუნებულ წილს აფასებს რეალური ღირებულებით ამ დღის მდგომარეობით და, ბასს 39-ის შესაბამისად, ეს ღირებულება ითვლება რეალურ ღირებულებად თავდაპირველი აღიარებისას. სხვაობა წილობრივი მეთოდის გამოყენების შეწყვეტის დღეს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და შენარჩუნებული წილის რეალური ღირებულებისა და მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილის გაყიდვით მიღებული შემოსავლის ჯამს შედის ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს რეალიზაციით მიღებული მოგების ან ზარალის გაანგარიშებაში. გარდა ამისა, ამავე მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებულ ყველა თანხას ჯგუფი აღრიცხავს ისევე, როგორც აღრიცხავდა იმ შემთხვევაში, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებები პირდაპირ რომ გაეყიდა. ამდენად, თუ ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მიერ სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული მოგება ან ზარალი შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გაყიდვისას გადაკლასიფიცირდებოდა მოგებაში ან ზარალში, ჯგუფი კაპიტალის მეთოდის გამოყენების შეწყვეტისას მოგებას ან ზარალს გადაიტანს კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში (როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირებას).

კაპიტალის მეთოდი გამოიყენება მაშინაც, როდესაც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში იქცევა ინვესტიციად ერთობლივ საწარმოში ან ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში იქცევა ინვესტიციად მეკავშირე საწარმოში. წილებში ამგვარი ცვლილება რეალური ღირებულების გადაფასებას არ იწვევს. თუ ჯგუფმა შეამცირა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილი, მაგრამ გააგრძელა კტაპისალის მეთოდის გამოყენება, სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული მოგების ან ზარალის ის წილი, რომელიც დაკავშირებული იყო ფლობილი წილის შემცირებასთან მოგება ან ზარალში რეკლასიფიცირდება, თუ შესაბამისი აქტივების ან ვალდებულების რეალიზაციისას მიღებული შემოსავალი ან ზარალი მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირდებოდა.

ჯგუფში შემავალ პირსა და მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში, მის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მხოლოდ იმ წილის პროპორციულად, რომელიც არ არის დაკავშირებული ჯგუფთან.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი. მცირე სარემონტო და ტექნიკური მომსახურების სამუშაოების ხარჯები ხარჯად აღიარდება მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებ ას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში. რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სარგებლიანობის ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე. შეფასებული სარგებლიანობის ვადა, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ხოლო შეფასების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პროსპექტიულად. ცვეთის განაკვეთებია:

	ცვეთის ნორმა
შენობა-ნაგებობები	2-5%
მანქანა დანადგარები	6-10%
ბენზინგასამართი სადგურები	2%
სატვირთო და სამგზავრო მანქანები	10%-20%
სხვა ძირითადი საშუალებები	15-20%

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული რაოდენობა, რასაც ჯგუფი მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სარგებლიანობის ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სარგებლიანობის ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი რეალიზაციისას ან მაშინ, თუ აქტივის მოხმარების შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება. ძირითადი საშუალების რეალიზაციით ან ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა გაყიდვით მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

საინვესტიციო ქონება - საინვესტიციო ქონება არის ისეთი ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლისთვის ან/და კაპიტალის აფასებით მიღებული სარგებლისათვის (მათ შორის ამგვარი მიზნებით მიმდინარე მშენებლობების შემთხვევაში). იგი ფასდება სამართლიანი

ღირებულებით, ტრანსაქციის ხარჯების ჩათვლით. შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის დარიცხვისას ცვეთადარიცხული თანხა ჩამოიწერება აქტივის სასარგებლო სასიცოცხლო ვადის განმავლობაში და იანგარიშება წრფივი მეთოდით. საინვესტიციო ქონების შენობა-ნაგებობების ნაწილს ცვეთა ერიცხება 2-5%-იანი განაკვეთით. საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი რეალიზაციის მომენტში ან როდესაც იგი სამუდამოდაა ამოღებული მოხმარებიდან და მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელი არ არის. აღიარების შეწყვეტის მომენტში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი. აღნიშნული იანგარიშება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ წმინდა მოგებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და შედის აღიარების შეწყვეტის პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი რეალური ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები - ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები საზღვრული სარგებლიანობის ვადით აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის აღიარება ხდება წრფივად შეფასებული სარგებლიანობის ვადის განმავლობაში. საპროგნოზო სარგებლიანობის ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხოლო საპროგნოზო მონაცემების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად. არამატერიალურ აქტივებს ცვეთა ერიცხება 15%-იანი განაკვეთით, წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება რეალიზაციისას, ან როდესაც მისი გამოყენებისგან ან რეალიზაციისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი მოგება ან ზარალი აისახება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება - ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, ხომ არ არის იმის ნიშანი, რომ აქტივებმა გაუფასურება განიცადა. თუ ამგვარი აღმოჩნდა, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (თუ ასეთი არსებობს). თუ ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი აფასებს ფულადი სახსრების წარმომქმნელი იმ ერთეულის ამოღებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს სამართლიან ღირებულებისა და გაყიდვის დანახარჯების სხვაობასა და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ისეთი გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე საბაზრო მნიშვნელობა და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლისთვისაც სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო მნიშვნელობის კორექტირება არ მომხდარა. თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ეს ისე ხდება, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ისეთი საბალანსო ღირებულება, რომელიც დადგინდებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) გაუფასურების აღიარება. გაუფასურების ხარჯის აღდგენა დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების თვითღირებულება დგინდება შემოსვლის რიგის მიხედვით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

რეზერვები - რეზერვები აღიარდება, როდესაც ჯგუფს უჩნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული ხდომილების გამო, სავარაუდოა, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

რეზერვად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება (თუ დროში ფულის ღირებულების ეფექტი არსებითი ოდენობისაა). თუ რეზერვის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება. ისინი განიმარტება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდო არაა. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, ისინი განიმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოდინების მოლოდინი რეალურია.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც პირი ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას (მაგრამ არა მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისას), თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას, დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, კლასიფიკაციის მიხედვით, თავდაპირველის შემდგომი აღიარებისას სრულად ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია - ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა: ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებს, შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებ ით და აისახება სხვა სრულ შემოსავალში:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვის მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს.

ჩვეულებრივ, ყველა სხვა ფინანსური აქტივი შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებ ით და აისახება მოგებაში ან ზარალში. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფმა შეიძლება მიიღოს შემდეგი შეუქცევადი გადაწყვეტილებები:

- შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულებ ის შემდგომი ცვლილება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში; და
- ამორტიზებული ღირებულებით ან სხვა სრულ შემოსავალში ასახული სამართლიანი ღირებულებ ით წარმოდგენილი სავალო ინსტრუმენტი შეუქცევადად დაადგინოს, როგორც მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებ ით ასახული, თუ ასეთი ქმედება მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს საბუღალტრო შეუსაბამობას.

წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და მათ აკლასიფიცირებს პირველ ბიზნეს-მოდელში - ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით (H2C).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი - ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი.

შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების (ანუ ისეთი ფინანსური აქტივებისა, რომელთა საკრედიტო ხარისხი გაუარესებულია უკვე თავდაპირველი აღიარებისას) გარდა, სხვა ფინანსური აქტივებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებების (მათ შორის არის ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო და ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ ფასდათმობების განუყოფელ ნაწილს), მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში. შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კრედიტ-კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, დისკონტირებით საწყისი აღიარებისას დადგენილი სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება არის ის ღირებულება, რომლითაც ფინანსური აქტივი ფასდება თავდაპირველი აღიარებისას, ძირი თანხის გადახდის გამოკლებითა და კუმულატიური ამორტიზაციის დამატებით, ამ საწყის ოდენობასა და ვადის ბოლოს ოდენობას შორის არსებულ სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებითა და ზარალის რეზერვის კორექტირებით. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება ზარალის რეზერვით კორექტირებამდე.

შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით და სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებ ით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების გარდა სხვა ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც საკრედიტო ხარისხი საწყისი აღიარების შემდგომ გაუუარესდათ. მათ შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუ შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში კრედიტგაუარესებული ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი გაუმჯობესდა და ფინანსური აქტივი აღარ ითვლება კრედიტგაუარესებულად, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე.

შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს აღიარებს კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას დადგენილ ამორტიზებულ ღირებულებაზე. გაანგარიშებაში მთლიანი საბალანსო ღირებულება არ გამოიყენება მაშინაც კი, როდესაც ფინანსური აქტივის

საკრედიტო რისკი შემდგომში უმჯობესდება და ფინანსური აქტივი კრედიტგაუარესებულად აღარ ითვლება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დადგენადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (სავაჭრო და სხვა მოთხობვნებისა და სხვადასხვა კონტრაგენტზე გაცემული სესხების ჩათვლით) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რაც არ შეეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი არაარსებითია.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს მოთხოვნამდე ან სამ თვემდე საწყისი ვადის დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ფულსა და ფულის ექვივალენტებში არ შედის შეზღუდული ნაშთები ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. შეზღუდული ფული მოიცავს ისეთ ნაშთებს, რომლებიც არ შეიძლება გაიცვალოს ან გამოყენებული იქნას ვალდებულების დასაფარად სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსზ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო ზარალისათვის (12 თვიანი მსზ). ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსზ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების მსზ 12 თვიანია. სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსზ არსებობის მანძილზე საფუძველზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ჯგუფი მსზ-ის ოდენობას ანგარიშობს საექსპერტო შეფასებით დადგენილი ზარალის განაკვეთების გამოყენებით. საექსპერტო შეფასების გამოყენება მართებულად ჩაითვალა ისეთი ისტორიული ინფორმაციის არარსებობის გამო, რაც რეზერვირების მატრიცის შესაქმნელად იქნებოდა გამოსადეგი. გაუფასურების განაკვეთები შესაბამისი მოთხოვნის ნაშთზე მრავლდება და მიიღება ის თანხა, რომელიც აღდგენას არ ექვემდებარება. ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად. ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა - ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ ჯგუფმა მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, ჯგუფი აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ ჯგუფმა შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი კუმულატიური მოგებისა ან ზარალისა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახულად კლასიფიცირებულ სავალო ინსტრუმენტში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტისას,

ჯამური მოგება ან ზარალი, რომელიც მანამდე დაგროვილი იყო ინვესტიციების გადაფასების რეზერვში, გადაკვალიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

<u>კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად</u> ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

<u>წილობრივი ინსტრუმენტები</u> წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით. ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ხელახალი შესყიდვა აისახება ან გამოიქვითება პირდაპირ კაპიტალიდან. ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვისას, გაყიდვისას, ემისიისას თუ გაუქმებისას მოგების ან ზარალის ასახვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ ხდება.

<u>ფინანსური ვალდებულებები</u> ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოდგენილია აღებული სესხებითა და სავაჭრო და სხვა გადასახდელებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

<u>ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა</u> ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი აღიარდება ჯგუფის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება აქციონერთა კაპიტალში მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ გამოცხადებული დივიდენდები განიხილება, როგორც „შემდგომი მოვლენა“ და განმარტებულია შესაბამის ქვეთავში.

წინასწარ გადახდილი გადასახადები. წინასწარ გადახდილი გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით, შეფასებული აღუდგენელი თანხების რეზერვის გამოკლებით. მოგების გადასახადისგან განსხვავებული გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება ერთიან საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხორციელდება ნეტო საფუძველზე.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით აღუდგენადი შეფასებული თანხების ანარიცხების გამოკლებით.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, მენეჯმენტს ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია ის კრიტიკული განსჯები, შეფასებების მომცველი განსჯების გარდა (იხილეთ ქვემოთ),

რომლებიც ხელმძღვანელობამ გააკეთა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას და რომელთაც ყველაზე საგრძნობი ეფექტი ჰქონდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

წმინდა აქტივების რეალური ღირებულების დადგენა შესყიდვისას - 2019 წლის 4 ივნისს შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენმა“ მოიპოვა კონტროლი სს „თბილისის თამბაქოზე“. წმინდა აქტივები ძირითადად მოიცავდა (გარდა ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონებისა) მოკლევადიან აქტივებსა და ვალდებულებებს და, შესაბამისად, მათი რეალური ღირებულება მათ თვითღირებულებასთან იყო მიახლოებული. ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების შემთხვევაში, რეალური ღირებულება განსაზღვრეს დამოუკიდებელმა ექსპერტებმა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის სს „თბილისის თამბაქოს“ პირველ სრული ფასს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას რეალური ღირებულება განისაზღვრა როგორც ჩათვლილი ღირებულება. ვინაიდან ბაზარზე არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გადაფასება ხდება 3-5 წელიწადში ერთხელ და ბაზარზე მნიშვნელოვანი რყევა არ შენიშნულა, დადგინდა, რომ შესყიდვის თარიღისათვის ზემოაღნიშნული აქტივების რეალური ღირებულება მათი ღირებულების ტოლი იყო. ინფორმაცია შეფასების ტექნიკისა და ხელმძღვანელობას მიერ ძირითადი საშუალების ერთეულების რეალური ღირებულების დადგენაში გამოყენებული მონაცემების შესახებ განმარტებულია ქვემოთ: შემფასებელმა აქტივები დაჰყო სპეციალიზებულ ძირითად საშუალებად, რომლებზეც ყიდვა-გაყიდვის აქტიური ბაზარი არ არსებობს და არასპეციალიზებულ აქტივებად. თითოეულ მათგანზე გამოიყენეს შესაბამისი მიდგომა - თვითღირებულებითი მიდგომა და საბაზრო მიდგომა. მიღებული ღირებულება ეკონომიკურ მოძველებაზე შემოწმდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით.

კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი მაჩვენებელი ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის განისაზღვრა 14.07%-ით. ზრდის ტერმინალურ განაკვეთად გამოყენებული იქნა 3%. აქტივების შეფასების დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი ეფუძნება დროში ფულის ღირებულებას და ეფექტურად ახდენს ქონების მიმდინარე და მომავალი შემოსავლის კაპიტალიზებას. კაპიტალიზაციის უკუგება ასახავს ქონების სპეციფიურ რისკის პროფილს და მხედველობაში იღებს მიმდინარე შემოსავლის უსაფრთხოებას, მიმდინარე და მომავალ არარეალიზებულ ქირებს და კაპიტალის აფასების მომავალ მოლოდინებს.

უკვე ფლობილი კაპიტალის წილის რეალური ღირებულების დადგენა - როგორც აღწერილია შენიშვნაში #4, 2019 წლის 4 ივნისს სმარტ კაპიტალ ფროდაქშენმა შეისყიდა სს „თბილისი თამბაქოს“ 50%-იანი წილი 3,118 ლარის სანაცვლოდ და, შესაბამისად, მოიპოვა საწარმოზე კონტროლი. უკვე ფლობილი წილი შესყიდული იყო დაკავშირებული მხარისგან არა საბაზრო პირობებით. რადგან ბოლო ტრანზაქცია არ შესრულებულა დაკავშირებულ მხარეებთან და უკვე ფლობილი წილის ოდენობა. ასევე, იყო 50%, ჯგუფის მენეჯმენტმა ის დაადგინა, როგორც უკვე ფლობილი წილის რეალური ღირებულება.

2020 წლის 1 და 2 ივლისს შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენმა“ შეისყიდა შპს „გეოდისტრიბუციისა“ და შპს „თამბაქო ჰოლდინგის“ 50%იანი წილები და, შესაბამისად, კონტროლი მოიპოვა მათზე. უკვე ფლობილი კაპიტალის წილის რეალური ღირებულება განისაზღვრა როგორც ზემოთ აღწერილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულების ნახევარი - 2011 ლარის ოდენობით. როგორც აღწერილია შენიშვნაში #5, წმინდა აქტივები ძირითადად შედგებოდა მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებებისგან. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხა მოგება ხელსაყრელი შესყიდვიდან, 1,961 ლარის ოდენობით. მოგება ხელსაყრელი შესყიდვიდან გამოწვეული იყო სს „თბილისის თამბაქოს“ უფლებით, ცალმხრივად შეეწყვიტა დისტრიბუციის ხელშეკრულება, რომელიც შექმინდა შპს „გეოდისტრიბუციის“ ფუნქციონირების პრობლემას. შესაბამისად, ტრანზაქციის ღირებულება შეიძლება სულაც არ იყოს საბაზრო ღირებულების მაჩვენებელი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს იმ შეფასებული ზარალის აღსარიცხად, რომელსაც იღებს, როდესაც კლიენტს არ აქვს უნარი, გააკეთოს შესაბამისი გადახდა ან მომწოდებელს - უნარი, მიაწოდოს მას შეთანხმებული საქონელი ან მომსახურება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონის შეფასებისას, ხელმძღვანელობა მხედველობაში იღებს არსებულ ზოგად ეკონომიკურ ვითარებას, მოთხოვნის ვადას და გადახდილი ავანსების ნაშთებს, აგრეთვე ჩამოწერების ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტისა და მიმწოდებლის კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტისა და მიმწოდებლის გარემოებათა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირება. ჯგუფმა შეაფასა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დებიტორები, რომლებიც შედგება ერთობლივ კონტროლქვეშ მყოფი საწარმოებისგან და მათი მიმდინარე ფინანსური მდგომარეობისა და საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, აღიარა ინდივიდუალური ზარალის რეზერვი. ჯგუფმა

აღიარა 100%-იანი ზარალის რეზერვი კოლექტიურად შეფასებული მოთხონების მიმართ, რომელთაც ქონდათ 90 დღიანი ვადაგადაცილება, რადგან ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ასეთი მოთხოვნები როგორც წესი არაამოღებადია. 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით, მოსალოდნელმა საკრედიტო ზარალმა შეადგინა 4,252 ლარი და 3,111 ლარი, შესაბამისად.

მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა. 2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა შეიძინა მიწა 3 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. 2020 წლის 1 ოქტომბერს, საკუთრების გადაცემისთანავე, ჯგუფმა გადაიხადა 700,000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდის ვადა არის 2025 წლამდე. ხელმძღვანელობამ გადახდის სავარაუდო თარიღად დაადგინა 2023 წლის 31 დეკემბერი. შესაბამისად, ეს თანხა დადისკონტირდა სავარაუდო გადახდიდან თარიღიდან და აღიარდა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 5,982 ლარის ოდენობით.

5. შვილობილი კომპანიების შესყიდვა

<u>სს „თბილისი თამბაქო“</u>

2019 წლის 7 მარტს ჯგუფმა სს „თბილისი თამბაქოში“ შეისყიდა აქციების 42.5%, მაგრამ კონტროლი არ მოუპოვებია. სს „თბილისი თამბაქო“ დაკავებულია თამბაქოს ნაწარმის დამზადებით. შესყიდვა ჯგუფის ანგარიშებში აღირიცხა როგორც ინვესტიცია ასოცირებულ პირში. 2019 წლის 5 აპრილს ჯგუფმა სს „თბილისის თამბაქოში“ შეისყიდა აქციების დამატებით 7.5%, მაგრამ კონტროლი არ მოუპოვებია. შესყიდვა ჯგუფის ანგარიშებში კვლავაც აღირიცხა როგორც ინვესტიცია ასოცირებულ პირში. 2019 წლის 4 ივნისს ჯგუფმა სს „თბილისის თამბაქოში“ შეისყიდა დარჩენილი 50% და გახდა მისი ერთადერთი მფლობელი. ფასს 3-ის შესაბამისად, მოხდა კონტროლის მოპოვება.

შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენისა“ და სს „თბილისი თამბაქოში“ აქციების შესყიდვას ჯგუფის ხელმძღვანელობა განიხილავს როგორც ერთობლივ კონტროლქვეშ ჯგუფის შექმნას, რადგან ამ პირების საბოლოო მფლობელს, ბატონ მიხეილ ჩხარტიშვილს სს „თბილისი თამბაქოში“ აქციები ეკუთვნოდა ამ ტრანზაქციებამდეც.

ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2019 წლის 4 ივნისის მდგომარეობით კონტროლის მოპოვების შედეგად აღრიცხული აქტივები და ვალდებულებებია:

	ლარში
ფინანსური აქტივები	21,609
მარაგები	7,959
ძირითადი საშუალებები, წმინდა	24,257
საინვესტიციო ქონება	929
არამატერიალური აქტივები, წმინდა	21
სხვა იდენტიფიცირებადი აქტივები	361
ფინანსური ვალდებულებები	(9,485)
სხვა იდენტიფიცირებადი ვალდებულებები	(14,024)
სულ შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები	**31,627**
უკვე ფლობილი კაპიტალის წილის რეალური ღირებულება	(3,118)
მოგება ხელსაყრელი გარიგებიდან	(25,391)
სულ ანაზღაურება	**3,118**

ანაზღაურება მთლიანად დაიფარება ნაღდი ფულით.

წმინდა ფულადი გადინება შესყიდვის შედეგად	
ანაზღაურება ნაღდი ფულით	3,118
გამოკლებული: შეძენილი ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთი	(179)
	2,939

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, 21,430 ლარისა და 179 ათასი ლარის რეალური ღირებულებით, შესაბამისად. ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება მოიცავს სავაჭრო და სხვა

კრედიტორულ დავალიანებებსა და აღებულ სესხებს რეალური ღირებულებით 4,221 ლარისა და 5,264 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. სხვა იდენტიფიცირებადი ვალდებულებები მოიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებებსა და გადასახდელ გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა 2,285 ლარისა და 11,9739 ათასი ლარის რეალური ღირებულებით, შესაბამისად.

2019 წლის 4 ივნისს ჯგუფმა 50%-იანი უკვე ფლობილი წილის რეალურ ღირებულებად განსაზღვრა 3,118 ლარი. ფასს 3-ის შესაბამისად, მოხდა 889 ლარის ღირებულების ასოცირებულ პირში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტა და 3,118 ლარის რეალური ღირებულების აღიარება. 2,229 ლარის ოდენობის სხვაობა აღიარებული იქნა როგორც მოგება ინვესტიციაზე.

პერიოდის განმავლობაში აღრიცხული ზარალის გამო, სს „თბილისი თამბაქომ“ ჯგუფის მოგება შესყიდვის თარიღიდან ანგარიშგების თარიღამდე შეამცირა 3,621 ლარით.

შესყიდვა რომ ფინანსური წლის პირველ დღეს მომხდარიყო, ჯგუფის შემოსავალი წლის განმავლობაში იქნებოდა 19,973 ლარი, ჯგუფის მოგება კი - 25,628 ლარი.

<u>**შპს „გეოდისტრიბუცია“**</u>

2020 წლის 1 ივლისს, ჯგუფმა შეისყიდა შპს „გეოდისტრიბუციის“ 50%-იანი წილი და გახდა მისი ერთადერთი მესაკუთრე. კონტროლის მოპოვება მოხდა ფასს 3-ის შესაბამისად. ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შპს „გეოდისტრიბუციაზე“ კონტროლის მოპოვების შედეგად აღრიცხული აქტივები და ვალდებულებებია:

	ლარი
ფინანსური აქტივები	4,452
მარაგები	1,835
ძირითადი საშუალებები, წმინდა	416
არამატერიალური აქტივები, წმინდა	8
სხვა იდენტიფიცირებადი აქტივები	1,033
ფინანსური ვალდებულებები	(3,528)
სხვა იდენტიფიცირებადი ვალდებულებები	(194)
სულ შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები	**4,022**
უკვე ფლობილი კაპიტალის წილის რეალური ღირებულება	(2,011)
მოგება ხელსაყრელი გარიგებიდან	(1,961)
სულ ანაზღაურება	**50**

ანაზღაურება მთლიანად დაიფარება ნაღდი ფულით.

წმინდა ფულადი გადინება შესყიდვის შედეგად	
ანაზღაურება ნაღდი ფულით	50
გამოკლებული: შეძენილი ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთი	(959)
	(909)

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, 3,493 ლარისა და 959 ათასი ლარის რეალური ღირებულებით, შესაბამისად. სხვა იდენტიფიცირებადი აქტივები მოიცავს გადახდილ ავანსებსა და აქტივის გამოყენების უფლებას 905 და 128 ათასის რეალური ღირებულებით შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებსა და საიჯარო ვალდებულებას რეალური ღირებულებით 3,392 ლარისა და 136 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. სხვა იდენტიფიცირებადი ვალდებულებები მოიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებებსა და გადასახდელ გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა 137 ლარისა და 57 ათასი ლარის რეალური ღირებულებით, შესაბამისად.

2020 წლის 1 ივლისს ჯგუფმა 50%-იანი უკვე ფლობილი წილის რეალურ ღირებულებად განსაზღვრა 2,011 ლარი. ფასს 3-ის შესაბამისად, მოხდა 444 ლარის ღირებულების ასოცირებულ პირში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტა და 2,011 ლარის რეალური ღირებულების აღიარება. 1,517 ლარის ოდენობის სხვაობა აღიარებული იქნა როგორც მოგება ინვესტიციაზე.

პერიოდის განმავლობაში აღრიცხული ზარალის გამო, შპს „გეოდისტრიბუციამ“ ჯგუფის მოგება შესყიდვის თარიღიდან ანგარიშგების თარიღამდე შეამცირა 3,798 ლარით.

<u>შპს „თამბაქო ჰოლდინგი“</u>

2020 წლის 2 ივლისს, ჯგუფმა შეისყიდა შპს „თამბაქო ჰოლდინგის“ 50%-იანი წილი და გახდა მისი ერთადერთი მესაკუთრე. კონტროლის მოპოვება მოხდა ფასს 3-ის შესაბამისად. ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის ივლისის მდგომარეობით შპს „თამბაქო ჰოლდინგზე“ კონტროლის მოპოვების შედეგად აღრიცხული აქტივები და ვალდებულებებია:

	ლარი
ფინანსური აქტივები	2,208
სხვა იდენტიფიცირებადი აქტივები	65
ფინანსური ვალდებულებები	(2,208)
სულ შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები	**65**
უკვე ფლობილი კაპიტალის წილის რეალური ღირებულება	(15)
მოგება ხელსაყრელი გარიგებიდან	-
სულ ანაზღაურება	**50**

ანაზღაურება მთლიანად დაიფარება ნაღდი ფულით.

წმინდა ფულადი გადინება შესყიდვის შედეგად	
ანაზღაურება ნაღდი ფულით	50
გამოკლებული: შეძენილი ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთი	(10)
	40

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოიცავს გაცემულ სესხებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, 2,198 ლარისა და 10 ათასი ლარის რეალური ღირებულებით, შესაბამისად. ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება მოიცავს ნასესხებ სახსრებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებსა და საიჯარო ვალდებულებას რეალური ღირებულებით 2,138 ლარის, 9 ლარისა და 61 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. სხვა იდენტიფიცირებადი აქტივი მოიცავს აქტივის გამოყენების უფლებასა და გადახდილ გადასახადებს, 54 ლარისა და 11 ათასი ლარის რეალური ღირებულებით, შესაბამისად.

2020 წლის 2 ივლისს ჯგუფმა 50%-იანი უკვე ფლობილი წილის რეალურ ღირებულებად განსაზღვრა 15 ლარი. ფასს 3-ის შესაბამისად, მოხდა 15 ათასი ლარის აღიარება როგორც მოგება ინვესტიციაზე. პერიოდის განმავლობაში აღრიცხული მოგების გამო, შპს „თამბაქო ჰოლდინგმა“ ჯგუფის მოგება შესყიდვის თარიღიდან ანგარიშგების თარიღამდე გაზარდა 38 ლარით. შესყიდვა რომ ფინანსური წლის პირველ დღეს მომხდარიყო, ჯგუფის შემოსავალი წლის განმავლობაში იქნებოდა 145,204 ლარი, ჯგუფის მოგება კი - 34,062 ლარი.

ზემოთხსენებულ კომპანიებზე კონტროლის მოპოვებამდე შპს „სმარტ კაპიტალ გრუპმა“ მიიღო წილი მათი საქმიანობის შედეგებიდან 5,988 ლარისა და 8,166 ლარის ოდენობით 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, შესაბამისად.

6. ამონაგები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის მთლიანი შემოსავალი მიღებული იქნა შემდეგი გაყიდვებიდან:

	2020	2019
შემოსავალი თამბაქოს პროდუქციის გაყიდვიდან	96,875	4,605
შემოსავალი საწვავის ტრანსპორტირების სერვისიდან	5,818	6,472
შემოსავალი ღვინის პროდუქციის გაყიდვიდან	4,048	4,628
შემოსავალი მიწის გაყიდვიდან	-	-
სხვა შემოსავალი	1,396	1,537
სულ	**108,137**	**17,242**

7. ამონაგების თვითღირებულება

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის მიერ გაყიდული საქონლის თვითღირებულება შედგებოდა შემდეგისგან:

	2020	2019
თამბაქოს პროდუქციის ამონაგების თვითღირებულება	73,937	2,932
საწვავის ტრანსპორტირების სერვისის თვითღირებულება	2,458	2,598
ღვინის პროდუქციის ამონაგების თვითღირებულება	4,502	5,123
სხვა შემოსავლების თვითღირებულება	44	195
სულ	**80,941**	**10,848**

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები იყო:

	2020	2019
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	11,374	5,727
საგადასახადო ხარჯი	1,722	2,339
სავაჭრო მოთხოვნებისა და გადახდილი ავანსების რეზერვი	724	1,490
ცვეთა და ამორტიზაცია	442	554
მარაგების ჩამოწერა	401	391
საიჯარო ხარჯები	243	230
საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები	25	177
სხვა საოპერაციო ხარჯები	154	980
სულ	**15,085**	**11,888**

2019 წლის განმავლობაში სხვა საგადასახადო ხარჯებში შევიდა ვადაგადაცილებულ საგადასახადო ნაშთებზე დარიცხული ჯარიმები და საურავები 1,336 ათასი ლარის ოდენობით. ვადაგადაცილებული საგადასახადო ნაშთები და შესაბამისი ჯარიმები და საურავები სრულად დაფარულია 2020 წელს.

9. ფინანსური ხარჯი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის ფინანსური ხარჯი შედგებოდა შემდეგისგან:

	2020	2019
ფინანსური ხარჯი მიღებულ სესხებზე	2,273	1,926
ფინანსური ხარჯი სახელშეკრულებო ვალდებულებებზე	224	75
ფინანსური ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	144	122
სხვა ფინანსური ხარჯი	113	-
სულ	**2,754**	**2,123**

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	სატვირთო და სამგზავრო მანქანები	გამოუყენებელი ძირითადი საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება							
2019 წლის 1 იანვარი	**188**	**5,169**	**4,349**	**3,870**	**-**	**1,376**	**14,952**
ზრდა შვილობილის შესყიდვის გამო	3,209	12,200	6,260	-	3,484	143	**25,296**
შესყიდვა	287	821	178	166	51	602	**2,105**
რეალიზაცია	(2)	(669)	(10)	(123)	-	(93)	**(897)**
2019 წლის 31 დეკემბერი	**3,682**	**17,521**	**10,777**	**3,913**	**3,535**	**2,028**	**41,456**
ზრდა შვილობილის შესყიდვის გამო	10	-	-	-	-	1,383	**1,393**
შესყიდვა	7,992	906	96	1,306		696	**10,996**
ტრანსფერი						(488)	**(488)**
რეალიზაცია	-	-	-	(1,242)	-	(153)	**(1,395)**
2020 წლის 31 დეკემბერი	**11,684**	**18,427**	**10,873**	**3,977**	**3,535**	**3,466**	**51,962**
დაგროვილი ცვეთა							
2019 წლის 1 იანვარი	**-**	**(554)**	**(2,552)**	**(1,447)**	**-**	**(229)**	**(4,782)**
ზრდა შვილობილის შესყიდვის გამო	-	(355)	(642)	-	-	(42)	**(1,039)**
წლიური ცვეთა	-	(362)	(1,121)	(745)	-	(188)	**(2,416)**
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	35	1	64	-	8	**108**
2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(1,236)**	**(4,314)**	**(2,128)**	**-**	**(451)**	**(8,129)**
ზრდა შვილობილის შესყიდვის გამო	-	-	-	-	-	(977)	**(977)**
წლიური ცვეთა	-	(530)	(1,216)	(923)	-	(334)	**(3,003)**
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	880	-	13	**893**
2020 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(1,766)**	**(5,530)**	**(2,171)**		**(1,749)**	**(11,216)**
წმინდა ნარჩენი ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბერი	**11,684**	**16,661**	**5,343**	**1,806**	**3,535**	**1,717**	**40,746**
2019 წლის 31 დეკემბერი	**3,682**	**16,285**	**6,463**	**1,785**	**3,535**	**1,577**	**33,327**

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰქონია სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მთლიანი ძირითადი საშუალებები წმინდა ნარჩენი ღირებულებით 12,434 ლარი და 5,434 ლარი, შესაბამისად, დაგირავებული იყო ადგილობრივი ბანკებიდან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 18).

11. საინვესტიციო ქონება

	საინვესტიციო ქონება
ღირებულება, 2019 წლის 1 იანვარი	**336**
ზრდა შვილობილის შესყიდვის გამო	953
2019 წლის 31 დეკემბერი	**1,289**
დამატება	3,241
2020 წლის 31 დეკემბერი	**4,530**
დაგროვილი ცვეთა, 2019 წლის 1 იანვარი	**(3)**
ზრდა შვილობილის შესყიდვის გამო	(24)
წლიური ცვეთა	(18)
2019 წლის 31 დეკემბერი	**(45)**
წლიური ცვეთა	(57)
2020 წლის 31 დეკემბერი	**(102)**
2020 წლის 31 დეკემბერი	**4,428**
2019 წლის 31 დეკემბერი	**1,244**

ჯგუფის საინვესტიციო ქონება შედგება ბენზინგასამართი სადგურებისგან, რომლებიც გაქირავებულია არადაკავშირებულ მხარეებზე.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი რეალური ღირებულება მიახლოვებულია საბალანსო ღირებულებათან.

12. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ ფლობილი წილები იყო:

			ჯგუფის საკუთრებაში არსებული საკუთრების და ხმის უფლების პროპორცია	
		დაარსების და საქმიანობის	**31/12/2020**	**31/12/2019**
მეკავშირე საწარმოს სახელი	**ძირითადი საქმიანობა**	**ადგილი**		
შპს „სასტუმრო სიღნაღში“	სასტუმრო	საქართველო	30%	30%

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის მეკავშირე საწარმოებში ფლობილი ინვესტიციების მოძრაობა იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	**31 დეკემბერი 2019**
ნაშთი წლის დასაწყისში		
	5,699	5,632
შენატანები	4,365	4
მეკავშირე საწარმოს შედეგების წილი	-	63
ნაშთი წლის ბოლოს	**10,064**	**5,699**

ჯგუფის მეკავშირე საწარმოს ფინანსური ინფორმაცია შეჯამებულია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2020	**31 დეკემბერი 2019**
სულ აქტივები	45,340	19,319
სულ ვალდებულებები	(12,288)	(808)
წმინდა აქტივები/(ვალდებულებები)	33,052	18,511
ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოში ინვესტიციების წმინდა აქტივებში	**9,916**	**5,553**

	2020	2019
სულ შემოსავალი	-	-
წმინდა მოგება	2	211
ჯგუფის წილი წმინდა მოგებაში	**-**	**63**

კომპანიას ჯერ არ დაუწყია საქმიანობა, რადგან სასტუმროს მშენებლობა ჯერ კიდევ პროცესშია, მაგრამ შეძლო წმინდა მოგების გენერირება მფლობელების მიერ შეტანილ ფულსა და ფულ ექვივალენტებზე საკურსო სხვაობით მიღებული მოგების შედეგად.

13. გაცემული სესხები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს გაცემული სესხების პირობები იყო:

	დაფარვის ვადა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
იურიდიული პირები - დაკავშირებული მხარე	2021-2024	9-14%	18,500	3,285
თანხა			**18,500**	**3,285**
მოკლევადიანი			2,714	-
გრძელვადიანი			15,786	3,285

სესხების ძირი და პროცენტის გადახდა მოხდება დაფარვის ვადისას.

14. მარაგები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს გაცემული მარაგები იყო:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
თამბაქოს პროდუქცია და მასალები	11,683	6,580
ღვინის პროდუქცია და მასალები	5,942	4,745
შესაფუთი მასალები	230	1,129
მიწები	606	606
სხვა მარაგები	190	80
სულ მიმდინარე მარაგები	**18,651**	**13,140**
გრძელვადიანი მარაგები	1,707	1,624
სულ მარაგები	**20,358**	**14,764**

გრძელვადიანი მარაგები მოიცავს სათადარიგო ნაწილებსა და ტექნიკური მომსახურების სახარჯ მასალებს, რომლებიც დამოუკიდებელი ერთეულებია და საჭიროებისამებრ გამოიყენება საწარმოო პროცესში.

15. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება ამოუღებელი თანხების რეზერვის გამოკლებით, იყო:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	11,749	10,692
სხვა მოთხოვნები	7	16
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(4,252)	(3,111)
სულ	**7,504**	**7,597**

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს თანხებს, რომლებიც აღიარებულია როგორც ამ გაყიდვებთან დაკავშირებული შემოსავალი, სააქციზო გადასახადი და დამატებული ღირებულების გადასახადი.

ანალიზი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ვადიანობის მიხედვით:

31 დეკემბერი 2020 (ლარი'000)	ვადაგადაუცილებელი	30 დღემდე ვადაგადაცილება	31-90 დღის ვადაგადაცილება	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
ინდივიდუალური შეფასება					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	1,399	160	146	317	2,022
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში	(2)	(2)	(2)	(121)	(127)
კოლექტიური შეფასება					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	5,673	18	42	4,001	9,734
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში	(114)	(2)	(8)	(4,001)	(4,125)
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	**7,072**	**178**	**188**	**4,318**	**11,756**
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, სულ	**(116)**	**(4)**	**(10)**	**(4,122)**	**(4,252)**

31 დეკემბერი 2019 (ლარი'000)	ვადაგადაუცილებელი	30 დღემდე ვადაგადაცილება	31-90 დღის ვადაგადაცილება	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
ინდივიდუალური შეფასება					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	1,964	1,210	299	6,538	10,011
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში	(3)	(2)	(35)	(2,847)	(2,887)
კოლექტიური შეფასება					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	312	63	182	140	697
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში	(3)	(6)	(75)	(140)	(224)
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	**2,276**	**1,273**	**481**	**6,678**	**10,708**
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, სულ	**(6)**	**(8)**	**(110)**	**(2,987)**	**(3,111)**

ჯგუფი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზარალის რეზერვს ყოველთვის აფასებს მთელი სასიცოცხლო ვადის მსზ-ის ოდენობის თანხით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე ფასდება დებიტორის დეფოლტის წარსული გამოცდილებითა და დებიტორის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ანალიზით, რომელიც დებიტორისთვის სპეციფიური ფაქტორებითა და მისი დარგის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობით კორექტირდება. მხედველობაში მიიღება აგრეთვე ანგარიშგების თარიღში ვითარების საპროგნოზო მიმართულება და არსებული ვითარება. ჯგუფმა 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე ყველა ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნის ზარალის რეზერვი 100%-ით შეფასა, რადგან ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს მოთხოვნები ამოღებას აღარ ექვემდებარება. ჯგუფმა შეაფასა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დებიტორები, რომლებიც შედგება ერთობლივ კონტროლქვეშ მყოფი საწარმოებისგან და მათი მიმდინარე ფინანსური მდგომარეობისა და საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, აღიარა ინდივიდუალური ზარალის რეზერვი.

ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნას ჩამოწერს, როდესაც არსებობს იმის მანიშნებელი ინფორმაცია, რომ დებიტორი მძიმე ფინანსურ სირთულეს განიცდის და თანხის ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს.

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია მთლიანი სასიცოცხლო ვადის მსზ-ის მოძრაობა, რომელიც აღიარებული იქნა სავაჭრო მოთხოვნებზე ფასს 9 სტანდარტში აღწერილი გამარტივებული მიდგომის შესაბამისად:

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოძრაობა
ნაშთი 1 იანვარი 2019	**137**
ზრდა შვილობილის შესყიდვის შედეგად	1,654
გაუფასურების რეზერვი	1,320
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	**3,111**
ზრდა შვილობილის შესყიდვის შედეგად	417
გაუფასურების რეზერვი	724
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	**4,252**

16. ფული და ფულის ექვივალენტები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები წარმოადგენს ვადაგადაუცილებელ ფინანსურ აქტივებს და შედგება შემდეგისგან:

	31 დეკემბერი 2020	**31 დეკემბერი 2019**
ფული ბანკში	1,581	4,443
ფული სალაროში	801	275
ფული და ფულის ექვივალენტები	**2,382**	**4,718**

17. საწესდებო კაპიტალი და დაგროვილი მოგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ავტორიზებული და გადახდილი საწესდებო კაპიტალი გაუტოლდა 14,998 ლარს, 18,473 ლარს, შესაბამისად.

2020 და 2019 წლების განმავლობაში კაპიტალში შენატანები შეადგენდა 161 ლარსა და 2,814 ლარს, შესაბამისად.

2020 და 2019 წლების განმავლობაში მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე კაპიტალი შემცირდა 3,636 ლარითა და 2,678 ლარით. 2020 წლის განმავლობაში მოხდა 4,796 ლარის ოდენობის დივიდენდის გამოცხადება და გადახდა.

18. ნასესხები სახსრები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი ნასესხები სახსრების პირობები იყო:

ნასესხები სახსრები:	საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
უზრუნველყოფილი სესხები ადგილობრივი				
კომერციული ბანკებისგან	11%	2019-2026	20,179	11,405
სესხები დაკავშირებული იურიდიული პირებისგან	10%	2020-2024	9,304	7,039
სესხები დაკავშირებული ფიზიკური პირებისგან	11%	2018-2023	287	719
სესხები სხვა იურიდიული პირებისგან	11%	2023	723	30
სულ ნასესხები სახსრები:			**30,493**	**19,193**

ნასესხები სახსრები:	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	16,421	12,688
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	14,072	6,505
სულ ნასესხები სახსრები:	**30,493**	**19,193**

ნასესხები სახსრების მოძრაობა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში იყო:

	2020	2019
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	**19,193**	**12,006**
ზრდა შვილობილის შესყიდვის შედეგად	2,138	5,264
დამატება ძირ თანხაზე	77,565	19,504
დარიცხული პროცენტი	2,273	1,926
გადახდილი ძირი	(71,386)	(17,770)
გადახდილი პროცენტი	(1,126)	(2,239)
უცხოური ვალუტის ეფექტი	1,836	502
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**30,493**	**19,193**

19. გადასახდელი გადასახადები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის გადასახდელმა გადასახადებმა მოიცვა მოგების გადსახადის, დღგ-ს, აქციზის და სხვა საგადასახადო გადასახდელები. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება ერთიან საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხორციელდება ნეტო საფუძველზე.

20. სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებულ ავანსებს, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქტის გაყიდვებთან. ჯგუფი აღიარებს მათ, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას, სანამ საქონელი არ მიეწოდება მომხმარებელს. ჯგუფმა დაადგინა, რომ ეს კონტრაქტები შეიცავს ფინანსურ კომპონენტს. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, შესაბამისად, 224 და 75 ათასი ლარის ფინანსური ხარჯები აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

21. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა კრედიტორული დავალიანება იყო:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო გადასახდელები მომწოდებლების მიმართ	10,506	5,436
გადასახდელები წინა მფლობელების მიმართ	1,933	1,722
გადასახდელი ხელფასები	1,167	722
სხვა გადასახდელები	2,284	1,591
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**15,890**	**9,471**
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო გადასახდელი მიწის შესყიდვის გამო	5,982	-
სულ	**21,872**	**-**

ჯგუფს აქვს გადასახდელები შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიის“, შპს „გეოდისტრიბუციისა“ და სს „თბილისი თამბაქოს“ წინა მფლობელების მიმართ კომპანიების წილების შესყიდვასთან დაკავშირებით.

2018 წლის 27 თებერვალს ჯგუფმა ხელი მოაწერა უცხოელ ინვესტორებთან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც უნდა გაეყიდა შპს „სმარტ კაპიტალ შილდას“ 20%-იანი წილი და ამისთვის მიიღო ავანსი 500,000 აშშ დოლარის ოდენობით. გაყიდვის ტრანზაქცია შეჩერდა და ამასთან დაკავშირებით 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,734 ლარი და 1,338 ლარი რეკლასიფიცირებულია სხვა დავალიანებებში, შესაბამისად.

22. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ანალიზდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონით:

(1) პირველი დონე არის შეფასება კვოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე,

(2) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ტექნიკა, სადაც ყველა მნიშვნელოვან მონაცემზე დაკვირვება აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში შესაძლებელია პირდაპირ (ანუ ფასებით) ან ირიბად (ანუ ფასების გავლით), და

(3) მესამე დონის შეფასება არის ისეთი შეფასება, რომელიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას იყენებს სამართლიანი ღირებულების იერარქიაზე დაფუძნებულ შეფასებებს. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულია დაკვირვებადი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვნად კორექტირება ესაჭიროება, ეს შეფასება მესამე დონისაა. შესაფასებელი მონაცემის მნიშვნელობა დგინდება სამართლიანი ღირებულების შეფასებით მთლიანობაში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ, სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა და სხვა ფინანსური აქტივების ღირებულება, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანობის გამო, სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული.

	სამართლიანი ღირებულების იერარქია	**31 დეკემბერი 2020**		**31 დეკემბერი 2019**	
		საბალანსო ღირებულება	**სამართლიანი ღირებულება**	**საბალანსო ღირებულება**	**სამართლიანი ღირებულება**
ფული და ფულის ექვივალენტები	დონე 2	2,382	2,382	4,718	4,718
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	დონე 3	7,504	7,504	7,597	7,597
სახელშეკრულებო აქტივი	დონე 3	-	-	204	204
საიჯარო აქტივები	დონე 3	123	123	187	187
გაცემული სესხები	დონე 3	18,500	17,785	3,285	3,022

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებულგანაკვეთიანი, მითითებული ვადიანობის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება გამოთვლილ იქნა მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათს სამართლიან ღირებულებებთანაა მიახლოებული.

ფულისა და ფულის ექვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის მონაცემებით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებისა - მესამე დონის მონაცემებით.

	სამართლიანი ღირებულების იერარქია	**31 დეკემბერი 2020**		**31 დეკემბერი 2019**	
		საბალანსო ღირებულება	**სამართლიანი ღირებულება**	**საბალანსო ღირებულება**	**სამართლიანი ღირებულება**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	დონე 3	21,872	21,872	9,471	9,471
საიჯარო ვალდებულება	დონე 3	1,940	1,940	1,007	1,007
ნასესხები სახსრები	დონე 3	30,493	30,758	19,193	19,484

კაპიტალის რისკის მართვა - ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით.

ჯგუფის ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, ჯგუფი აბალანსებს კაპიტალის ზოგად სტრუქტურას დივიდენდების გადახდით, ახალი სესხების აღებით თუ ძველი სესხების დაბრუნებით.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და სავაჭრო და სხვა გადასახდელებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება. ჯგუფის სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება და ფული და ფულის ექვივალენტები.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	2,382	4,718
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7,504	7,597
სახელშეკრულებო აქტივი	-	204
საიჯარო აქტივები	123	187
გაცემული სესხები	18,500	3,285
სულ ფინანსური აქტივები	**28,509**	**15,991**

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	21,872	9,471
საიჯარო ვალდებულება	1,940	1,007
ნასესხები სახსრები	30,493	19,193
სულ ფინანსური ვალდებულებები	**54,305**	**29,671**

ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, გეოგრაფიული, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

გეოგრაფიული რისკი. ჯგუფის აქტივები ძირითადად საქართველოში მდებარეობს და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულადაა დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და წესრიგზე. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, ჯგუფი ექვემდებარება საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკებს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 1,903 ლარისა და 476 ლარის ოდენობით მდებარეობდა არა-ეთგო და ეთგო ქვეყნებში, შესაბამისად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 2,015 ლარისა და 188 ლარის ოდენობით მდებარეობდა არა-ეთგო და ეთგო ქვეყნებში, შესაბამისად. ჯგუფის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 315 ლარისა და 59 ლარის ოდენობით მდებარეობდა არა-ეთგო და ეთგო ქვეყნებში, შესაბამისად. დანარჩენი აქტივები და ვალდებულებები საქართველოშია.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც ჯგუფი სარგებლობს. ჯგუფის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებული ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	აშშ დოლარი 1 = 3.2766 ლარი	ევრო 1 = 4.0233 ლარი	აშშ დოლარი 1 = 2.8677 ლარი	ევრო 1 = 3.2095 ლარი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები		70	3,745	356
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		-	315	60
საიჯარო აქტივები		-	187	-
გაცემული სესხები		-	78	-
სულ ფინანსური აქტივები	**1,812**	**70**	**4,325**	**416**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	7,021	-	4,452	1,826
ნასესხები სახსრები	12,692	-	8,712	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**19,713**	**-**	**13,164**	**1,826**
სულ წმინდა პოზიცია	**(17,901)**	**70**	**(8,839)**	**(1,410)**

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს საანგარიშგებო დღეს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად კომპონენტებს:

2020 წლის 31 დეკემბერი	**აშშ დოლარი ზეგავლენა**		**ევრო ზეგავლენა**	
	ლარი/აშშ დოლარი + 20%	**ლარი/აშშ დოლარი + 20%**	**ლარი/ევრო + 20%**	**ლარი/ევრო - 20%**
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(3,580)	3,580	14	(14)

2019 წლის 31 დეკემბერი	**აშშ დოლარი ზეგავლენა**		**ევრო ზეგავლენა**	
	ლარი/აშშ დოლარი + 20%	**ლარი/აშშ დოლარი + 20%**	**ლარი/ევრო + 20%**	**ლარი/ევრო - 20%**
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(1,502)	1,502	(245)	245

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება უარყოფითად აისახება ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფზე საპროცენტო განაკვეთის შეზღუდული რისკი ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით.

<u>მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები</u>

ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი, ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობიარობა არაწრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება. მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში ჯგუფის ფინანსური

მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და სხვა დამცავი ზომები მიიღოს. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება აქციონერთა კაპიტალის რყევა გამოიწვიოს. მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ ჯგუფის თვალსაზრისს ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი საკმარისი სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა ისიცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი. ჯგუფზე მოქმედებს საკრედიტო რისკი, რომელიც იმის რისკია, რომ კლიენტი დროულად ვერ დაფარავს ჯგუფის მიმართ არსებულ დავალიანებას. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ჯგუფზე საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზემოქმედებას. თუმცა მოთხოვნების ამოღებაზე ეკონომიკური ფაქტორები მოქმედებს, ხელმძღვანელობას აზრით, უკვე აღრიცხული რეზერვების მიღმა ზარალის დიდი რისკი არ არსებობს. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია მაღალია, რადგან კლიენტების ბაზა პატარაა და დაკავშირებულია.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ჯგუფის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც ჯგუფს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს.

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე - 1 წელი	1-5 წელი	5+წელი	სულ
31 დეკემბერი 2020						
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15,890	-	-	5,982	-	**21,872**
ნასესხები სახსრები	196	4,197	12,493	17,737	1,868	**36,491**
	16,086	**4,197**	**12,493**	**23,719**	**1,868**	**58,363**

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე - 1 წელი	1-5 წელი	5+წელი	სულ
	1 თვეზე ნაკლები	**1-3 თვე**	**3 თვე - 1 წელი**	**1-5 წელი**	**5+წელი**	**სულ**
31 დეკემბერი 2019						
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9,471	-	-	-	-	**9,471**
ნასესხები სახსრები	1,855	5,220	8,655	8,148	567	**24,445**
	11,326	**5,220**	**8,655**	**8,148**	**567**	**33,916**

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს აქციონერებს, მეკავშირე საწარმოებს, ჯგუფის ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და ძირითადი მმართველი პესონალის შემადგენლობას. დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები:

	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის			
	საბოლოო აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	1,684	1	**1,685**
გაცემული სესხები	2	760	17,740	**18,502**
ნასესხები სახსრები	140	4,081	5,370	**9,591**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,932	-	2,560	**4,492**
ამონაგები	-	-	1,612	**1,612**
ფინანსური შემოსავალი	1	191	1,200	**1,392**
ფინანსური ხარჯი	10	373	354	**737**

	2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის			
	საბოლოო აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	6,240	98	**6,338**
გაცემული სესხები	-	942	2,343	**3,285**
ნასესხები სახსრები	616	5,191	1,951	**7,758**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	691	1,231	**1,922**
ამონაგები	-	-	2,484	**2,484**
ფინანსური შემოსავალი	-	-	43	**43**
ფინანსური ხარჯი	213	291	48	**552**

მენეჯმენტის ანაზღაურება

მენეჯმენტის ანაზღაურებამ, რაც თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებლითაა წარმოდგენილი, 2020 და 2019 წლების განმავლობაში შეადგინა 3,796 ლარის და 1,678 ლარი, შესაბამისად.

23. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები– 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა პირობითი ვალდებულებები 712 ლარისა და 712 ლარის ოდენობით, შესაბამისად. ჯგუფმა უნდა ააშენოს ბენზინგასამართი სადგურები იმ მიწაზე, რომელიც იჯარით აიღო თბილისის მერიისგან.

2020 წლის 9 ივნისს, ჯგუფმა ხელი მოაწერა საგარანტიო შეთანხმებას სს „ქართუ ბანკთან“. ხელშეკრულების საგანი იყო „ვიბრო დიაგნოსტიკის“ (კიდევ ერთი დაკავშირებული მხარე) ორი სესხის გარანტორის როლის შესრულება. ეს სესხები დაკავშირებულ მხარეს აღებული აქვს „ქართუ ბანკისგან“ 2016 წლის 26 ივლისს და 2016 წლის 27 ივლისს, შესაბამისად. ორივე სესხს ერიცხება საპროცენტო განაკვეთი 6%-ის ოდენობით და მათი ვადა 2024 წლის 26 დეკემბრამდეა. შპს „გეოდისტრიბუციის“, სს „თბილისი თამბაქოსა“ და შპს „თამბაქო ჰოლდინგის“ გარანტიის ლიმიტი მთლიანობაში 111,400 ლარის ტოლია. თუმცა 2020 წლის 31 დეკემბრის და ხელმოწერის თარიღის მდგომარეობით, ეს თანხა, რომლებზეც კომპანიები გამოდიან გარანტორად, შეადგენს 57,268 ლარსა და 50,468 ლარს, შესაბამისად. ამ საგარანტიო ხელშეკრულების საფუძველზე სს „თბილისის თამბაქოს“ ძირითადი საშუალებები დაგირავებულია. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო ფინანსური გარანტიის სამართლიანი ღირებულების დადგენა. თუმცა, მან შეაფასა გარანტიის მფლობელის დეფოლტირების შემთხვევაში, მისი შესაძლო ეფექტი ლიკვიდობის პოზიციაზე. აღნიშნული საგარანტიო შეთანხმებით გაცემული სესხების მთლიანი მიმდინარე ნაწილი 5,500 ლარის ტოლია.

სამართლებრივი დავები . 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო პროცესში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დაურიცხავი ზარალი არ წარმოიქმნება და შესაბამისად ანარიცხი არ გაკეთებულა ფინანსურ ანგარიშგებაში. 2020 წლის სექტემბერში დაიწყო სარჩელი ჯგუფის წინააღმდეგ უფილტრო თამბაქოსთან დაკავშირებული საპატენტო უფლებების დარღვევის შესახებ და მოეთხოვა კომპენსაცია 50,000 ათასი

ლარის ოდენობით. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჩაატარა სამართლებრივი საქმის ანალიზი და დაასკვნა, რომ ზემოაღნიშნული სარჩელიდან ფულის გადინება არ არის სავარაუდო.

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანზაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. ამ წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

კოვიდ-19. 2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება ახალი კორონავირუსული დაავადება (კოვიდ-19), რომელსაც 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მიანიჭა პანდემიის სტატუსი. ბევრი ქვეყნის მიერ კოვიდ-19-ის გავრცელების შესაკავებლად მიღებული ზომები მრავალი კომპანიისათვის მნიშვნელოვან საოპერაციო შეფერხებებს იწვევს და დიდ ზეგავლენას ახდენს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. სიტუაციის სწრაფი განვითარების გამო, ამან შეიძლება ბევრ სექტორში მოღვაწე კომპანიის ბიზნესებზე იმოქმედოს, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, შეაფერხოს ბიზნესის ოპერირება საწარმოო პროცესის შეწყვეტის ან ინფრასტრუქტურის დახურვის, მიწოდების ქსელის გაწყვეტის, პერსონალის კარანტინის, შემცირებული მოთხოვნისა და დაფინანსების მოძიების გართულების გამო. შედეგად, ჯგუფზე კოვიდ-19-ის მზარდი ეფექტი შეიძლება აისახოს გლობალურ ეკონომიკაზე და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე მისი უარყოფითი ზემოქმედების გამო. ჯგუფის ხელმძღვანელობა აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციაში მიმდინარე ცვლილებებს და იღებს აუცილებელ ზომებს ახლო მომავალში ჯგუფის სტაბილურობისა და განვითარების ტენდენციის შესანარჩუნებლად. თუმცა, ჯგუფის ბიზნესზე კოვიდ-19-ის ეფექტის მნიშვნელობა დიდწილადაა დამოკიდებული ხანგრძლივობასა და მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის ეფექტზე. ამჟამად ჯგუფის ოპერაციების მომავალ შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ეკონომიკური გარემოს ცვლილებების ეფექტის დადგენა რთულია.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შემდგომ პერიოდში ჯგუფის სტრუქტურაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- 2021 წელს ჯგუფმა დააარსა შვილობილი კომპანიები 100%-იანი წილის ფლობით: შპს „ჯეო ტექსტილი“, შპს „სმარტ დეველოპმენტი“, შპს „ჰილ საიდ დეველოპმენტი“ და შპს „სმარტ ჰოთელ მენეჯმენტი“.
- 2021 წელს ჯგუფმა გაყიდა მისი წილები „ჯორჯიან როუდ ქონსთრაქშენ ჯგუფსა“ და „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთში“.

2021 წელს ჯგუფმა გააკეთა დამატებითი ინვესტიცია შპს „სასტუმრო სიღნაღში“ 2,583 ლარის ოდენობთ.

ხელმოწერის თარიღისთვის თანხა, რომელზეც ჯგუფი წარმოადგენს გარანტორს, შეადგენდა 50,468 ლარს.

25. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ დაამტკიცა და გამოსაშვებად ნება დართო 2021 წლის 8 ნოემბერს.

ჯგუფის ბიზნესის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შპს „სმარტ კაპიტალ გრუპი“ („კომპანია“) დაარსდა 2014 წლის 2 აგვისტოს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო და შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო კოდით 404444703. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია გერგეთის ქუჩა #3. კომპანია და მისი შვილობილები („ჯგუფი“) კონსოლიდირებულია ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის აქტივები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, მათ შორისაა ხუთი ძირითადი სექტორი: ენერგეტიკა და ნავთობი, უძრავი ქონების და სასტუმროების განვითარება და მენეჯმენტი, სტუმართმოყვარეობის მენეჯმენტი, ტექნოლოგია, წარმოება და ლოჯისტიკა.

ჯგუფის სტრუქტურა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

დასახელება	ჯგუფის ქვეშ შესვლის თარიღი	წილი 31 დეკემბერი 2020	წილი 31 დეკემბერი 2019	საქმიანობის ტიპი
შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენი“ და მისი შვილობილები	12 იანვარი 2018	100%	100%	წარმოება და დისტრიბუცია
შპს „სმარტ კაპიტალ სფირითსი“ და მისი შვილობილები	8 აპრილი 2014	100%	100%	წარმოება და დისტრიბუცია
შპს „სმარტ ქონსალთენსი“	26 მარტი 2019	100%	100%	საკონსულტაციო მომსახურება
შპს „კლარენ ჯორჯია“	6 აგვისტო 2014	100%	100%	მანქანების გაქირავების სერვისი
შპს „სმარტ ტრეიდინგი“	5 მაისი 2015	60%	60%	უძრავი ქონება
„რეალ ესთეით აჭარა“ და მისი შვილობილი	20 ნოემბერი 2017	100%	100%	უძრავი ქონება
„სკ რეალ ესთეით და დეველოფმენთი“ და მისი შვილობილი	8 იანვარი 2018	100%	100%	სიღნაღში მაღალი დონის სასტუმროს მშენებლობა და ოპერირება
„სმარტ ენერჯი“ და მისი შვილობილები	2 ივნისი 2017	100%	100%	საწვავის ტრანსპორტირების სერვისი და ბენზინგასამართი
„სმარტ კაპიტალ ჰოსფითალითი“ და მისი შვილობილები	26 მარტი 2019	100%	100%	სადგურების გაქირავება მაღალი დონის რესტორნების ოპერირება
შპს „ ინოვეიშენ ტექნოლოჯი“	21 მარტი 2018	100%	100%	ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისი
შპს „სმარტ კაპიტალ ტექნოლოჯი“	26 აგვისტო 2019	100%	100%	ტექნოლოგიური სერვისები
შპს „სმარტ ლოჯისტიკსი“	18 ივნისი2014	55%	55%	ლოჯისტიკა
შპს „თბილმოტორსი)	8 ივლისი 2020	100%	50%	უმოქმედო

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი პირები იყვნენ ივანე ჩხარტიშვილი, ნათია ჩხარტიშვილი და მიხეილ ჩხარტიშვილი 51%, 24.5% და 24.5% წილების შესაბამისად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი იყო მიხეილ ჩხარტიშვილი.

2018 წლის 22 იანვარს კომპანიამ დააფუძნა ერთობლივი საწარმო შპს „თამბაქო ჰოლდინგი“ 50%-იანი წილით. 2019 წლის 9 სექტემბერს 5%-იანი წილი გადაეცა შპს „ჯორჯიან რეალ ესთეით ჯგუფს“.

2019 წლის 7 მარტს კომპანიამ სს „თბილისის თამბაქოს“ 42,5% აქცია შეიძინა. დამატებითი 7,5% აქციები შეიძინა 2019 წლის 5 აპრილს. 2019 წლის 4 ივნისს კომპანიამ მოიპოვა კონტროლი თბილისის თამბაქოს სს და გახდა კომპანიის 100% აქციონერი.

2019 წლის 23 ოქტომბერს კომპანიამ შეიძინა ერთობლივი საწარმოს - შპს „გეოდისტრიბუციის“ აქციების 50%. გეოდისტრიბუცია ეწევა სს „თბილისის თამბაქოსგან“ შეძენილი თამბაქოს ნაწარმის დისტრიბუციას.

2018 წლის 12 იანვარს შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენის“ დაფუძნება და სს „თბილისის თამბაქოს“ დარჩენილი წილების შეძენა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ განიხილება, როგორც ჯგუფის ფორმირება საერთო კონტროლის ქვეშ, რადგან იმ სუბიექტების ამჟამინდელი საბოლოო მფლობელი, ბ-ნ მიხეილ ჩხარტიშვილს წილი ჰქონდა სს „თბილისის თამბაქოში“ ამ ტრანზაქციებამდეც.

2018 წლის 25 იანვარს ჯგუფმა დააფუძნა შვილობილი, შპს „სმარტ კაპიტალ შილდა“, რომელმაც 2018 წლის 30 იანვარს ჯგუფმა შეისყიდა 100%-იანი წილი შემდეგ ორ კომპანიაში: შპს „თელავი დისტილერი“ და შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ .

2018 წლის 23 მაისს ჯგუფმა დააფუძნა შვილობილი - შპს „შილდა ტურიზმი“, რომელიც აქვს ტურისტული სერვისები.

2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა დააფუძნა შვილობილი კომპანია - შპს „კახეთი დისტილერი“ (100%), რომელსაც ჯერ არ დაუწყია აქტიური ოპერაციები და ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში - შპს „შილდა დისტილერი“ (50%) და შპს „ღვინის კულტურა“ (50%).

6 ha მიწის ნაკვეთზე განთავსებულია:
- შილდა ღვინის ქარხანა
- შილდას ალჰოკოლური სასმელების ქარახანა
- შილდას ჩამოსასხმელი ხაზი
- შილდას ტურისტული ცენტრი და ღვინის დეგუსტაციის ფართი

ჯგუფის წარმოება ფრანგული და იტალური შეიარაღებითა წარმოდგენილი. მისი წლიური წარმადობა შვიდი მილიონი ბოთლია, ხოლო 52 ავზში 1,500,000 ლიტრი ღვინისა და 450,000 ლიტრი კონიაკის შენახვა შეიძლება. მეღვინეობის მთავარი მიზანია მაღალი ხარისხის შენარჩუნება საუკუნოვანი ცოდნისა და ინოვაციების კომბინირების საფუძველზე.

2020 წლის დეკემბერში საბოლოო მფლობელების სტრუქტურა შეიცვალა შემდეგნაირად: ივანე ჩხარტიშვილი ფლობს 51%-ს, მიხეილ ჩხარტიშვილი და ნათია ჩხარტიშვილი ფლობენ 24.5% და 24.5% წილებს, შესაბამისად.

თამბაქოს ნაწარმი

2019 წლის მეორე ნახევარში სააქციზო გადასახადი საგრძნობლად გაიზარდა, რამაც შეამცირა ხელმისაწვდომობა სიგარეტსა და მისი ბაზარი. ამ გამოწვევას ჯგუფმა წარმატებით უპასუხა დაფასოებული თამბაქოს წარმოებით, რომელიც პირველი იყო ბაზარზე. ჯგუფი ყიდის სხვადასხვა ხარისხისა და ფასის თამბაქოს. ქვემოთ ჩამოთვლილია თამბაქოს ძირითადი პროდუქტები:

თამბაქო პირველი – ეს პროდუქტი ბაზარზე წარმოდგენილ იქნა 2019 წლის ნოემბერში. იგი წარმოდგენილია ორი მარკით - წითლითა და ლურჯით და ორი - 50 გრ და 100 გრ შეფუთვით. ეს თამბაქო გამოირჩევა უნიკალური გემოთი და ხელმისაწვდომი ფასით და არის მაღალი ხარისხისა და გონივრული ფასის დაბალანსების კარგი მაგალითი.

თამბაქო რიო - ეს პროდუქტი ბაზარზე გამოჩნდა 2019 წლის ნოემბერში. იგი წარმოდგენილია ორი - 50 გრ და 100 გრ შეფუთვით. რიოს უნიკალურმა ბლენდმა უზრუნველყო მისი სწრაფი გავრცელება საქართველოს ბაზარზე.

თამბაქო ამერიკან გოლდი - ეს პროდუქტი ბაზარზე გამოჩნდა 2019 წლის დეკემბერში. იგი წარმოდგენილია ორი - 50 გრ და 100 გრ შეფუთვით. კონკურენტულმა ფასმა და მაღალი ხარისხის თამბაქომ თავიდანვე მიიზიდა ბევრი მწეველი.

თამბაქო ბრიტიშ როიალი - ეს პროდუქტი ბაზარზე გავიდა 2020 წლის ივლისში. იგი წარმოდგენილია ორი - 50 გრ და 100 გრ შეფუთვით. ბრიტიშ როიალი უმაღლესი ხარისხის თამბაქოა და ბაზარზე გასვლისთანავე დიდი პოპულარობა შეიძინა.

სიგარეტი

„პირველი“ სიგარეტის პირველი ქართული ბრენდია. პროდუქტის მაღალი ხარისხისა და მთელ ქვეყანაში ხელმისაწვდომობის გამო მან მკვიდრად მოიკიდა ფეხი ბაზარზე და დიდი რაოდენობის ერთგული მწეველი ჰყავს.

„პირველი ინტერ რედი“ – „პირველი ინტერი“ საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი ბრენდია და პირველია, რომელიც კლიენტებს ჯგუფმა შესთავაზა. იგი წარმოდგენილია „პირველი ინტერ რედითა“ და „პირველი ინტერ ბლუთი“. ეს ორი მარკა კონსისტენტურობით განსხვავდება.

„**პირველი პრემიუმ ბლუ**“ – „პირველის“ ბრენდი „პირველი პრემიუმის“ შემოტანით გაფართოვდა. მაღალი ხარისხის თამბაქოსა და ბრენდის მაღალი სანდოობის წყალობით „პირველი პრემიუმმა“ სწრაფად მოიპოვა ერთგული მომხმარებლები და გახდა ქართული ბაზრის ერთერთი ყველაზე წარმატებული ბრენდი.

ჯგუფის სადისტრიბუციო ქსელი მთელ ქვეყანას მოიცავს და მისი პროდუქტები ყველა რეგიონშია წარმოდგენილი. სადისტრიბუციო მომსახურებას ექსკლუზიურად უზრუნველყოფს შპს „გეოდისტრიბუცია“. არსებული პროდუქტების მუდმივი გაუმჯობესება და ახალი ბრენდების შემოტანა, რომლებიც მომხმარებელთა მოთხოვნებს შეესაბამება, კორპორატიული მმართველობითი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია.

კომპანია კონკურენციას უპირველეს ყოვლისა პროდუქციის ხარისხის, ბრენდის აღიარების, ბრენდის ლოიალობის, გემოვნებისა და საცალო ფასის საფუძველზე.

ჯგუფის სტრატეგია წარმოადგენს მაღალი ხარისხის თამბაქოს ნაწარმის დამზადება და კლიენტებისათვის მიყიდვა. ამ მიზნის მისაღწევად ჯგუფს მაღალი ხარისხის თამბაქოს ფოთლები შემოაქვს მსოფლიოს წამყვანი მომწოდებლებისგან.

ჯგუფის 2020 და 2019 წლების შედეგები იყო შემდეგი:

	2020	2019
ამონაგები	108,137	17,242
მთლიანი მოგება	27,196	6,394
წმინდა მოგება	16,706	26,449
მთლიანი მოგების მარჟა (%)	25%	37%

2020 წელს შემოსავლების ზრდა გამოწვეულია შპს „გეოდისტრიბუციის“ შესყიდვით, რომელიც თამბაქოსა და სიგარეტის დამზადება-გაყიდვითაა დაკავებული.

2020 წელს ჯგუფმა მოიპოვა სრული კონტროლი შპს „თამბაქო ჰოლდინგსა“ და შპს „გეოდისტრიბუციაზე, რათა დაესრულებინა თამბაქოს კომპანიების ფორმირება ერთი ჯგუფის ქვეშ.

ღვინის პროდუქცია

ამჟამად ჯგუფი აწარმოებს ოცზე მეტი დასახელების ღვინოს, კონიაკს და ქართულ ტრადიციულ სასმელს - ჭაჭას ორი ხაზის გამოყენებით:

- კაკაბაძის ხაზი - ღვინის ეტიკეტზე გამოსახულია ცნობილი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის (1889-1952) ფერადი პეიზაჟები. ჯგუფს აქვს ექსკლუზიური უფლება დავით კაკაბაძის ნახატების ეტიკეტზე რეპროდუცირებასთან დაკავშირებით მხატვრის ოჯახის თანხმობით.
- რუსთაველის ხაზი - იწარმოება პრემიუმ ტიპის ღვინოები: ცოლიკაური, შარდონე, კრახუნა, ქვევრის საფერავი, უსახელოური

შპს „თელავი დისტილერმა“ და შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიამ“ გაყიდვები 2017 წელს დაიწყეს და ერთ წელიწადში მიაღწია წელიწადში 1 მილიონი ბოთლის გაყიდვების მოცულობას. კერძოდ:

- გაყიდვების 76% (571,000 ბოთლი) მოდის რუსეთზე;
- გაყიდვების 9% (203,000 ბოთლი) მოდის ჩინეთზე;
- გაყიდვების 5% (118,600 ბოთლი) მოდის ბრაზილიაზე;
- გაყიდვების 10% (107,400 ბოთლი) მოდის ევროპის ბაზარზე.

კომპანიის უმსხვილესი კლიენტები არიან რუსეთიდან („ვინისტილი“, „ალიანტა გრუპი“, სავაჭრო სახლი „რუსიმპორტი“) და ჩინეთიდან („შანგჰაი ქი პან ტრეიდინგ კო“, „აგრიქალჩარ გრუპი“, „ფოშან ბლექ სი ვაინ კო“).

ჯგუფის გაყიდვების უდიდესი ნაწილი ხორციელდება კრედიტით. კრედიტის ვადები კლიენტებთან ნულიდან 60 დღემდე მერყეობს. ჯგუფში არის უიმედო მოთხოვნების დასაფარი ნაშთები, რომელთა რეზერვირება მოხდა კომპანიის უიმედო მოთხოვნების ანარიცხების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან კრედიტის ვადა ნულიდან 45 დღემდე მერყეობს.

მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები, წარმოების მიზანი და ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა

მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

	რისკისა და განუსაზღვრელობის განმარტება	ხელმძღვანელობის პასუხი
1	სავალუტო რისკი - საქონლის ნაწილის ყიდვა-გაყიდვა ხდება უცხოურ ვალუტაში. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო არსებობს პოტენციური ზარალის რისკი. ამ ფაქტის გამო, პრობლემატურია აგრეთვე ფასის კორექტირება.	ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებას, ადგენს მოკლე და გრძელვადიან მოლოდინებს და შესაბამისად გეგმავს ყოველთვიურ და ყოველწლიურ ბიუჯეტებს.
2	პოლიტიკური რისკები - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტების მოთხოვნაზე, შემოსავლებსა და მოგებიანობაზე.	ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება პოლიტიკურ მოვლენებს, რათა განჭვრიტოს პოტენციური შედეგები და გააკეთოს აუცილებელი და ადეკვატური ცვლილებები.
3	კოვიდ-19-ის რისკი - ბიზნესის ოპერაციების შეწყვეტა წარმოების შეწყვეტის ან ობიექტების დახურვის გამო. მიწოდების ქსელის ჩავარდნამ, პერსონალის კარანტინმა შეამცირა მოთხოვნა და გაართულა დაფინანსების მოზიდვა.	მენეჯმენტი ყველა ზომასა და ჯანდაცვის ორგანიზაციების რეკომენდაციას ახორციელებს იმისათვის, რათა ოპერაციები შესაბამისობაში იყოს კოვიდ-19-თან დაკავშირებულ სამართლებრივ მოთხოვნებთან და ჯგუფს არ მოუხდეს ოპერირების შეწყვეტა.
4	აქციზიანი სიგარეტების მოხმარება კვლავაც მცირდება-ეს შემცირება მრავალი ფაქტორითაა გამოწვეული, მათ შორისაა გაზრდილი გადასახადები და ფასები, მთავრობის აქტები, მოწევის მიმართ შემცირებული სოციალური ტოლერანტობა, უწყვეტი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური განუსაზღვრელობა. სიგარეტს მაღალი გადასახადი ერიცხება. შემოთავაზებული და უკვე აღსრულებულია სიგარეტთან დაკავშირებული გადასახადების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც სავარაუდოდ მრავალ იურისდიქციაში კვლავაც გაგრძელდება. გადასახადების ზრდამ შეიძლება არაპროპორციულად იმოქმედოს ჩვენს მომგებიანობაზე და ნაკლებ კონკურენტულები გაგვხადოს საბაზრო მეტოქეების მიმართ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება მოხმარების ტენდენციას და გეგმავს ხარისხის შენარჩუნებასა და ახალი პროდუქტების შემოტანას საბაზრო წილის გაზრდისა და კონკურენტულობის შენარჩუნების მიზნით.	მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება მოხმარების ტენდენციას და გეგმავს ხარისხის შენარჩუნებას და პროდუქციის ახალი ასორტიმენტის დანერგვას ბაზრის წილის გაზრდისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. მენეჯმენტი ახორციელებს გაყიდვების ყოველდღიურ ანალიზს და აკეთებს პროგნოზებს სიგარეტთან დაკავშირებულ გადასახადებისთვის, რათა შეიმუშაოს მდგრადობის გეგმა მომავალი პერიოდებისთვის.

მომავალი პერსპექტივები

ჯგუფის ოპერაციებზე კოვიდ-19-ის რეგულაციებზე მნიშვნელოვნად არ უმოქმედია. ჯგუფი ყველა რეკომენდაციასა და რეგულაციას ასრულებს, რათა მის ოპერაციებს შეწყვეტის საფრთხე არ დაემუქროს. ჯგუფი გეგმავს პორტფელის გაფართოებას საერთაშორისო ბაზრებზე მორგებული პროდუქტების შემუშვებით, რაც, მისი აზრით, გაზრდის ბაზარზე ჯგუფის წილს და მისაღებ შემოსავალს.

ალკოჰოლურ პროდუქტებზე მოთხოვნა იზრდება. კომპანიას დაგეგმილი აქვს, 2021 წლისათვის წელიწადში 1.5 მილიონი ბოთლის გაყიდვებს მიაღწიოს და შემდგომ წლებში ეს რიცხვი კიდევ უფრო გაზარდოს.

ჯგუფი გეგმავს ვენახების გაშენებას მარაგების თვითღირებულების შემცირებისა და მთლიანი მარჟის გაზრდის მიზნით. ვენახების გაშენება უკვე დაწყებულია.

თარჯიმანი: ნინო მახარაძე

სმარტ კაპიტალ ჯრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მმართველობითი ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სმარტ კაპიტალ გრუპი

შინაარსი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-5
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:	
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით	23
5. შვილობილი კომპანიების შესყიდვა	25
6. ამონაგები	27
7. ამონაგების თვითღირებულება	28
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	28
9. ფინანსური ხარჯი	28
10. ძირითადი საშუალებები	29
11. საინვესტიციო ქონება	30
12. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	30
13. გაცემული სესხები	31
14. მარაგები	31
15. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	32
16. ფული და ფულის ექვივალენტები	33
17. საწესდებო კაპიტალი და დაგროვილი მოგება	33
18. ნასესხები სახსრები	34
19. გადასახდელი გადასახადები	34
20. სახელშეკრულებო ვალდებულებები	34
21. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	35
22. ფინანსური ინსტრუმენტები	35
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	39
23. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	40
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	41
25. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	41
მმართველობითი ანგარიშგება	42

სმარტ კაპიტალ გრუპი

„ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე“

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სმარტ კაპიტალ გრუპის“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობას 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის უწყვეტად ფუნქციონირების მუშაობის უნარის შეფასებაზე;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შიდა კონტროლებზე, რომლებიც ხელმძღვანელობის აზრით საჭიროა ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც არ შეიცავს არსებით უზუსტობებს, გამოწვეული იქნება ეს თაღლითობისგან თუ შეცდომისგან.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობით ანგარიშგებაში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობით ანგარიშგებაში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2029 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 8 ნოემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით

_____

რატი ღვამბერია
გენერალური დირექტორი
8 ნოემბერი 2021
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სმარტ კაპიტალ გრუპის“ აქციონერებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სმარტ კაპიტალ გრუპის“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით (ერთობლივად „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველში“ აღწერილი საკითხის ზემოქმედების შედეგისა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის 30 მარტს და არ დავსწრებივართ 2020 წლის 1 იანვარს ჩატარებულ მარაგების ფიზიკურ დათვლას. ჩვენ, ალტერნატიული საშუალებებით, ვერ დავრწმუნდით 2020 წლის 1 იანვრისთვის ფლობილი მარაგების რაოდენობაში. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთები შედის ფინანსური შედეგების გაანგარიშებაში, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იყო თუ არა კორექტირება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ კონსოლიდირებულ წლიურ მოგებასთან და კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებთან მიმართებაში.

როგორც ეს კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მე-23 შენიშვნაშია განმარტებული ჯგუფმა გასცა ფინანსური გარანტია მეკავშირე საწარმოს მიერ მიღებულ სესხთან დაკავშირებით. ჯგუფს იმ მომენტისთვის აღნიშნული ფინანსური გარანტიის სამართლიანი ღირებულება არ დაუდგენია და არ ასახა საგარანტიო კონტრაქტის ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბერს, რაც წარმოადგენს ფასს 9 სტანდარტის, „ფინანსური ინსტრუმენტები“ დარღვევას. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფისთვის საგარანტიო კონტრაქტის რისკი 57,268 ათასი ლარით შემოიფარგლება. ჩვენ ვერ შევძელით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებებსა და კაპიტალზე და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე ამ დარღვევის ეფექტის დადგენა.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას. ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენს პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში, იმის დადგენას, ხომ არ არის არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვაგვარად არსებითი შეცდომების შემცველი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ მმართველობით ანგარიშგებაში მოცემულია არსებითად მცდარი ინფორმაცია, ჩვენ მოვალენი ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

როგორც აღნიშნულია პირობითი მოსაზრების საფუძვლის სექციაში ზემოთ, ჩვენ ვერ შევძელით, დავსწრებოდით მარაგების ფიზიკურ დათვლას 2020 წლის 1 იანვარს. ასევე, ჯგუფმა არ განსაზღვრა გაცემული ფინანსური გარანტიების სამართლიანი ღირებულება აღიარებისას და არ გაუზომავს გარანტიის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, ჩვენ არ შეგვიძლია დავასკვნათ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად არაზუსტი პირველ საკითხთან მიმართებაში და ჩვენ დავასკვენით, რომ სხვა ინფორმაცია არის არსებითად არაზუსტი თანხებთან ან სხვა საკითხებთან მიმართებაში, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში მეორე საკითხთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

6. ...

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევარჩიეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

გარდა ჩვენი ანგარიშის კვალიფიციური დასკვნის საფუძველში აღწერილი საკითხისა, ჩვენი აზრით:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

ნ. ...

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობით ანგარიშგებაში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობით ანგარიშგებაში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

სრბუჰი ჰაკობიანი
დელოიტი და ტუშის სახელით

2021 წლის 8 ნოემბერი
თბილისი, საქართველო

სმარტ კაპიტალ გრუპი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრისთვის დამთავრებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	6	108,137	17,242
ამონაგების თვითღირებულება	7	(80,941)	(10,848)
მთლიანი მოგება		**27,196**	**6,394**
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები		(720)	(652)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(15,085)	(11,888)
მოგება ინვესტიციაზე	5	1,532	2,229
მოგება ხელსაყრელი შესყიდვიდან	5	1,961	25,391
წილი მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების შედეგებიდან	5	5,988	8,229
სხვა შემოსავალი		374	-
სხვა ხარჯი		(388)	(504)
ფინანსური შემოსავალი		1,392	293
ფინანსური ხარჯი	9	(2,754)	(2,123)
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		(1,942)	(903)
მოგება გადასახადამდე		**17,554**	**26,466**
მოგების გადასახადის ხარჯი		(848)	(17)
წლიური მოგება		**16,706**	**26,449**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		**16,706**	**26,449**
მიეკუთვნება:			
დამფუძნებლის მფლობელებს		16,531	26,515
არამაკონტროლებელ წილს		175	(66)
		16,706	**26,449**

ხელმძღვანელობის სახელით

რატი ღვამბერია

გენერალური დირექტორი

8 ნოემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-41 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სმარტ კაპიტალ გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრისთვის დამთავრებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	40,746	33,327
საინვესტიციო ქონება	11	4,428	1,244
აქტივის გამოყენების უფლება		1,062	1,036
არამატერიალური აქტივები		182	65
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	12	10,064	5,699
ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში		65	494
გაცემული სესხები	13	15,786	3,285
გადახდილი ავანსები		31	57
გრძელვადიანი მარაგები	14	1,707	1,624
სულ გრძელვადიანი აქტივები		**74,071**	**46,831**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	18,651	13,140
საიჯარო აქტივი		123	187
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	15	7,504	7,597
სახელშეკრულებო აქტივები		-	204
გადახდილი ავანსები		603	766
გაცემული სესხები	13	2,714	-
ფული და ფულის ექვივალენტები	16	2,382	4,718
სულ მიმდინარე აქტივები		**31,977**	**26,612**
სულ აქტივები		**106,048**	**73,443**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	14,998	18,473
გაუნაწილებელი მოგება	17	29,675	17,940
შპს „სმარტ კაპიტალ გრუპის" მფლობელების კუთვნილი კაპიტალი		**44,673**	**36,413**
არამაკონტროლებელი წილი		1,599	1,424
სულ კაპიტალი		**46,272**	**37,837**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	18	14,072	6,505
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	19	5,982	-
სახელშეკრულებო ვალდებულებები	20	3,179	3,336
საიჯარო ვალდებულება		1,710	972
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**24,943**	**10,813**
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	18	16,421	12,688
საიჯარო ვალდებულება		230	35
გადასახდელი გადასახადები	19	2,292	2,599
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	21	15,890	9,471
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**34,833**	**24,793**
სულ ვალდებულებები		**59,776**	**35,606**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**106,048**	**73,443**

ხელმძღვანელობის სახელით

რატი ღვამბერია

გენერალური დირექტორი

8 ნოემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-41 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სმარტ კაპიტალ გრუპი

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრისთვის დამთავრებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შეტანილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	შპს „სმარტ კაპიტალ გრუპის“ მფლობელის კაპიტალი	არამაკონტროლ ებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი	**18,337**	**(8,642)**	**9,695**	**27**	**9,722**
წლიური მოგება	-	26,515	**26,515**	(66)	**26,449**
წილის გადაცემა	-	-	-	1,463	**1,463**
დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციის მოგება	-	67	**67**	-	**67**
კაპიტალში შენატანები (შენიშვნა 17)	2,814	-	**2,814**	-	**2,814**
კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 17)	(2,678)	-	**(2,678)**	-	**(2,678)**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	**18,473**	**17,940**	**36,413**	**1,424**	**37,837**
წლიური მოგება	-	16,531	**16,531**	175	**16,706**
გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები	-	(4,796)	**(4,796)**	-	**(4,796)**
კაპიტალში შენატანები (შენიშვნა 17)	161	-	**161**	-	**161**
კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 17)	(3,636)	-	**(3,636)**	-	**(3,636)**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	**14,998**	**29,675**	**44,673**	**1,599**	**46,272**

ხელმძღვანელობის სახელით

რატი ღვამბერია

გენერალური დირექტორი

8 ნოემბერი 2021
თბილისი, საქართველო

10-41 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სმარტ კაპიტალ გრუპი

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრისთვის დამთავრებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	Note	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე		17,554	26,466
შესწორებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		2,868	2,614
მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი, წმინდა	8	724	1,490
მოგება ინვესტიციაზე	5	(1,532)	(2,229)
მოგება ხელსაყრელ შესყიდვაზე	5	(1,961)	(25,391)
წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების შედეგებში	5	(5,988)	(8,229)
მარაგების რეზერვი		1,252	391
ფინანსური შემოსავალი		(1,391)	(293)
ფინანსური ხარჯი	9	2,754	2,123
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი		1,942	903
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული ზარალი		(252)	6
ფულის შემოდინება(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		**15,970**	**(2,149)**
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების კლება		3,101	13,328
გადახდილი ავანსების კლება/(ზრდა)		1,096	(525)
მარაგების ზრდა		(4,786)	(679)
გადასახდელი გადასახადების კლება		(578)	(8,914)
სახელშეკრულებო ვალდებულებების (კლება)/ზრდა		(312)	1,135
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ზრდა/(კლება)		2,987	(388)
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**17,478**	**1,808**
გადახდილი პროცენტი		(1,126)	(2,239)
გადახდილი მოგებიდან გადასახადი		(624)	(8)
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან*		**15,728**	**(439)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შვილობილი კომპანიის შესყიდვა		869	(3,810)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(5,378)	(2,130)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების რეალიზაცია		754	783
საინვესტიციო ქონების შესყიდვა		(2,127)	-
გაცემული სესხების წმინდა ცვლილება		(11,689)	(1,205)
წილის გადაცემა		-	1,526
ერთობლივი საწარმოს აქციების შესყიდვა		-	(50)
მიღებული დივიდენდები		5,923	7,722
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		(4,361)	(4)
წმინდა ფულადი (გადინება)შემოდინება საინვესტიციო საქმიანობიდან		**(16,009)**	**2,832**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული შენატანი კაპიტალში	17	162	884
კაპიტალის შემცირება	17	(3,636)	(748)
გადახდილი დივიდენდები	17	(4,796)	-
ფინანსური იჯარიდან მიღებული შემოსავალი		187	199
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(152)	(331)
ნასესხები სახსრების მიღება	18	77,565	19,504
ნასესხები სახსრების დაფარვა	18	(71,386)	(17,770)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(2,056)**	**1,738**
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა კლება		(2,337)	**4,131**
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		1	5
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	16	**4,718**	**582**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		**2,382**	**4,718**

*წმინდა ფულადი შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან მოიცავს საბრუნავი კაპიტალის ცვლილებას მე-5 შენიშვნაში აღწერილი შვილობილი კომპანიების საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვის შემდეგ.

ხელმძღვანელობის სახელით

რატი ღვამბერია

გენერალური დირექტორი

8 ნოემბერი 2021
თბილისი, საქართველო
10-41 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბ. ...

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სმარტ კაპიტალ გრუპი“ („კომპანია“) დაარსდა 2014 წლის 2 აგვისტოს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო და შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო კოდით 404444703. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია გერგეთის ქუჩა #3. კომპანია და მისი შვილობილები („ჯგუფი“) კონსოლიდირებულია ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის აქტივები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, მათ შორისაა ხუთი ძირითადი სექტორი: ენერგეტიკა და ნავთობი, უძრავი ქონების და სასტუმროების განვითარება და მენეჯმენტი, სტუმართმოყვარეობის მენეჯმენტი, ტექნოლოგია, წარმოება და ლოჯისტიკა.

ჯგუფის სტრუქტურა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

დასახელება	ჯგუფის ქვეშ შესვლის თარიღი	წილი 31 დეკემბერი 2020	წილი 31 დეკემბერი 2019	საქმიანობის ტიპი
შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენი“ და მისი შვილობილები	12 იანვარი 2018	100%	100%	წარმოება და დისტრიბუცია
შპს „სმარტ კაპიტალ სფირითსი“ და მისი შვილობილები	8 აპრილი 2014	100%	100%	წარმოება და დისტრიბუცია
შპს „სმარტ ქონსალთენსი“	26 მარტი 2019	100%	100%	საკონსულტაციო მომსახურება
შპს „კლარენ ჯორჯია“	6 აგვისტო 2014	100%	100%	მანქანების გაქირავების სერვისი
შპს „სმარტ ტრეიდინგი“	5 მაისი 2015	60%	60%	უძრავი ქონება
„რეალ ესთეით აჭარა“ და მისი შვილობილი	20 ნოემბერი 2017	100%	100%	უძრავი ქონება
„სკ რეალ ესთეით და დეველოფმენთი“ და მისი შვილობილი	8 იანვარი 2018	100%	100%	სიღნაღში მაღალი დონის სასტუმროს მშენებლობა და ოპერირება
„სმარტ ენერჯი“ და მისი შვილობილები	2 ივნისი 2017	100%	100%	საწვავის ტრანსპორტირების სერვისი და ბენზინგასამართი სადგურების გაქირავება
„სმარტ კაპიტალ ჰოსფითალითი“ და მისი შვილობილები	26 მარტი 2019	100%	100%	მაღალი დონის რესტორნების ოპერირება
შპს „ ინოვეიშენ ტექნოლოჯი“	21 მარტი 2018	100%	100%	ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისი
შპს „სმარტ კაპიტალ ტექნოლოჯი“	26 აგვისტო 2019	100%	100%	ტექნოლოგიური სერვისები
შპს „სმარტ ლოჯისტიკსი“	18 ივნისი2014	55%	55%	ლოჯისტიკა
შპს „თბილმოტორსი)	8 ივლისი 2020	100%	50%	უმოქმედო

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი პირები იყვნენ ივანე ჩხარტიშვილი, ნათია ჩხარტიშვილი და მიხეილ ჩხარტიშვილი 51%, 24.5% და 24.5% წილების შესაბამისად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი იყო მიხეილ ჩხარტიშვილი.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომლების რაოდენობა შეადგენდა 401 და 352-ს, შესაბამისად.

2. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) ინტერპრეტაციების გამოყენება

მიმდინარე წელს ჯგუფმა გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. მათ გამოყენებას არ ჰქონია რაიმე არსებითი ეფექტი წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

საპროცენტო განაკვეთის ბაზისის ცვლილება ფასს 9 და ფასს 7 სტანდარტების შესწორება

2019 წლის სექტემბერში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა „საპროცენტო განაკვეთის ბაზისის ცვლილება“ (შესწორება სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7). აღნიშნული შესწორებებით შეიცვალა ჰეჯირების აღრიცხვის კონკრეტული მოთხოვნები, რომელთა მიხედვით, დაშვებულია, ზეგავლენის ქვეშ მყოფი ჰეჯის აღრიცხვა გაგრძელდეს განუსაზღვრელობის პერიოდში, სანამ მოქმედი საპროცენტო განაკვეთების მოქმედების ქვეშ მყოფი ჰეჯირებული ერთეულები ან ჰეჯირების ინსტრუმენტები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ბაზისის მიმდინარე რეფორმის შედეგად.

ეს შესწორებები არ ეხება ჯგუფს, რადგან იგი რისკის ქვეშ მყოფ საბაზისო საპროცენტო განაკვეთებზე ჰეჯირებას არ აღრიცხავს. შესაბამისად, აღნიშნული შესწორებების გამოყენება ზეგავლენას არ ახდენს ჯგუფის 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის ბუღალტრულ აღრიცხვაზე.

ამ შესწორებებით აგრეთვე შემოვიდა ფასს 7 სტანდარტით გათვალისწინებული განმარტების ახალი მოთხოვნები, რომლებიც ჰეჯირების ისეთ ურთიერთობებს ეხება, რომლებზეც ვრცელდება ფასს 9 სტანდარტის შესწორებით შემოტანილი გამონაკლისები.

კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათები შესწორება სტანდარტში ფასს 16

2020 წლის მაისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა „კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათები“ (შესწორება სტანდარტში 16), რომლითაც მოიჯარეებს მიეცა საშუალება, აღრიცხონ კოვიდ-19-ით პირდაპირ გამოწვეული ქირის დათმობა ფასს 16 სტანდარტში შეტანილი პრაქტიკული შეღავათის საშუალებით. ეს უკანასკნელი მოიჯარეს საშუალებას აძლევს, სურვილის შემთხვევაში, არ შეაფასოს, არის თუ არა კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარე, რომელიც ამ შეღავათით ისარგებლებს, კოვიდ-19-ით გამოწვეულ ქირის დათმობით მიღებული საიჯარო გადახდის ნებისმიერ ცვლილებას აღრიცხავს ფასს 16 სტანდარტის გამოყენებით, ისე, თითქოს ცვლილება იჯარის მოდიფიკაციას არ წარმოადგენდეს. ჯგუფმა გადაწყვიტა, არ გამოიყენოს კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათების მიდგომა, მან ხელახლა შეაფასა შესწორებული საიჯარო ხელშეკრულებები და დაასკვნა, რომ ისინი მოდიფიკაციას წარმოადგენს.

ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებათა შესწორებები

ჯგუფმა „ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებათა შესწორებებში“ შესული შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. ეს შესწორებები მოიცავს ზეგავლენის ქვეშ მყოფი სტანდარტების შესწორებას ისე, რომ მათში მითითება მოცემული იყოს ახალ კონცეპტუალურ ჩარჩოზე. თუმცა, მითითებები განახლებული ყველა შესწორებაში არაა. ზოგიერთი შემთხვევაში განახლება მიზნად ისახავს მხოლოდ იმის ჩვენებას, თუ კონცეპტუალური ჩარჩოს რომელ ვარიანტზეა მითითება (2001 წლის სტანდარტების საბჭოს მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ჩარჩოზე, 2010 წლის სტანდარტების საბჭოს ჩარჩოზე თუ 2018 წლის ახალ, გადამუშავებულ ჩარჩოზე) ან იმის ჩვენებას, რომ სტანდარტში მოცემული განსაზღვრებები არ განახლებულა კონცეპტუალური ჩარჩოს გადამუშავებული ვარიანტის შესაბამისად.

შესწორებები ეხება სტანდარტებს ფასს 2, ფასს 3, ფასს 6, ფასს 14, ბასს 1, ბასს 8, ბასს 34, ბასს 37, ბასს 38, ფაისკ 12, ფაისკ 19, ფაისკ 20, ფაისკ 22 და სიკ-32.

შესწორება სტანდარტში ფასს 3 - ბიზნესის განსაზღვრება

ჯგუფმა ფასს 3 სტანდარტის შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები განმარტავს, რომ თუმცა ბიზნესს ჩვეულებრივ ახასიათებს პროდუქტის წარმოება, პროდუქტის არსებობა არ არის აუცილებელი პირობა, რომ საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირებული კომპლექტი ბიზნესად ჩაითვალოს. იმისათვის, რათა აქტივებისა და საქმიანობათა შეძენილი კომპლექტი ბიზნესად ჩაითვალოს, მასში მოცემული უნდა იყოს, სულ მცირე, შემავალი მასალა და არსებითი ხასიათის პროცესი და ეს ორივე მნიშვნელოვნად უნდა აფართოებდეს პირის უნარს, შექმნას პროდუქტი.

შესწორებებით უქმდება იმის შეფასების აუცილებლობა, აქვთ თუ არა ბაზრის მონაწილეებს უნარი, ჩაანაცვლონ არარსებული შემავალი მასალები ან პროცესები და გააგრძელონ პროდუქტის წარმოება. შესწორებებში აგრეთვე მოცემულია დამატებითი მითითებები,

	რომლებიც პირს ეხმარება იმის დადგენაში, შეიძინა თუ არა არსებითად შინაარსობრივი პროცესი.
	შესწორებებით ანგარიშგებაში შემოდის არჩევითი კონცენტრაციის ტესტი, რომელიც გამარტივებული წესით ამოწმებს, არის თუ არა საქმიანობებისა და აქტივების შეძენილი კომპლექტი ბიზნესი. ამ ტესტის მიხედვით, საქმიანობებისა და აქტივების შეძენილი კომპლექტი ბიზნესი არაა, თუ შეძენილი მთლიანი აქტივების არსებითად მთელი სამართლიანი ღირებულება კონცენტრირებულია ერთ ხილულ აქტივში ან მსგავსი აქტივების ერთ ჯგუფში.
	შესწორებები პროსპექტიულად გამოიყენება ყველა იმ ბიზნეს-კომბინაციასა და აქტივების შესყიდვაზე, რომელთა შესყიდვის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი ან მისი შემდგომი თარიღი.
შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და ბასს 8 - არსებითობის განსაზღვრება	ჯგუფმა ბასს 1 და ბასს 8 სტანდარტებში შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები უფრო გასაგებს ხდის ბასს 1 სტანდარტში მოცემულ არსებითობის განსაზღვრებას და არ ისახავს მიზნად ფასს სტანდარტებში არსებითობის ფუნდამენტური პრინციპის შეცვლას. ახალ განსაზღვრებაში შესულია არსებითი ინფორმაციის არაარსებითი ინფორმაციით „მიჩქმალვის“ ცნება.
	არსებითობის მომხმარებელზე მოქმედი დონე შეიცვალა და „შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს“ ფრაზა ჩანაცვლდა ფრაზით „გონივრულად მოსალოდნელია, ზეგავლენა იქონიოს“.
	ბასს 8 სტანდარტში არსებითობის განსაზღვრება ჩანაცვლდა ბასს 1 სტანდარტში მოცემული არსებითობის განსაზღვრებაზე მითითებით. გარდა ამისა, თანმიმდევრულობის დასაცავად, სტანდარტების საბჭომ აგრეთვე შესწორება შეიტანა სხვა სტანდარტებსა და „კონცეპტუალური ჩარჩოს“ სხვა პარაგრაფებში, რომლებშიც იმთავითვე იყო მოცემული „არსებითის“ განსაზღვრება ან რომლებშიც გამოყენებული იყო ტერმინი „არსებითი“.

ახალი და განახლებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის ჯგუფი არ იყენებს შემდეგ ახალ და განახლებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

ფასს 17	სადაზღვევო კონტრაქტები
ფასს 10 და ბასს 28 (შესწორება)	აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის
შესწორება სტანდარტში ბასს 1	ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად
შესწორება სტანდარტში ბასს 8	სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება
შესწორება სტანდარტში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ	სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება
შესწორება სტანდარტში ფასს 3	მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე
შესწორება სტანდარტში ბასს 16	ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი
შესწორება სტანდარტში ბასს 37	მძიმე კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი
შესწორება სტანდარტში ბასს 8	საბუღალტრო შეფასებების განსაზღვრება
შესწორება სტანდარტებში ბასს 1 და ფასს პრაქტიკის განცხადება 2	საბუღალტრო პოლიტიკების განმარტება
წლიური შესწორებები - ფასს სტანდარტების 2018-2020 წლების ციკლი	შესწორებები სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ფასს 16 - იჯარა და ბასს 41 - სოფლის მეურნეობა

ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ქვემოთ აღწერილია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს ჯგუფისა და მის მიერ კონტროლირებული კომპანიების ფინანსური ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც ჯგუფს:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს უფლებამოსილება, რომ გავლენა მოახდინოს მის შემოსავლებზე;

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს ინვესტირების ობიექტს და მიუთითებს თუ ახალი გარემოებები, რომ შეიცვალა ერთ ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ. როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის საქმიანობა ცალმხრივად. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

- კომპანიის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან განთავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი. საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა მათი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან. ჯგუფის შიდა ყველა აქტივი, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობა ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს შვილობილის კაპიტალის წილს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არ განეკუთვნება მშობელს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისას გაზომვის დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის ჩვეულებრივი გარიგების საფუძველზე იმის მიუხედავად, შეიძლება ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით უნდა გაიზომოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებ ის გაზომვისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამავე მახასიათებლებს გაზომვის დღეს აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების ფასდადების პროცესში. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების ანდა განმარტების მიზნებისათვის სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია ამგვარ საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება აქციებზე დაფუძნებული გადახდის ტრანსაქციებს, რომლებიც ფასს 2 სტანდარტით რეგულირდება, იჯარის ტრანსაქციებს, რომლებიც ფასს 16 სტანდარტით რეგულირდება და იმ შეფასებებს, რომლებიც

სამართლიანი ღირებულების მსგავსია, მაგრამ ასეთი არ არის, როგორიცაა ბასს 2 სტანდარტით გათვალისწინებული წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ან ბასს 36 სტანდარტით გათვალისწინებული გამოყენებული ღირებულება.

გარდა ამისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულებ ის საზომები იყოფა 1-ელ, მე-2 და მე-3 დონეებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხილულია სამართლიანი ღირებულებ ის გაზომვისას გამოყენებული მონაცემები და რა დატვირთვა გააჩნია ამ მონაცემებს მთლიანად სამართლიანი ღირებულებ ის განსაზღვრისას:

- 1-ელი დონის მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომლებზეც პირს ხელი მიუწვდება გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის მონაცემები არის პირველ დონეში შესულისგან განსხვავებული მონაცემები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ხილულია აღნიშული აქტივის ან ვალდებულების შემთხვევაში; და
- მე-3 დონის მონაცემები არის აქტივის ან ვალდებულების ისეთი მონაცემები, ხილული არ არის.

ფუნქციონირების უწყვეტობა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით რომ საწარმო ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად და სააღრიცხვო პოლიტიკები მთელ პერიოდზე თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული. განსჯისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ასევე გააანალიზა ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე.

ფუნქციონალური ვალუტა. ჯგუფის თითოეული პირის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ელემენტები შეფასებულია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც ეს პირი ახორციელებს თავის საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). ჯგუფის მშობლის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, გაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. შემოსავალი და ხარჯი არ იქვითება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და ინდივიდუალურად განმარტებული ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ამონაგები. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- ჯგუფმა მყიდველს გადასცა საქონლის მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფი არ ინარჩუნებს მენეჯერულ ჩართულობას ისეთი ხარისხით, რაც ჩვეულებრივ ასოცირდება მფლობელობასთან და არ ინარჩუნებს კონტროლს გაყიდულ საქონელზე;
- შემოსავლის ოდენობის შეფასება სარწმუნოდაა შესაძლებელი;
- სავარაუდოა, რომ ტრანსაქციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს მოცემული პირი; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის შეფასება სარწმუნოდაა შესაძლებელი.

ჯგუფის შემოსავალი ძირითადად შედგება თამბაქოს პროდუქციის, ღვინის პროდუქციის გაყიდვებისგან, საწვავის ტრანსპორტირების სერვისისა და საკონსულტაციო სერვისის მიწოდებისგან. ჯგუფი პროდუქციის გაყიდვის შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება, ხოლო სერვისებისთვის, შესრულების ვალდებულება აღიარდება დროის

ნ. ...

განმავლობაში და შემოსავლის აღიარება ხდება შესრულების პერიოდის განმავლობაში. შემოსავალს აკლდება დაბრუნებები, ფასდათმობები და სხვა მსგავსი შეღავათები.

საიჯარო შემოსავალი. საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივად, შესაბამისი იჯარის განმავლობაში. საოპერაციო იჯარის შეთანხმება-გაფორმებაში გაწეული საწყისი პირდაპირი ხარჯები ემატება საიჯარო აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება წრფივად იჯარის ვადის განმავლობაში.

სახელშეკრულებო ვალდებულებები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოადგენს კლიენტებისგან მიღებულ ავანსებს, რომელთა სანაცვლოდ საქონლის მიწოდება არ ხდება 1 წელზე ნაკლებ ვადაში. სახელშეკრულებო ვალდებულებებს ჯგუფი არიცხავს საპროცენტო ხარჯს.

იჯარა. იმას, არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას, ჯგუფი ადგენს კონტრაქტის მოქმედების დაწყებისას. გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი საიჯარო ვალდებულება აღიარდება ყველა იმ საიჯარო გარიგებაში, რომელშიც ჯგუფი გამოდის როგორც მოიჯარე. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან იჯარებს (განიმარტება, როგორც 12 თვიანი ან უფრო მოკლე ვადის იჯარა) და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებს (როგორებიცაა ტაბლეტები და პერსონალური კომპიუტერები, მცირე საოფისე ავეჯი და ტელეფონები). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საიჯარო გადასახადი აღირიცხება როგორც საოპერაციო ხარჯი წრფივად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, თუ სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ არ ასახავს იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც იჯარის დაწყების დღეს არ გადაიხდება. მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი იყენებს სესხის მზარდ განაკვეთს. საიჯარო ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილია განცალკევებულად. საიჯარო ვალდებულება შემდგომში აისახება საბალანსო ღირებულების გაზრდით, რაც მიზნად ისახავს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ასახვას (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), და უკვე გადახდილი საიჯარო გადასახადის ასახვის მიზნით საბალანსო ღირებულების შესაბამისი შემცირებით.

ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას ხელახლა აფასებს (და გამოყენების უფლების მატარებელ შესაბამის აქტივს აკორექტირებს), თუ:

- იჯარის ვადა შეიცვალა ან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ხდომილებას ან გარემოებათა ისეთ ცვლილებას, რამაც გამოიწვია შესყიდვის ოფციონის რეალიზების შეფასების ცვლილება; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების დისკონტირებით (კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით).
- საიჯარო გადახდები შეიცვალა გარანტირებული ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მოსალოდნელი გადახდის ცვლილების ან ინდექსისა თუ განაკვეთის ცვლილების გამო; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება კორექტირებული საიჯარო გადახდების ძველი განაკვეთით დისკონტირებით (თუ იჯარის გადასახადის ცვლილება გამოწვეული არაა მცურავი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით, რა დროსაც გამოიყენება კორექტირებული დისკონტირების განაკვეთი).
- მოხდა საიჯარო კონტრაქტის მოდიფიცირება და იჯარის მოდიფიკაცია არ აღრიცხულა როგორც დამოუკიდებელი იჯარა; ასეთ დროს საიჯარო ვალდებულება გადაფასდება მოდიფიცირებული იჯარის საიჯარო ვადაზე დაყრდნობით და კორექტირებული გადახდების ასევე კორექტირებული დისკონტირების განაკვეთით დისკონტირების გზით, მოდიფიკაციის ძალაში შესვლის დღეს.

აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს შესაბამისი საიჯარო ვალდებულების საწყის აღიარებას, იჯარის დაწყების დღეს ან მანამდე გადახდილ საიჯარო გადახდებს, და აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები და საწყისი პირდაპირი ხარჯები. შემდგომში ასეთი აქტივები აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. როდესაც ჯგუფს ეკისრება ისეთი ხარჯების გაწევის ვალდებულება, რაც დაკავშირებულია იჯარით აღებული აქტივის დემონტაჟთან და გატანასთან, მისი მდებარეობის ადგილის აღდგენასთან ან შესაბამისი აქტივის იჯარის პირობებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში მოყვანასთან, აღიარდება რეზერვი, რომელიც ფასდება ბასს 37-ის საფუძველზე. თუ

ხარჯები აქტივის გამოყენების უფლებასთანაა დაკავშირებული, ისინი შედის შესაბამისი აქტივის ღირებულებაში, თუ ამ ხარჯების გაწევა მარაგების შექმნასთან არაა დაკავშირებული.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და შესაბამისი აქტივის მოხმარების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. თუ იჯარით ხდება შესაბამისი აქტივის საკუთრების უფლების გადაცემა ან გამოყენების უფლების მატარებელი აქტივის ღირებულებაში ასახულია, რომ ჯგუფი მოელის შესყიდვის ოფციონის რეალიზებას, შესაბამის გამოყენების უფლების მატარებელ აქტივს ცვეთა ერიცხება აქტივის მოხმარების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება იჯარის დაწყებისას. აქტივის გამოყენების უფლება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია დამოუკიდებელ მუხლად. აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურების დასადგენად გამოიყენება ბასს 36. გაუფასურების გამოვლენილი ზარალი აღირიცხება „ძირითადი საშუალებების" პოლიტიკაში აღწერილი წესით. პრაქტიკული შეღავათის სახით, ფასს 16 მოიჯარეს უფლებას აძლევს, არ დააცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და საიჯარო და შესაბამისი არასაიჯარო კომპონენტები ერთი გარიგების ფარგლებში აღრიცხოს. ჯგუფმა ამ პრაქტიკული შეღავათით ისარგებლა.

უცხოური ვალუტები. ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება პირის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაკადები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოშობილია საკურსო სხვაობით, შედის პერიოდის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31/12/2020	31/12/2019
ლარი/1 აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი/1 ევრო	4.0233	3.2095

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით.

ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა. მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი მოდელი ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ აქტივობას; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგებიდან გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგებიდან გადასახადის" ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები". ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზამ დაკარგა ეკონომიკური მნიშვნელობა. ახალი კორპორატიული

ნ. ...

დაბეგვრის მოდელით ბასს 12 სტანდარტით - „მოგებიდან გადასახადი" გათვალისწინებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღარ გამოიყენება.

ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. მეკავშირე საწარმოები ის სუბიექტებია, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. მნიშვნელოვანი ზეგავლენა არის ჯგუფის უნარი, მონაწილეობა მიიღოს ინვესტირების ობიექტის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში, მაგრამ არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ერთპიროვნულ ან ერთობლივ კონტროლს.

ერთობლივი საწარმო არის გარიგება, სადაც ერთობლივი კონტროლის მქონე მხარეებს გააჩნიათ უფლებები ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებზე. ერთობლივად ითვლება კონტროლი, რომლის განაწილება შეთანხმებულია კონტრაქტით და არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი საქმიანობის თაობაზე მოითხოვს ყველა მაკონტროლებელი მხარის თანხმობას.

მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შედეგები და აქტივები და ვალდებულებები წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კაპიტალის მეთოდით. ამ მიდგომით ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდეგ კორექტირდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ჯგუფისეული წილის აღიარების მიზნით. თუ ჯგუფის ზარალის წილმა გადააჭარბა ჯგუფის მიერ ამ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილ წილს (რაც მოიცავს გრძელვადიან წილებს, რომლებიც არსებითად შეადგენს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის წმინდა ინვესტიციის წილს), ჯგუფი წყვეტს ამის შემდეგ მიღებულ ზარალში თავისი წილის აღიარებას. შემდგომი ზარალი აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა შეასრულა სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულებები ან განახორციელა გადახდები მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს სახელით.

ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში კაპიტალის მეთოდით აღირიცხება იმ დღიდან, როდესაც ინვესტირების ობიექტი იქცა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოდ. მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის შესყიდვისას, სხვაობა ინვესტიციის ღირებულებასა და ინვესტირების ობიექტის წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებაში ჯგუფის წილს შორის აღიარდება გუდვილად და შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულების გაანგარიშებაში. სხვაობა წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებაში ჯგუფის წილსა და ინვესტიციის თვითღირებულებას შორის, გადაფასების შემდეგ, დაუყოვნებლივ აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მოხდა ინვესტიციის შესყიდვა.

იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის ინვესტიციაზე გაუფასურების ზარალის აღიარება, გამოიყენება გარკვეული მოთხოვნები. როდესაც ეს აუცილებელია, ინვესტიციის მთელი საბალანსო ღირებულება (გუდვილის ჩათვლით) გაუფასურებაზე მოწმდება ბასს 36 - „აქტივების გაუფასურების" შესაბამისად, როგორც ერთი აქტივი. შესამოწმებლად მისი აღდგენადი ღირებულება (გამოყენებულ ღირებულებასა და რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უმცირესი) უდარდება მის საბალანსო ღირებულებას. აღიარებული გაუფასურების ზარალი შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარდება ბასს 36-ის შესაბამისად, ისე, რომ ინვესტიციის აღდგენად ღირებულება, შედეგად, გაიზარდოს. ჯგუფი კაპიტალის მეთოდის გამოყენებას წყვეტს იმ დღიდან, როდესაც ინვესტიცია აღარ ითვლება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოდ ან მაშინ, როდესაც ინვესტიცია გადადის გასაყიდად განკუთვნილის კატეგორიაში. თუ ჯგუფმა შეინარჩუნა წილი მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში და ეს შენარჩუნებული წილის არის ფინანსური აქტივი, ჯგუფი შენარჩუნებულ წილს აფასებს რეალური ღირებულებით ამ დღის მდგომარეობით და, ბასს 39-ის შესაბამისად, ეს ღირებულება ითვლება რეალურ ღირებულებად თავდაპირველი აღიარებისას. სხვაობა წილობრივი მეთოდის გამოყენების შეწყვეტის დღეს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და შენარჩუნებული წილის რეალური ღირებულებისა და მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილის გაყიდვით მიღებული შემოსავლის ჯამს შედის ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს რეალიზაციით მიღებული მოგების ან ზარალის გაანგარიშებაში. გარდა ამისა, ამავე მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებულ ყველა თანხას ჯგუფი აღრიცხავს ისევე, როგორც აღრიცხავდა იმ შემთხვევაში, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებები პირდაპირ რომ გაეყიდა. ამდენად, თუ ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მიერ სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული მოგება ან ზარალი შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გაყიდვისას გადაკლასიფიცირდებოდა მოგებაში ან ზარალში, ჯგუფი კაპიტალის მეთოდის გამოყენების შეწყვეტისას მოგებას ან ზარალს გადაიტანს კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში (როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირებას).

კაპიტალის მეთოდი გამოიყენება მაშინაც, როდესაც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში იქცევა ინვესტიციად ერთობლივ საწარმოში ან ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში იქცევა ინვესტიციად მეკავშირე საწარმოში. წილებში ამგვარი ცვლილება რეალური ღირებულების გადაფასებას არ იწვევს. თუ ჯგუფმა შეამცირა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილი, მაგრამ გააგრძელა კტაპისალის მეთოდის გამოყენება, სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული მოგების ან ზარალის ის წილი, რომელიც დაკავშირებული იყო ფლობილი წილის შემცირებასთან მოგება ან ზარალში რეკლასიფიცირდება, თუ შესაბამისი აქტივების ან ვალდებულების რეალიზაციისას მიღებული შემოსავალი ან ზარალი მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირდებოდა.

ჯგუფში შემავალ პირსა და მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში, მის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მხოლოდ იმ წილის პროპორციულად, რომელიც არ არის დაკავშირებული ჯგუფთან.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი. მცირე სარემონტო და ტექნიკური მომსახურების სამუშაოების ხარჯები ხარჯად აღიარდება მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებ ას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში. რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სარგებლიანობის ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე. შეფასებული სარგებლიანობის ვადა, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ხოლო შეფასების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პროსპექტიულად. ცვეთის განაკვეთებია:

	ცვეთის ნორმა
შენობა-ნაგებობები	2-5%
მანქანა დანადგარები	6-10%
ბენზინგასამართი სადგურები	2%
სატვირთო და სამგზავრო მანქანები	10%-20%
სხვა ძირითადი საშუალებები	15-20%

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული რაოდენობა, რასაც ჯგუფი მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სარგებლიანობის ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სარგებლიანობის ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი რეალიზაციისას ან მაშინ, თუ აქტივის მოხმარების შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება. ძირითადი საშუალების რეალიზაციით ან ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა გაყიდვით მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

საინვესტიციო ქონება - საინვესტიციო ქონება არის ისეთი ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლისთვის ან/და კაპიტალის აფასებით მიღებული სარგებლისათვის (მათ შორის ამგვარი მიზნებით მიმდინარე მშენებლობების შემთხვევაში). იგი ფასდება სამართლიანი

ღირებულებით, ტრანსაქციის ხარჯების ჩათვლით. შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის დარიცხვისას ცვეთადარიცხული თანხა ჩამოიწერება აქტივის სასარგებლო სასიცოცხლო ვადის განმავლობაში და იანგარიშება წრფივი მეთოდით. საინვესტიციო ქონების შენობა-ნაგებობების ნაწილს ცვეთა ერიცხება 2-5%-იანი განაკვეთით. საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი რეალიზაციის მომენტში ან როდესაც იგი სამუდამოდაა ამოღებული მოხმარებიდან და მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელი არ არის. აღიარების შეწყვეტის მომენტში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი. აღნიშნული იანგარიშება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ წმინდა მოგებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და შედის აღიარების შეწყვეტის პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი რეალური ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები - ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები საზღვრული სარგებლიანობის ვადით აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის აღიარება ხდება წრფივად შეფასებული სარგებლიანობის ვადის განმავლობაში. საპროგნოზო სარგებლიანობის ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხოლო საპროგნოზო მონაცემების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პროსპექტიულად. არამატერიალურ აქტივებს ცვეთა ერიცხება 15%-იანი განაკვეთით, წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება რეალიზაციისას, ან როდესაც მისი გამოყენებისგან ან რეალიზაციისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი მოგება ან ზარალი აისახება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება - ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, ხომ არ არის იმის ნიშანი, რომ აქტივებმა გაუფასურება განიცადა. თუ ამგვარი აღმოჩნდა, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (თუ ასეთი არსებობს). თუ ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, ჯგუფი აფასებს ფულადი სახსრების წარმომქმნელი იმ ერთეულის ამოღებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს სამართლიან ღირებულებისა და გაყიდვის დანახარჯების სხვაობასა და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ისეთი გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე საბაზრო მნიშვნელობა და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლისთვისაც სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო მნიშვნელობის კორექტირება არ მომხდარა. თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ეს ისე ხდება, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ისეთი საბალანსო ღირებულება, რომელიც დადგინდებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) გაუფასურების აღიარება. გაუფასურების ხარჯის აღდგენა დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში.

ნ. ...

მარაგები. მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების თვითღირებულება დგინდება შემოსვლის რიგის მიხედვით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

რეზერვები - რეზერვები აღიარდება, როდესაც ჯგუფს უჩნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული ხდომილების გამო, სავარაუდოა, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

რეზერვად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება (თუ დროში ფულის ღირებულების ეფექტი არსებითი ოდენობისაა). თუ რეზერვის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება. ისინი განიმარტება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდო არაა. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, ისინი განიმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოდინების მოლოდინი რეალურია.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც პირი ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას (მაგრამ არა მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისას), თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას, დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, კლასიფიკაციის მიხედვით, თავდაპირველის შემდგომი აღიარებისას სრულად ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია - ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა: ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებს, შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებ ით და აისახება სხვა სრულ შემოსავალში:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვის მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს.

ნ. მ[illegible]

ჩვეულებრივ, ყველა სხვა ფინანსური აქტივი შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებ ით და აისახება მოგებაში ან ზარალში. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფმა შეიძლება მიიღოს შემდეგი შეუქცევადი გადაწყვეტილებები:

- შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულებ ის შემდგომი ცვლილება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში; და
- ამორტიზებული ღირებულებით ან სხვა სრულ შემოსავალში ასახული სამართლიანი ღირებულებ ით წარმოდგენილი სავალო ინსტრუმენტი შეუქცევადად დაადგინოს, როგორც მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებ ით ასახული, თუ ასეთი ქმედება მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს საბუღალტრო შეუსაბამობას.

წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და მათ აკლასიფიცირებს პირველ ბიზნეს-მოდელში - ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით (H2C).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი - ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი.

შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების (ანუ ისეთი ფინანსური აქტივებისა, რომელთა საკრედიტო ხარისხი გაუარესებულია უკვე თავდაპირველი აღიარებისას) გარდა, სხვა ფინანსური აქტივებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებების (მათ შორის არის ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო და ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ ფასდათმობების განუყოფელ ნაწილს), მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში. შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კრედიტ-კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, დისკონტირებით საწყისი აღიარებისას დადგენილი სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება არის ის ღირებულება, რომლითაც ფინანსური აქტივი ფასდება თავდაპირველი აღიარებისას, ძირი თანხის გადახდის გამოკლებითა და კუმულატიური ამორტიზაციის დამატებით, ამ საწყის ოდენობასა და ვადის ბოლოს ოდენობას შორის არსებულ სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებითა და ზარალის რეზერვის კორექტირებით. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება ზარალის რეზერვით კორექტირებამდე.

შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით და სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებ ით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების გარდა სხვა ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც საკრედიტო ხარისხი საწყისი აღიარების შემდგომ გაუუარესდათ. მათ შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუ შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში კრედიტგაუარესებული ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი გაუმჯობესდა და ფინანსური აქტივი აღარ ითვლება კრედიტგაუარესებულად, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე.

შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს აღიარებს კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას დადგენილ ამორტიზებულ ღირებულებაზე. გაანგარიშებაში მთლიანი საბალანსო ღირებულება არ გამოიყენება მაშინაც კი, როდესაც ფინანსური აქტივის

6.-ბ

საკრედიტო რისკი შემდგომში უმჯობესდება და ფინანსური აქტივი კრედიტგაუარესებულად აღარ ითვლება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დადგენადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (სავაჭრო და სხვა მოთხობვნებისა და სხვადასხვა კონტრაგენტზე გაცემული სესხების ჩათვლით) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რაც არ შეეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი არაარსებითია.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს მოთხოვნამდე ან სამ თვემდე საწყისი ვადის დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ფულსა და ფულის ექვივალენტებში არ შედის შეზღუდული ნაშთები ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. შეზღუდული ფული მოიცავს ისეთ ნაშთებს, რომლებიც არ შეიძლება გაიცვალოს ან გამოყენებული იქნას ვალდებულების დასაფარად სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსზ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო ზარალისათვის (12 თვიანი მსზ). ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსზ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების მსზ 12 თვიანია. სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსზ არსებობის მანძილზე საფუძველზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ჯგუფი მსზ-ის ოდენობას ანგარიშობს საექსპერტო შეფასებით დადგენილი ზარალის განაკვეთების გამოყენებით. საექსპერტო შეფასების გამოყენება მართებულად ჩაითვალა ისეთი ისტორიული ინფორმაციის არარსებობის გამო, რაც რეზერვირების მატრიცის შესაქმნელად იქნებოდა გამოსადეგი. გაუფასურების განაკვეთები შესაბამისი მოთხოვნის ნაშთზე მრავლდება და მიიღება ის თანხა, რომელიც აღდგენას არ ექვემდებარება. ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად. ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა - ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ ჯგუფმა მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, ჯგუფი აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ ჯგუფმა შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი კუმულატიური მოგებისა ან ზარალისა და მიღებული და მისაღები აწაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახულად კლასიფიცირებულ სავალო ინსტრუმენტში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტისას,

ნ. ...

ჯამური მოგება ან ზარალი, რომელიც მანამდე დაგროვილი იყო ინვესტიციების გადაფასების რეზერვში, გადაკვალიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით. ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ხელახალი შესყიდვა აისახება ან გამოიქვითება პირდაპირ კაპიტალიდან. ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვისას, გაყიდვისას, ემისიისას თუ გაუქმებისას მოგების ან ზარალის ასახვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ ხდება.

ფინანსური ვალდებულებები ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოდგენილია აღებული სესხებითა და სავაჭრო და სხვა გადასახდელებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი აღიარდება ჯგუფის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება აქციონერთა კაპიტალში მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ გამოცხადებული დივიდენდები განიხილება, როგორც „შემდგომი მოვლენა“ და განმარტებულია შესაბამის ქვეთავში.

წინასწარ გადახდილი გადასახადები. წინასწარ გადახდილი გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით, შეფასებული აღუდგენელი თანხების რეზერვის გამოკლებით. მოგების გადასახადისგან განსხვავებული გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება ერთიან საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხორციელდება ნეტო საფუძველზე.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით აღუდგენადი შეფასებული თანხების ანარიცხების გამოკლებით.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, მენეჯმენტს ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია ის კრიტიკული განსჯები, შეფასებების მომცველი განსჯების გარდა (იხილეთ ქვემოთ).

რომლებიც ხელმძღვანელობამ გააკეთა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას და რომელთაც ყველაზე საგრძნობი ეფექტი ჰქონდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

წმინდა აქტივების რეალური ღირებულების დადგენა შესყიდვისას - 2019 წლის 4 ივნისს შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენმა" მოიპოვა კონტროლი სს „თბილისის თამბაქოზე". წმინდა აქტივები ძირითადად მოიცავდა (გარდა ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონებისა) მოკლევადიან აქტივებსა და ვალდებულებებს და, შესაბამისად, მათი რეალური ღირებულება მათ თვითღირებულებასთან იყო მიახლოებული. ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების შემთხვევაში, რეალური ღირებულება განსაზღვრეს დამოუკიდებელმა ექსპერტებმა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის სს „თბილისის თამბაქოს" პირველ სრული ფასს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას რეალური ღირებულება განისაზღვრა როგორც ჩათვლილი ღირებულება. ვინაიდან ბაზარზე არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გადაფასება ხდება 3-5 წელიწადში ერთხელ და ბაზარზე მნიშვნელოვანი რყევა არ შენიშნულა, დადგინდა, რომ შესყიდვის თარიღისათვის ზემოაღნიშნული აქტივების რეალური ღირებულება მათი ღირებულების ტოლი იყო. ინფორმაცია შეფასების ტექნიკისა და ხელმძღვანელობას მიერ ძირითადი საშუალების ერთეულების რეალური ღირებულების დადგენაში გამოყენებული მონაცემების შესახებ განმარტებულია ქვემოთ: შემფასებელმა აქტივები დაჰყო სპეციალიზებულ ძირითად საშუალებად, რომლებზეც ყიდვა-გაყიდვის აქტიური ბაზარი არ არსებობს და არასპეციალიზებულ აქტივებად. თითოეულ მათგანზე გამოიყენეს შესაბამისი მიდგომა - თვითღირებულებითი მიდგომა და საბაზრო მიდგომა. მიღებული ღირებულება ეკონომიკურ მოძველებაზე შემოწმდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით.

კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი მაჩვენებელი ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის განისაზღვრა 14.07%-ით. ზრდის ტერმინალურ განაკვეთად გამოყენებული იქნა 3%. აქტივების შეფასების დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი ეფუძნება დროში ფულის ღირებულებას და ეფექტურად ახდენს ქონების მიმდინარე და მომავალი შემოსავლის კაპიტალიზებას. კაპიტალიზაციის უკუგება ასახავს ქონების სპეციფიურ რისკის პროფილს და მხედველობაში იღებს მიმდინარე შემოსავლის უსაფრთხოებას, მიმდინარე და მომავალ არარეალიზებულ ქირებს და კაპიტალის აფასების მომავალ მოლოდინებს.

უკვე ფლობილი კაპიტალის წილის რეალური ღირებულების დადგენა - როგორც აღწერილია შენიშვნაში #4, 2019 წლის 4 ივნისს სმარტ კაპიტალ ფროდაქშენმა შეისყიდა სს „თბილისი თამბაქოს" 50%-იანი წილი 3,118 ლარის სანაცვლოდ და, შესაბამისად, მოიპოვა საწარმოზე კონტროლი. უკვე ფლობილი წილი შესყიდული იყო დაკავშირებული მხარისგან არა საბაზრო პირობებით. რადგან ბოლო ტრანზაქცია არ შესრულებულა დაკავშირებულ მხარეებთან და უკვე ფლობილი წილის ოდენობა. ასევე, იყო 50%, ჯგუფის მენეჯმენტმა ის დაადგინა, როგორც უკვე ფლობილი წილის რეალური ღირებულება.

2020 წლის 1 და 2 ივლისს შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენმა" შეისყიდა შპს „გეოდისტრიბუციისა" და შპს „თამბაქო ჰოლდინგის" 50%იანი წილები და, შესაბამისად, კონტროლი მოიპოვა მათზე. უკვე ფლობილი კაპიტალის წილის რეალური ღირებულება განისაზღვრა როგორც ზემოთ აღწერილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულების ნახევარი - 2011 ლარის ოდენობით. როგორც აღწერილია შენიშვნაში #5, წმინდა აქტივები ძირითადად შედგებოდა მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებებისგან. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხა მოგება ხელსაყრელი შესყიდვიდან, 1,961 ლარის ოდენობით. მოგება ხელსაყრელი შესყიდვიდან გამოწვეული იყო სს „თბილისის თამბაქოს" უფლებით, ცალმხრივად შეეწყვიტა დისტრიბუციის ხელშეკრულება, რომელიც შექმინდა შპს „გეოდისტრიბუციის" ფუნქციონირების პრობლემას. შესაბამისად, ტრანზაქციის ღირებულება შეიძლება სულაც არ იყოს საბაზრო ღირებულების მაჩვენებელი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს იმ შეფასებული ზარალის აღსარიცხად, რომელსაც იღებს, როდესაც კლიენტს არ აქვს უნარი, გააკეთოს შესაბამისი გადახდა ან მომწოდებელს - უნარი, მიაწოდოს მას შეთანხმებული საქონელი ან მომსახურება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონის შეფასებისას, ხელმძღვანელობა მხედველობაში იღებს არსებულ ზოგად ეკონომიკურ ვითარებას, მოთხოვნის ვადას და გადახდილი ავანსების ნაშთებს, აგრეთვე ჩამოწერების ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტისა და მიმწოდებლის კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტისა და მიმწოდებლის გარემოებათა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირება. ჯგუფმა შეაფასა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დებიტორები, რომლებიც შედგება ერთობლივ კონტროლქვეშ მყოფი საწარმოებისგან და მათი მიმდინარე ფინანსური მდგომარეობისა და საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, აღიარა ინდივიდუალური ზარალის რეზერვი. ჯგუფმა

აღიარა 100%-იანი ზარალის რეზერვი კოლექტიურად შეფასებული მოთხოვნების მიმართ, რომელთაც ქონდათ 90 დღიანი ვადაგადაცილება, რადგან ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ასეთი მოთხოვნები როგორც წესი არაამოღებადია. 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით, მოსალოდნელმა საკრედიტო ზარალმა შეადგინა 4,252 ლარი და 3,111 ლარი, შესაბამისად.

მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა. 2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა შეიძინა მიწა 3 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. 2020 წლის 1 ოქტომბერს, საკუთრების გადაცემისთანავე, ჯგუფმა გადაიხადა 700,000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდის ვადა არის 2025 წლამდე. ხელმძღვანელობამ გადახდის სავარაუდო თარიღად დაადგინა 2023 წლის 31 დეკემბერი. შესაბამისად, ეს თანხა დადისკონტირდა სავარაუდო გადახდიდან თარიღიდან და აღიარდა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 5,982 ლარის ოდენობით.

5. შვილობილი კომპანიების შესყიდვა

სს „თბილისი თამბაქო“

2019 წლის 7 მარტს ჯგუფმა სს „თბილისი თამბაქოში“ შეისყიდა აქციების 42.5%, მაგრამ კონტროლი არ მოუპოვებია. სს „თბილისი თამბაქო“ დაკავებულია თამბაქოს ნაწარმის დამზადებით. შესყიდვა ჯგუფის ანგარიშებში აღირიცხა როგორც ინვესტიცია ასოცირებულ პირში. 2019 წლის 5 აპრილს ჯგუფმა სს „თბილისის თამბაქოში“ შეისყიდა აქციების დამატებით 7.5%, მაგრამ კონტროლი არ მოუპოვებია. შესყიდვა ჯგუფის ანგარიშებში კვლავაც აღირიცხა როგორც ინვესტიცია ასოცირებულ პირში. 2019 წლის 4 ივნისს ჯგუფმა სს „თბილისის თამბაქოში“ შეისყიდა დარჩენილი 50% და გახდა მისი ერთადერთი მფლობელი. ფასს 3-ის შესაბამისად, მოხდა კონტროლის მოპოვება.

შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენისა“ და სს „თბილისი თამბაქოში“ აქციების შესყიდვას ჯგუფის ხელმძღვანელობა განიხილავს როგორც ერთობლივ კონტროლქვეშ ჯგუფის შექმნას, რადგან ამ პირების საბოლოო მფლობელს, ბატონ მიხეილ ჩხარტიშვილს სს „თბილისი თამბაქოში“ აქციები ეკუთვნოდა ამ ტრანზაქციებამდეც.

ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2019 წლის 4 ივნისის მდგომარეობით კონტროლის მოპოვების შედეგად აღრიცხული აქტივები და ვალდებულებებია:

	ლარში
ფინანსური აქტივები	21,609
მარაგები	7,959
ძირითადი საშუალებები, წმინდა	24,257
საინვესტიციო ქონება	929
არამატერიალური აქტივები, წმინდა	21
სხვა იდენტიფიცირებადი აქტივები	361
ფინანსური ვალდებულებები	(9,485)
სხვა იდენტიფიცირებადი ვალდებულებები	(14,024)
სულ შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები	**31,627**
უკვე ფლობილი კაპიტალის წილის რეალური ღირებულება	(3,118)
მოგება ხელსაყრელი გარიგებიდან	(25,391)
სულ ანაზღაურება	**3,118**

ანაზღაურება მთლიანად დაიფარება ნაღდი ფულით.

წმინდა ფულადი გადინება შესყიდვის შედეგად	3,118
ანაზღაურება ნაღდი ფულით	(179)
გამოკლებული: შეძენილი ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთი	**2,939**

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, 21,430 ლარისა და 179 ათასი ლარის რეალური ღირებულებით, შესაბამისად. ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება მოიცავს სავაჭრო და სხვა

კრედიტორულ დავალიანებებსა და აღებულ სესხებს რეალური ღირებულებით 4,221 ლარისა და 5,264 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. სხვა იდენტიფიცირებადი ვალდებულებები მოიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებებსა და გადასახდელ გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა 2,285 ლარისა და 11,9739 ათასი ლარის რეალური ღირებულებით, შესაბამისად.

2019 წლის 4 ივნისს ჯგუფმა 50%-იანი უკვე ფლობილი წილის რეალურ ღირებულებად განსაზღვრა 3,118 ლარი. ფასს 3-ის შესაბამისად, მოხდა 889 ლარის ღირებულების ასოცირებულ პირში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტა და 3,118 ლარის რეალური ღირებულების აღიარება. 2,229 ლარის ოდენობის სხვაობა აღიარებული იქნა როგორც მოგება ინვესტიციაზე.

პერიოდის განმავლობაში აღრიცხული ზარალის გამო, სს „თბილისი თამბაქომ" ჯგუფის მოგება შესყიდვის თარიღიდან ანგარიშგების თარიღამდე შეამცირა 3,621 ლარით.

შესყიდვა რომ ფინანსური წლის პირველ დღეს მომხდარიყო, ჯგუფის შემოსავალი წლის განმავლობაში იქნებოდა 19,973 ლარი, ჯგუფის მოგება კი - 25,628 ლარი.

<u>შპს „გეოდისტრიბუცია"</u>

2020 წლის 1 ივლისს, ჯგუფმა შეისყიდა შპს „გეოდისტრიბუციის" 50%-იანი წილი და გახდა მისი ერთადერთი მესაკუთრე. კონტროლის მოპოვება მოხდა ფასს 3-ის შესაბამისად. ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შპს „გეოდისტრიბუციაზე" კონტროლის მოპოვების შედეგად აღრიცხული აქტივები და ვალდებულებებია:

	ლარი
ფინანსური აქტივები	4,452
მარაგები	1,835
ძირითადი საშუალებები, წმინდა	416
არამატერიალური აქტივები, წმინდა	8
სხვა იდენტიფიცირებადი აქტივები	1,033
ფინანსური ვალდებულებები	(3,528)
სხვა იდენტიფიცირებადი ვალდებულებები	(194)
სულ შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები	**4,022**
უკვე ფლობილი კაპიტალის წილის რეალური ღირებულება	(2,011)
მოგება ხელსაყრელი გარიგებიდან	(1,961)
სულ ანაზღაურება	**50**

ანაზღაურება მთლიანად დაიფარება ნაღდი ფულით.

წმინდა ფულადი გადინება შესყიდვის შედეგად	
ანაზღაურება ნაღდი ფულით	50
გამოკლებული: შეძენილი ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთი	(959)
	(909)

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, 3,493 ლარისა და 959 ათასი ლარის რეალური ღირებულებით, შესაბამისად. სხვა იდენტიფიცირებადი აქტივები მოიცავს გადახდილ ავანსებსა და აქტივის გამოყენების უფლებას 905 და 128 ათასის რეალური ღირებულებით შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებსა და საიჯარო ვალდებულებას რეალური ღირებულებით 3,392 ლარისა და 136 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. სხვა იდენტიფიცირებადი ვალდებულებები მოიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებებსა და გადასახდელ გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა 137 ლარისა და 57 ათასი ლარის რეალური ღირებულებით, შესაბამისად.

2020 წლის 1 ივლისს ჯგუფმა 50%-იანი უკვე ფლობილი წილის რეალურ ღირებულებად განსაზღვრა 2,011 ლარი. ფასს 3-ის შესაბამისად, მოხდა 444 ლარის ღირებულების ასოცირებულ პირში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტა და 2,011 ლარის რეალური ღირებულების აღიარება. 1,517 ლარის ოდენობის სხვაობა აღიარებული იქნა როგორც მოგება ინვესტიციაზე.

პერიოდის განმავლობაში აღრიცხული ზარალის გამო, შპს „გეოდისტრიბუციამ“ ჯგუფის მოგება შესყიდვის თარიღიდან ანგარიშგების თარიღამდე შეამცირა 3,798 ლარით.

შპს „თამბაქო ჰოლდინგი“

2020 წლის 2 ივლისს, ჯგუფმა შეისყიდა შპს „თამბაქო ჰოლდინგის“ 50%-იანი წილი და გახდა მისი ერთადერთი მესაკუთრე. კონტროლის მოპოვება მოხდა ფასს 3-ის შესაბამისად. ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის ივლისის მდგომარეობით შპს „თამბაქო ჰოლდინგზე“ კონტროლის მოპოვების შედეგად აღრიცხული აქტივები და ვალდებულებებია:

	ლარი
ფინანსური აქტივები	2,208
სხვა იდენტიფიცირებადი აქტივები	65
ფინანსური ვალდებულებები	(2,208)
სულ შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები	**65**
უკვე ფლობილი კაპიტალის წილის რეალური ღირებულება	(15)
მოგება ხელსაყრელი გარიგებიდან	-
სულ ანაზღაურება	**50**

ანაზღაურება მთლიანად დაიფარება ნაღდი ფულით.

წმინდა ფულადი გადინება შესყიდვის შედეგად	
ანაზღაურება ნაღდი ფულით	50
გამოკლებული: შეძენილი ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთი	(10)
	40

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება მოიცავს გაცემულ სესხებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს, 2,198 ლარისა და 10 ათასი ლარის რეალური ღირებულებით, შესაბამისად. ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება მოიცავს ნასესხებ სახსრებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებსა და საიჯარო ვალდებულებას რეალური ღირებულებით 2,138 ლარის, 9 ლარისა და 61 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. სხვა იდენტიფიცირებადი აქტივი მოიცავს აქტივის გამოყენების უფლებასა და გადახდილ გადასახადებს, 54 ლარისა და 11 ათასი ლარის რეალური ღირებულებით, შესაბამისად.

2020 წლის 2 ივლისს ჯგუფმა 50%-იანი უკვე ფლობილი წილის რეალურ ღირებულებად განსაზღვრა 15 ლარი. ფასს 3-ის შესაბამისად, მოხდა 15 ათასი ლარის აღიარება როგორც მოგება ინვესტიციაზე. პერიოდის განმავლობაში აღრიცხული მოგების გამო, შპს „თამბაქო ჰოლდინგმა“ ჯგუფის მოგება შესყიდვის თარიღიდან ანგარიშგების თარიღამდე გაზარდა 38 ლარით. შესყიდვა რომ ფინანსური წლის პირველ დღეს მომხდარიყო, ჯგუფის შემოსავალი წლის განმავლობაში იქნებოდა 145,204 ლარი, ჯგუფის მოგება კი - 34,062 ლარი.

ზემოთხსენებულ კომპანიებზე კონტროლის მოპოვებამდე შპს „სმარტ კაპიტალ გრუპმა“ მიიღო წილი მათი საქმიანობის შედეგებიდან 5,988 ლარისა და 8,166 ლარის ოდენობით 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, შესაბამისად.

6. ამონაგები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის მთლიანი შემოსავალი მიღებული იქნა შემდეგი გაყიდვებიდან:

	2020	2019
შემოსავალი თამბაქოს პროდუქციის გაყიდვიდან	96,875	4,605
შემოსავალი საწვავის ტრანსპორტირების სერვისიდან	5,818	6,472
შემოსავალი ღვინის პროდუქციის გაყიდვიდან	4,048	4,628
შემოსავალი მიწის გაყიდვიდან	-	-
სხვა შემოსავალი	1,396	1,537
სულ	**108,137**	**17,242**

ნ. ...

7. ამონაგების თვითღირებულება

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის მიერ გაყიდული საქონლის თვითღირებულება შედგებოდა შემდეგისგან:

	2020	2019
თამბაქოს პროდუქციის ამონაგების თვითღირებულება	73,937	2,932
საწვავის ტრანსპორტირების სერვისის თვითღირებულება	2,458	2,598
ღვინის პროდუქციის ამონაგების თვითღირებულება	4,502	5,123
სხვა შემოსავლების თვითღირებულება	44	195
სულ	**80,941**	**10,848**

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები იყო:

	2020	2019
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	11,374	5,727
საგადასახადო ხარჯი	1,722	2,339
სავაჭრო მოთხოვნებისა და გადახდილი ავანსების რეზერვი	724	1,490
ცვეთა და ამორტიზაცია	442	554
მარაგების ჩამოწერა	401	391
საიჯარო ხარჯები	243	230
საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები	25	177
სხვა საოპერაციო ხარჯები	154	980
სულ	**15,085**	**11,888**

2019 წლის განმავლობაში სხვა საგადასახადო ხარჯებში შევიდა ვადაგადაცილებულ საგადასახადო ნაშთებზე დარიცხული ჯარიმები და საურავები 1,336 ათასი ლარის ოდენობით. ვადაგადაცილებული საგადასახადო ნაშთები და შესაბამისი ჯარიმები და საურავები სრულად დაფარულია 2020 წელს.

9. ფინანსური ხარჯი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის ფინანსური ხარჯი შედგებოდა შემდეგისგან:

	2020	2019
ფინანსური ხარჯი მიღებულ სესხებზე	2,273	1,926
ფინანსური ხარჯი სახელშეკრულებო ვალდებულებებზე	224	75
ფინანსური ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	144	122
სხვა ფინანსური ხარჯი	113	-
სულ	**2,754**	**2,123**

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	სატვირთო და სამგზავრო მანქანები	გამოუყენებელი ძირითადი საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება							
2019 წლის 1 იანვარი	**188**	**5,169**	**4,349**	**3,870**	**-**	**1,376**	**14,952**
ზრდა შვილობილის შესყიდვის გამო	3,209	12,200	6,260	-	3,484	143	**25,296**
შესყიდვა	287	821	178	166	51	602	**2,105**
რეალიზაცია	(2)	(669)	(10)	(123)	-	(93)	**(897)**
2019 წლის 31 დეკემბერი	**3,682**	**17,521**	**10,777**	**3,913**	**3,535**	**2,028**	**41,456**
ზრდა შვილობილის შესყიდვის გამო	10	-	-	-	-	1,383	**1,393**
შესყიდვა	7,992	906	96	1,306		696	**10,996**
ტრანსფერი						(488)	**(488)**
რეალიზაცია	-	-	-	(1,242)	-	(153)	**(1,395)**
2020 წლის 31 დეკემბერი	**11,684**	**18,427**	**10,873**	**3,977**	**3,535**	**3,466**	**51,962**
დაგროვილი ცვეთა							
2019 წლის 1 იანვარი	**-**	**(554)**	**(2,552)**	**(1,447)**	**-**	**(229)**	**(4,782)**
ზრდა შვილობილის შესყიდვის გამო	-	(355)	(642)	-	-	(42)	**(1,039)**
წლიური ცვეთა	-	(362)	(1,121)	(745)	-	(188)	**(2,416)**
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	35	1	64	-	8	**108**
2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(1,236)**	**(4,314)**	**(2,128)**	**-**	**(451)**	**(8,129)**
ზრდა შვილობილის შესყიდვის გამო	-	-	-	-	-	(977)	**(977)**
წლიური ცვეთა	-	(530)	(1,216)	(923)	-	(334)	**(3,003)**
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	880	-	13	**893**
2020 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(1,766)**	**(5,530)**	**(2,171)**		**(1,749)**	**(11,216)**
წმინდა ნარჩენი ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბერი	**11,684**	**16,661**	**5,343**	**1,806**	**3,535**	**1,717**	**40,746**
2019 წლის 31 დეკემბერი	**3,682**	**16,285**	**6,463**	**1,785**	**3,535**	**1,577**	**33,327**

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰქონია სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მთლიანი ძირითადი საშუალებები წმინდა ნარჩენი ღირებულებით 12,434 ლარი და 5,434 ლარი, შესაბამისად, დაგირავებული იყო ადგილობრივი ბანკებიდან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 18).

11. საინვესტიციო ქონება

	საინვესტიციო ქონება
ღირებულება, 2019 წლის 1 იანვარი	**336**
ზრდა შვილობილის შესყიდვის გამო	953
2019 წლის 31 დეკემბერი	**1,289**
დამატება	3,241
2020 წლის 31 დეკემბერი	**4,530**
დაგროვილი ცვეთა, 2019 წლის 1 იანვარი	**(3)**
ზრდა შვილობილის შესყიდვის გამო	(24)
წლიური ცვეთა	(18)
2019 წლის 31 დეკემბერი	**(45)**
წლიური ცვეთა	(57)
2020 წლის 31 დეკემბერი	**(102)**
2020 წლის 31 დეკემბერი	**4,428**
2019 წლის 31 დეკემბერი	**1,244**

ჯგუფის საინვესტიციო ქონება შედგება ბენზინგასამართი სადგურებისგან, რომლებიც გაქირავებულია არადაკავშირებულ მხარეებზე.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი რეალური ღირებულება მიახლოვებულია საბალანსო ღირებულებათან.

12. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ ფლობილი წილები იყო:

მეკავშირე საწარმოს სახელი	**ძირითადი საქმიანობა**	**დაარსების და საქმიანობის ადგილი**	**ჯგუფის საკუთრებაში არსებული საკუთრების და ხმის უფლების პროპორცია**	
			31/12/2020	**31/12/2019**
შპს „სასტუმრო სიღნაღში“	სასტუმრო	საქართველო	30%	30%

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის მეკავშირე საწარმოებში ფლობილი ინვესტიციების მოძრაობა იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	**31 დეკემბერი 2019**
ნაშთი წლის დასაწყისში		
	5,699	5,632
შენატანები	4,365	4
მეკავშირე საწარმოს შედეგების წილი	-	63
ნაშთი წლის ბოლოს	**10,064**	**5,699**

ჯგუფის მეკავშირე საწარმოს ფინანსური ინფორმაცია შეჯამებულია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2020	**31 დეკემბერი 2019**
სულ აქტივები	45,340	19,319
სულ ვალდებულებები	(12,288)	(808)
წმინდა აქტივები/(ვალდებულებები)	33,052	18,511
ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოში ინვესტიციების წმინდა აქტივებში	**9,916**	**5,553**

ნ. ...

	2020	2019
სულ შემოსავალი	-	-
წმინდა მოგება	2	211
ჯგუფის წილი წმინდა მოგებაში	**-**	**63**

კომპანიას ჯერ არ დაუწყია საქმიანობა, რადგან სასტუმროს მშენებლობა ჯერ კიდევ პროცესშია, მაგრამ შეძლო წმინდა მოგების გენერირება მფლობელების მიერ შეტანილ ფულსა და ფულ ექვივალენტებზე საკურსო სხვაობით მიღებული მოგების შედეგად.

13. გაცემული სესხები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს გაცემული სესხების პირობები იყო:

	დაფარვის ვადა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
იურიდიული პირები - დაკავშირებული მხარე	2021-2024	9-14%	18,500	3,285
თანხა			**18,500**	**3,285**
მოკლევადიანი			2,714	-
გრძელვადიანი			15,786	3,285

სესხების ძირი და პროცენტის გადახდა მოხდება დაფარვის ვადისას.

14. მარაგები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს გაცემული მარაგები იყო:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
თამბაქოს პროდუქცია და მასალები	11,683	6,580
ღვინის პროდუქცია და მასალები	5,942	4,745
შესაფუთი მასალები	230	1,129
მიწები	606	606
სხვა მარაგები	190	80
სულ მიმდინარე მარაგები	**18,651**	**13,140**
გრძელვადიანი მარაგები	1,707	1,624
სულ მარაგები	**20,358**	**14,764**

გრძელვადიანი მარაგები მოიცავს სათადარიგო ნაწილებსა და ტექნიკური მომსახურების სახარჯ მასალებს, რომლებიც დამოუკიდებელი ერთეულებია და საჭიროებისამებრ გამოიყენება საწარმოო პროცესში.

15. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება ამოუღებელი თანხების რეზერვის გამოკლებით, იყო:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	11,749	10,692
სხვა მოთხოვნები	7	16
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(4,252)	(3,111)
სულ	**7,504**	**7,597**

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს თანხებს, რომლებიც აღიარებულია როგორც ამ გაყიდვებთან დაკავშირებული შემოსავალი, სააქციზო გადასახადი და დამატებული ღირებულების გადასახადი.

ანალიზი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ვადიანობის მიხედვით:

31 დეკემბერი 2020 (ლარი'000)	ვადაგადაუცილებელი	30 დღემდე ვადაგადაცილება	31-90 დღის ვადაგადაცილება	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
ინდივიდუალური შეფასება					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	1,399	160	146	317	2,022
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში	(2)	(2)	(2)	(121)	(127)
კოლექტიური შეფასება					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	5,673	18	42	4,001	9,734
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში	(114)	(2)	(8)	(4,001)	(4,125)
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	**7,072**	**178**	**188**	**4,318**	**11,756**
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, სულ	**(116)**	**(4)**	**(10)**	**(4,122)**	**(4,252)**

31 დეკემბერი 2019 (ლარი'000)	ვადაგადაუცილებელი	30 დღემდე ვადაგადაცილება	31-90 დღის ვადაგადაცილება	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
ინდივიდუალური შეფასება					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	1,964	1,210	299	6,538	10,011
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში	(3)	(2)	(35)	(2,847)	(2,887)
კოლექტიური შეფასება					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	312	63	182	140	697
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში	(3)	(6)	(75)	(140)	(224)
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	**2,276**	**1,273**	**481**	**6,678**	**10,708**
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, სულ	**(6)**	**(8)**	**(110)**	**(2,987)**	**(3,111)**

ნ. მეხაროვ

ჯგუფი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზარალის რეზერვს ყოველთვის აფასებს მთელი სასიცოცხლო ვადის მსზ-ის ოდენობის თანხით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე ფასდება დებიტორის დეფოლტის წარსული გამოცდილებითა და დებიტორის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ანალიზით, რომელიც დებიტორისთვის სპეციფიური ფაქტორებითა და მისი დარგის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობით კორექტირდება. მხედველობაში მიიღება აგრეთვე ანგარიშგების თარიღში ვითარების საპროგნოზო მიმართულება და არსებული ვითარება. ჯგუფმა 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე ყველა ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნის ზარალის რეზერვი 100%-ით შეფასა, რადგან ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს მოთხოვნები ამოღებას აღარ ექვემდებარება. ჯგუფმა შეაფასა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დებიტორები, რომლებიც შედგება ერთობლივ კონტროლქვეშ მყოფი საწარმოებისგან და მათი მიმდინარე ფინანსური მდგომარეობისა და საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, აღიარა ინდივიდუალური ზარალის რეზერვი.

ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნას ჩამოწერს, როდესაც არსებობს იმის მანიშნებელი ინფორმაცია, რომ დებიტორი მძიმე ფინანსურ სირთულეს განიცდის და თანხის ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს.

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია მთლიანი სასიცოცხლო ვადის მსზ-ის მოძრაობა, რომელიც აღიარებული იქნა სავაჭრო მოთხოვნებზე ფასს 9 სტანდარტში აღწერილი გამარტივებული მიდგომის შესაბამისად:

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოძრაობა
ნაშთი 1 იანვარი 2019	**137**
ზრდა შვილობილის შესყიდვის შედეგად	1,654
გაუფასურების რეზერვი	1,320
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	**3,111**
ზრდა შვილობილის შესყიდვის შედეგად	417
გაუფასურების რეზერვი	724
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	**4,252**

16. ფული და ფულის ექვივალენტები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები წარმოადგენს ვადაგადაუცილებელ ფინანსურ აქტივებს და შედგება შემდეგისგან:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში	1,581	4,443
ფული სალაროში	801	275
ფული და ფულის ექვივალენტები	**2,382**	**4,718**

17. საწესდებო კაპიტალი და დაგროვილი მოგება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ავტორიზებული და გადახდილი საწესდებო კაპიტალი გაუტოლდა 14,998 ლარს, 18,473 ლარს, შესაბამისად.

2020 და 2019 წლების განმავლობაში კაპიტალში შენატანები შეადგენდა 161 ლარსა და 2,814 ლარს, შესაბამისად.

2020 და 2019 წლების განმავლობაში მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე კაპიტალი შემცირდა 3,636 ლარითა და 2,678 ლარით. 2020 წლის განმავლობაში მოხდა 4,796 ლარის ოდენობის დივიდენდის გამოცხადება და გადახდა.

ნ. მ[illegible]

18. ნასესხები სახსრები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი ნასესხები სახსრების პირობები იყო:

ნასესხები სახსრები:	საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
უზრუნველყოფილი სესხები ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან	11%	2019-2026	20,179	11,405
სესხები დაკავშირებული იურიდიული პირებისგან	10%	2020-2024	9,304	7,039
სესხები დაკავშირებული ფიზიკური პირებისგან	11%	2018-2023	287	719
სესხები სხვა იურიდიული პირებისგან	11%	2023	723	30
სულ ნასესხები სახსრები:			**30,493**	**19,193**

ნასესხები სახსრები:	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	16,421	12,688
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	14,072	6,505
სულ ნასესხები სახსრები:	**30,493**	**19,193**

ნასესხები სახსრების მოძრაობა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში იყო:

	2020	2019
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	**19,193**	**12,006**
ზრდა შვილობილის შესყიდვის შედეგად	2,138	5,264
დამატება ძირ თანხაზე	77,565	19,504
დარიცხული პროცენტი	2,273	1,926
გადახდილი ძირი	(71,386)	(17,770)
გადახდილი პროცენტი	(1,126)	(2,239)
უცხოური ვალუტის ეფექტი	1,836	502
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**30,493**	**19,193**

19. გადასახდელი გადასახადები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის გადასახდელმა გადასახადებმა მოიცვა მოგების გადსახადის, დღგ-ს, აქციზის და სხვა საგადასახადო გადასახდელები. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება ერთიან საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხორციელდება ნეტო საფუძველზე.

20. სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებულ ავანსებს, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქტის გაყიდვებთან. ჯგუფი აღიარებს მათ, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას, სანამ საქონელი არ მიეწოდება მომხმარებელს. ჯგუფმა დაადგინა, რომ ეს კონტრაქტები შეიცავს ფინანსურ კომპონენტს. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, შესაბამისად, 224 და 75 ათასი ლარის ფინანსური ხარჯები აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

21. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა კრედიტორული დავალიანება იყო:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო გადასახდელები მომწოდებლების მიმართ	10,506	5,436
გადასახდელები წინა მფლობელების მიმართ	1,933	1,722
გადასახდელი ხელფასები	1,167	722
სხვა გადასახდელები	2,284	1,591
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**15,890**	**9,471**
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო გადასახდელი მიწის შესყიდვის გამო	5,982	-
სულ	**21,872**	**-**

ჯგუფს აქვს გადასახდელები შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიის", შპს „გეოდისტრიბუციისა" და სს „თბილისი თამბაქოს" წინა მფლობელების მიმართ კომპანიების წილების შესყიდვასთან დაკავშირებით.

2018 წლის 27 თებერვალს ჯგუფმა ხელი მოაწერა უცხოელ ინვესტორებთან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც უნდა გაეყიდა შპს „სმარტ კაპიტალ შილდას" 20%-იანი წილი და ამისთვის მიიღო ავანსი 500,000 აშშ დოლარის ოდენობით. გაყიდვის ტრანზაქცია შეჩერდა და ამასთან დაკავშირებით 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,734 ლარი და 1,338 ლარი რეკლასიფიცირებულია სხვა დავალიანებებში, შესაბამისად.

22. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ანალიზდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონით:

(1) პირველი დონე არის შეფასება კოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე,

(2) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ტექნიკა, სადაც ყველა მნიშვნელოვან მონაცემზე დაკვირვება აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში შესაძლებელია პირდაპირ (ანუ ფასებით) ან ირიბად (ანუ ფასების გავლით), და

(3) მესამე დონის შეფასება არის ისეთი შეფასება, რომელიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას იყენებს სამართლიანი ღირებულების იერარქიაზე დაფუძნებულ შეფასებებს. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულია დაკვირვებადი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვნად კორექტირება ესაჭიროება, ეს შეფასება მესამე დონისაა. შესაფასებელი მონაცემის მნიშვნელობა დგინდება სამართლიანი ღირებულების შეფასებით მთლიანობაში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ, სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა და სხვა ფინანსური აქტივების ღირებულება, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანობის გამო, სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული.

ნ. მ.

	სამართლიანი ღირებულების იერარქია	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	დონე 2	2,382	2,382	4,718	4,718
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	დონე 3	7,504	7,504	7,597	7,597
სახელშეკრულებო აქტივი	დონე 3	-	-	204	204
საიჯარო აქტივები	დონე 3	123	123	187	187
გაცემული სესხები	დონე 3	18,500	17,785	3,285	3,022

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებულგანაკვეთიანი, მითითებული ვადიანობის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება გამოთვლილ იქნა მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათს სამართლიან ღირებულებებთანაა მიახლოებული.

ფულისა და ფულის ექვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის მონაცემებით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებისა - მესამე დონის მონაცემებით.

	სამართლიანი ღირებულების იერარქია	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	დონე 3	21,872	21,872	9,471	9,471
საიჯარო ვალდებულება	დონე 3	1,940	1,940	1,007	1,007
ნასესხები სახსრები	დონე 3	30,493	30,758	19,193	19,484

კაპიტალის რისკის მართვა - ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით.

ჯგუფის ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, ჯგუფი აბალანსებს კაპიტალის ზოგად სტრუქტურას დივიდენდების გადახდით, ახალი სესხების აღებით თუ ძველი სესხების დაბრუნებით.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და სავაჭრო და სხვა გადასახდელებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება. ჯგუფის სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება და ფული და ფულის ექვივალენტები.

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ექვივალენტები	2,382	4,718
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7,504	7,597
სახელშეკრულებო აქტივი	-	204
საიჯარო აქტივები	123	187
გაცემული სესხები	18,500	3,285
სულ ფინანსური აქტივები	**28,509**	**15,991**

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	21,872	9,471
საიჯარო ვალდებულება	1,940	1,007
ნასესხები სახსრები	30,493	19,193
სულ ფინანსური ვალდებულებები	**54,305**	**29,671**

ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, გეოგრაფიული, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

გეოგრაფიული რისკი. ჯგუფის აქტივები ძირითადად საქართველოში მდებარეობს და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულადაა დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და წესრიგზე. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, ჯგუფი ექვემდებარება საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკებს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 1,903 ლარისა და 476 ლარის ოდენობით მდებარეობდა არა-ეთგო და ეთგო ქვეყნებში, შესაბამისად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 2,015 ლარისა და 188 ლარის ოდენობით მდებარეობდა არა-ეთგო და ეთგო ქვეყნებში, შესაბამისად. ჯგუფის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 315 ლარისა და 59 ლარის ოდენობით მდებარეობდა არა-ეთგო და ეთგო ქვეყნებში, შესაბამისად. დანარჩენი აქტივები და ვალდებულებები საქართველოშია.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც ჯგუფი სარგებლობს. ჯგუფის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებული ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	აშშ დოლარი 1 = 3.2766 ლარი	ევრო 1 = 4.0233 ლარი	აშშ დოლარი 1 = 2.8677 ლარი	ევრო 1 = 3.2095 ლარი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები		70	3,745	356
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		-	315	60
საიჯარო აქტივები		-	187	-
გაცემული სესხები		-	78	-
სულ ფინანსური აქტივები	**1,812**	**70**	**4,325**	**416**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	7,021	-	4,452	1,826
ნასესხები სახსრები	12,692	-	8,712	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**19,713**	**-**	**13,164**	**1,826**
სულ წმინდა პოზიცია	**(17,901)**	**70**	**(8,839)**	**(1,410)**

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს საანგარიშგებო დღეს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად კომპონენტებს:

2020 წლის 31 დეკემბერი	**აშშ დოლარი ზეგავლენა**		**ევრო ზეგავლენა**	
	ლარი/აშშ დოლარი + 20%	**ლარი/აშშ დოლარი + 20%**	**ლარი/ევრო + 20%**	**ლარი/ევრო - 20%**
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(3,580)	3,580	14	(14)

2019 წლის 31 დეკემბერი	**აშშ დოლარი ზეგავლენა**		**ევრო ზეგავლენა**	
	ლარი/აშშ დოლარი + 20%	**ლარი/აშშ დოლარი + 20%**	**ლარი/ევრო + 20%**	**ლარი/ევრო - 20%**
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(1,502)	1,502	(245)	245

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება უარყოფითად აისახება ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფზე საპროცენტო განაკვეთის შეზღუდული რისკი ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით.

<u>მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები</u>

ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი, ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობიარობა არაწრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება. მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში ჯგუფის ფინანსური

6. ...

მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და სხვა დამცავი ზომები მიიღოს. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება აქციონერთა კაპიტალის რყევა გამოიწვიოს. მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ ჯგუფის თვალსაზრისს ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი საკმარისი სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა ისიცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი. ჯგუფზე მოქმედებს საკრედიტო რისკი, რომელიც იმის რისკია, რომ კლიენტი დროულად ვერ დაფარავს ჯგუფის მიმართ არსებულ დავალიანებას. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ჯგუფზე საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზემოქმედებას. თუმცა მოთხოვნების ამოღებაზე ეკონომიკური ფაქტორები მოქმედებს, ხელმძღვანელობას აზრით, უკვე აღრიცხული რეზერვების მიღმა ზარალის დიდი რისკი არ არსებობს. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია მაღალია, რადგან კლიენტების ბაზა პატარაა და დაკავშირებულია.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ჯგუფის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც ჯგუფს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს.

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე - 1 წელი	1-5 წელი	5+წელი	სულ
31 დეკემბერი 2020						
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15,890	-	-	5,982	-	**21,872**
ნასესხები სახსრები	196	4,197	12,493	17,737	1,868	**36,491**
	16,086	**4,197**	**12,493**	**23,719**	**1,868**	**58,363**

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე - 1 წელი	1-5 წელი	5+წელი	სულ
31 დეკემბერი 2019	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე - 1 წელი	1-5 წელი	5+წელი	სულ
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9,471	-	-	-	-	**9,471**
ნასესხები სახსრები	1,855	5,220	8,655	8,148	567	**24,445**
	11,326	**5,220**	**8,655**	**8,148**	**567**	**33,916**

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს აქციონერებს, მეკავშირე საწარმოებს, ჯგუფის ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და ძირითადი მმართველი პესონალის შემადგენლობას. დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები:

6. მზარეული

	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის			
	საბოლოო აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	1,684	1	**1,685**
გაცემული სესხები	2	760	17,740	**18,502**
ნასესხები სახსრები	140	4,081	5,370	**9,591**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,932	-	2,560	**4,492**
ამონაგები	-	-	1,612	**1,612**
ფინანსური შემოსავალი	1	191	1,200	**1,392**
ფინანსური ხარჯი	10	373	354	**737**

	2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის			
	საბოლოო აქციონერი	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	6,240	98	**6,338**
გაცემული სესხები	-	942	2,343	**3,285**
ნასესხები სახსრები	616	5,191	1,951	**7,758**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	691	1,231	**1,922**
ამონაგები	-	-	2,484	**2,484**
ფინანსური შემოსავალი	-	-	43	**43**
ფინანსური ხარჯი	213	291	48	**552**

მენეჯმენტის ანაზღაურება

მენეჯმენტის ანაზღაურებამ, რაც თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებლითაა წარმოდგენილი, 2020 და 2019 წლების განმავლობაში შეადგინა 3,796 ლარის და 1,678 ლარი, შესაბამისად.

23. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები– 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა პირობითი ვალდებულებები 712 ლარისა და 712 ლარის ოდენობით, შესაბამისად. ჯგუფმა უნდა ააშენოს ბენზინგასამართი სადგურები იმ მიწაზე, რომელიც იჯარით აიღო თბილისის მერიისგან.

2020 წლის 9 ივნისს, ჯგუფმა ხელი მოაწერა საგარანტიო შეთანხმებას სს „ქართუ ბანკთან". ხელშეკრულების საგანი იყო „ვიბრო დიაგნოსტიკის" (კიდევ ერთი დაკავშირებული მხარე) ორი სესხის გარანტორის როლის შესრულება. ეს სესხები დაკავშირებულ მხარეს აღებული აქვს „ქართუ ბანკისგან" 2016 წლის 26 ივლისს და 2016 წლის 27 ივლისს, შესაბამისად. ორივე სესხს ერიცხება საპროცენტო განაკვეთი 6%-ის ოდენობით და მათი ვადა 2024 წლის 26 დეკემბრამდეა. შპს „გეოდისტრიბუციის", სს „თბილისი თამბაქოსა" და შპს „თამბაქო ჰოლდინგის" გარანტიის ლიმიტი მთლიანობაში 111,400 ლარის ტოლია. თუმცა 2020 წლის 31 დეკემბრის და ხელმოწერის თარიღის მდგომარეობით, ეს თანხა, რომლებზეც კომპანიები გამოდიან გარანტორად, შეადგენს 57,268 ლარსა და 50,468 ლარს, შესაბამისად. ამ საგარანტიო ხელშეკრულების საფუძველზე სს „თბილისის თამბაქოს" ძირითადი საშუალებები დაგირავებულია. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო ფინანსური გარანტიის სამართლიანი ღირებულების დადგენა. თუმცა, მან შეაფასა გარანტიის მფლობელის დეფოლტირების შემთხვევაში, მისი შესაძლო ეფექტი ლიკვიდობის პოზიციაზე. აღნიშნული საგარანტიო შეთანხმებით გაცემული სესხების მთლიანი მიმდინარე ნაწილი 5,500 ლარის ტოლია.

სამართლებრივი დავები . 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო პროცესში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დაურიცხავი ზარალი არ წარმოიქმნება და შესაბამისად ანარიცხი არ გაკეთებულა ფინანსურ ანგარიშგებაში. 2020 წლის სექტემბერში დაიწყო სარჩელი ჯგუფის წინააღმდეგ უფილტრო თამბაქოსთან დაკავშირებული საპატენტო უფლებების დარღვევის შესახებ და მოეთხოვა კომპენსაცია 50,000 ათასი

ლარის ოდენობით. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჩაატარა სამართლებრივი საქმის ანალიზი და დაასკვნა, რომ ზემოაღნიშნული სარჩელიდან ფულის გადინება არ არის სავარაუდო.

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანზაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. ამ წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

კოვიდ-19. 2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება ახალი კორონავირუსული დაავადება (კოვიდ-19), რომელსაც 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მიანიჭა პანდემიის სტატუსი. ბევრი ქვეყნის მიერ კოვიდ-19-ის გავრცელების შესაკავებლად მიღებული ზომები მრავალი კომპანიისათვის მნიშვნელოვან საოპერაციო შეფერხებებს იწვევს და დიდ ზეგავლენას ახდენს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. სიტუაციის სწრაფი განვითარების გამო, ამან შეიძლება ბევრ სექტორში მოღვაწე კომპანიის ბიზნესებზე იმოქმედოს, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, შეაფერხოს ბიზნესის ოპერირება საწარმოო პროცესის შეწყვეტის ან ინფრასტრუქტურის დახურვის, მიწოდების ქსელის გაწყვეტის, პერსონალის კარანტინის, შემცირებული მოთხოვნისა და დაფინანსების მოძიების გართულების გამო. შედეგად, ჯგუფზე კოვიდ-19-ის მზარდი ეფექტი შეიძლება აისახოს გლობალურ ეკონომიკაზე და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე მისი უარყოფითი ზემოქმედების გამო. ჯგუფის ხელმძღვანელობა აკვირდება ეკონომიკურ სიტუაციაში მიმდინარე ცვლილებებს და იღებს აუცილებელ ზომებს ახლო მომავალში ჯგუფის სტაბილურობისა და განვითარების ტენდენციის შესანარჩუნებლად. თუმცა, ჯგუფის ბიზნესზე კოვიდ-19-ის ეფექტის მნიშვნელობა დიდწილადაა დამოკიდებული ხანგრძლივობასა და მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის ეფექტზე. ამჟამად ჯგუფის ოპერაციების მომავალ შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე ეკონომიკური გარემოს ცვლილებების ეფექტის დადგენა რთულია.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შემდგომ პერიოდში ჯგუფის სტრუქტურაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- 2021 წელს ჯგუფმა დააარსა შვილობილი კომპანიები 100%-იანი წილის ფლობით: შპს „ჯეო ტექსტილი“, შპს „სმარტ დეველოპმენტი“, შპს „ჰილ საიდ დეველოპმენტი“ და შპს „სმარტ ჰოთელ მენეჯმენტი“.
- 2021 წელს ჯგუფმა გაყიდა მისი წილები „ჯორჯიან როუდ ქონსთრაქშენ ჯგუფსა“ და „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთში“.

2021 წელს ჯგუფმა გააკეთა დამატებითი ინვესტიცია შპს „სასტუმრო სიღნაღში“ 2,583 ლარის ოდენობთ.

ხელმოწერის თარიღისთვის თანხა, რომელზეც ჯგუფი წარმოადგენს გარანტორს, შეადგენდა 50,468 ლარს.

25. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ დაამტკიცა და გამოსაშვებად ნება დართო 2021 წლის 8 ნოემბერს.

ნ. ...

ჯგუფის ბიზნესის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შპს „სმარტ კაპიტალ გრუპი“ („კომპანია“) დაარსდა 2014 წლის 2 აგვისტოს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო და შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო კოდით 404444703. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია გერგეთის ქუჩა #3. კომპანია და მისი შვილობილები („ჯგუფი“) კონსოლიდირებულია ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის აქტივები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, მათ შორისაა ხუთი ძირითადი სექტორი: ენერგეტიკა და ნავთობი, უძრავი ქონების და სასტუმროების განვითარება და მენეჯმენტი, სტუმართმოყვარეობის მენეჯმენტი, ტექნოლოგია, წარმოება და ლოჯისტიკა.

ჯგუფის სტრუქტურა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

დასახელება	ჯგუფის ქვეშ შესვლის თარიღი	წილი 31 დეკემბერი 2020	წილი 31 დეკემბერი 2019	საქმიანობის ტიპი
შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენი“ და მისი შვილობილები	12 იანვარი 2018	100%	100%	წარმოება და დისტრიბუცია
შპს „სმარტ კაპიტალ სფირითსი“ და მისი შვილობილები	8 აპრილი 2014	100%	100%	წარმოება და დისტრიბუცია
შპს „სმარტ ქონსალთენსი“	26 მარტი 2019	100%	100%	საკონსულტაციო მომსახურება
შპს „კლარენ ჯორჯია“	6 აგვისტო 2014	100%	100%	მანქანების გაქირავების სერვისი
შპს „სმარტ ტრეიდინგი“	5 მაისი 2015	60%	60%	უძრავი ქონება
„რეალ ესთეით აჭარა“ და მისი შვილობილი	20 ნოემბერი 2017	100%	100%	უძრავი ქონება
„სკ რეალ ესთეით და დეველოფმენთი“ და მისი შვილობილი	8 იანვარი 2018	100%	100%	სიღნაღში მაღალი დონის სასტუმროს მშენებლობა და ოპერირება
„სმარტ ენერჯი“ და მისი შვილობილები	2 ივნისი 2017	100%	100%	საწვავის ტრანსპორტირების სერვისი და ბენზინგასამართი სადგურების გაქირავება
„სმარტ კაპიტალ ჰოსფითალითი“ და მისი შვილობილები	26 მარტი 2019	100%	100%	მაღალი დონის რესტორნების ოპერირება
შპს „ ინოვეიშენ ტექნოლოჯი“	21 მარტი 2018	100%	100%	ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისი
შპს „სმარტ კაპიტალ ტექნოლოჯი“	26 აგვისტო 2019	100%	100%	ტექნოლოგიური სერვისები
შპს „სმარტ ლოჯისტიკსი“	18 ივნისი2014	55%	55%	ლოჯისტიკა
შპს „თბილმოტორსი)	8 ივლისი 2020	100%	50%	უმოქმედო

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი პირები იყვნენ ივანე ჩხარტიშვილი, ნათია ჩხარტიშვილი და მიხეილ ჩხარტიშვილი 51%, 24.5% და 24.5% წილების შესაბამისად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი იყო მიხეილ ჩხარტიშვილი.

2018 წლის 22 იანვარს კომპანიამ დააფუძნა ერთობლივი საწარმო შპს „თამბაქო ჰოლდინგი“ 50%-იანი წილით. 2019 წლის 9 სექტემბერს 5%-იანი წილი გადაეცა შპს „ჯორჯიან რეალ ესთეით ჯგუფს“.

2019 წლის 7 მარტს კომპანიამ სს „თბილისის თამბაქოს“ 42,5% აქცია შეიძინა. დამატებითი 7,5% აქციები შეიძინა 2019 წლის 5 აპრილს. 2019 წლის 4 ივნისს კომპანიამ მოიპოვა კონტროლი თბილისის თამბაქოს სს და გახდა კომპანიის 100% აქციონერი.

2019 წლის 23 ოქტომბერს კომპანიამ შეიძინა ერთობლივი საწარმოს - შპს „გეოდისტრიბუციის“ აქციების 50%. გეოდისტრიბუცია ეწევა სს „თბილისის თამბაქოსგან“ შემენილი თამბაქოს ნაწარმის დისტრიბუციას.

2018 წლის 12 იანვარს შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენის“ დაფუძნება და სს „თბილისის თამბაქოს“ დარჩენილი წილების შეძენა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ განიხილება, როგორც ჯგუფის ფორმირება საერთო კონტროლის ქვეშ, რადგან იმ სუბიექტების ამჟამინდელი საბოლოო მფლობელი, ბ-ნ მიხეილ ჩხარტიშვილს წილი ჰქონდა სს „თბილისის თამბაქოში“ ამ ტრანზაქციებამდეც.

2018 წლის 25 იანვარს ჯგუფმა დააფუძნა შვილობილი, შპს „სმარტ კაპიტალ შილდა“, რომელმაც 2018 წლის 30 იანვარს ჯგუფმა შეისყიდა 100%-იანი წილი შემდეგ ორ კომპანიაში: შპს „თელავი დისტილერი“ და შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანია“ .

2018 წლის 23 მაისს ჯგუფმა დააფუძნა შვილობილი - შპს „შილდა ტურიზმი“, რომელიც აქვს ტურისტული სერვისები.

2020 წლის განმავლობაში ჯგუფმა დააფუძნა შვილობილი კომპანია - შპს „კახეთი დისტილერი“ (100%), რომელსაც ჯერ არ დაუწყია აქტიური ოპერაციები და ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში - შპს „შილდა დისტილერი“ (50%) და შპს „ღვინის კულტურა“ (50%).

6 ჰა მიწის ნაკვეთზე განთავსებულია:
- შილდა ღვინის ქარხანა
- შილდას ალჰოკოლური სასმელების ქარახანა
- შილდას ჩამოსასხმელი ხაზი
- შილდას ტურისტული ცენტრი და ღვინის დეგუსტაციის ფართი

ჯგუფის წარმოება ფრანგული და იტალური შეიარაღებითა წარმოდგენილი. მისი წლიური წარმადობა შვიდი მილიონი ბოთლია, ხოლო 52 ავზში 1,500,000 ლიტრი ღვინისა და 450,000 ლიტრი კონიაკის შენახვა შეიძლება. მეღვინეობის მთავარი მიზანია მაღალი ხარისხის შენარჩუნება საუკუნოვანი ცოდნისა და ინოვაციების კომბინირების საფუძველზე.

2020 წლის დეკემბერში საბოლოო მფლობელების სტრუქტურა შეიცვალა შემდეგნაირად: ივანე ჩხარტიშვილი ფლობს 51%-ს, მიხეილ ჩხარტიშვილი და ნათია ჩხარტიშვილი ფლობენ 24.5% და 24.5% წილებს, შესაბამისად.

თამბაქოს ნაწარმი

2019 წლის მეორე ნახევარში სააქციზო გადასახადი საგრძნობლად გაიზარდა, რამაც შეამცირა ხელმისაწვდომობა სიგარეტსა და მისი ბაზარი. ამ გამოწვევას ჯგუფმა წარმატებით უპასუხა დაფასოებული თამბაქოს წარმოებით, რომელიც პირველი იყო ბაზარზე. ჯგუფი ყიდის სხვადასხვა ხარისხისა და ფასის თამბაქოს. ქვემოთ ჩამოთვლილია თამბაქოს ძირითადი პროდუქტები:

თამბაქო პირველი – ეს პროდუქტი ბაზარზე წარმოდგენილ იქნა 2019 წლის ნოემბერში. იგი წარმოდგენილია ორი მარკით - წითლითა და ლურჯით და ორი - 50 გრ და 100 გრ შეფუთვით. ეს თამბაქო გამოირჩევა უნიკალური გემოთი და ხელმისაწვდომი ფასით და არის მაღალი ხარისხისა და გონივრული ფასის დაბალანსების კარგი მაგალითი.

თამბაქო რიო - ეს პროდუქტი ბაზარზე გამოჩნდა 2019 წლის ნოემბერში. იგი წარმოდგენილია ორი - 50 გრ და 100 გრ შეფუთვით. რიოს უნიკალურმა ბლენდმა უზრუნველყო მისი სწრაფი გავრცელება საქართველოს ბაზარზე.

6. [illegible]

თამბაქო ამერიკან გოლდი - ეს პროდუქტი ბაზარზე გამოჩნდა 2019 წლის დეკემბერში. იგი წარმოდგენილია ორი - 50 გრ და 100 გრ შეფუთვით. კონკურენტულმა ფასმა და მაღალი ხარისხის თამბაქომ თავიდანვე მიიზიდა ბევრი მწეველი.

თამბაქო ბრიტიშ როიალი - ეს პროდუქტი ბაზარზე გავიდა 2020 წლის ივლისში. იგი წარმოდგენილია ორი - 50 გრ და 100 გრ შეფუთვით. ბრიტიშ როიალი უმაღლესი ხარისხის თამბაქოა და ბაზარზე გასვლისთანავე დიდი პოპულარობა შეიძინა.

სიგარეტი

„პირველი“ სიგარეტის პირველი ქართული ბრენდია. პროდუქტის მაღალი ხარისხისა და მთელ ქვეყანაში ხელმისაწვდომობის გამო მან მკვიდრად მოიკიდა ფეხი ბაზარზე და დიდი რაოდენობის ერთგული მწეველი ჰყავს.

„პირველი ინტერ რედი“ – „პირველი ინტერი“ საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი ბრენდია და პირველია, რომელიც კლიენტებს ჯგუფმა შესთავაზა. იგი წარმოდგენილია „პირველი ინტერ რედითა“ და „პირველი ინტერ ბლუთი“. ეს ორი მარკა კონსისტენტურობით განსხვავდება.

„პირველი პრემიუმ ბლუ“ – „პირველის“ ბრენდი „პირველი პრემიუმის“ შემოტანით გაფართოვდა. მაღალი ხარისხის თამბაქოსა და ბრენდის მაღალი სანდოობის წყალობით „პირველი პრემიუმმა“ სწრაფად მოიპოვა ერთგული მომხმარებლები და გახდა ქართული ბაზრის ერთერთი ყველაზე წარმატებული ბრენდი.

ჯგუფის სადისტრიბუციო ქსელი მთელ ქვეყანას მოიცავს და მისი პროდუქტები ყველა რეგიონშია წარმოდგენილი. სადისტრიბუციო მომსახურებას ექსკლუზიურად უზრუნველყოფს შპს „გეოდისტრიბუცია“. არსებული პროდუქტების მუდმივი გაუმჯობესება და ახალი ბრენდების შემოტანა, რომლებიც მომხმარებელთა მოთხოვნებს შეესაბამება, კორპორატიული მმართველობითი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია.

კომპანია კონკურენციას უპირველეს ყოვლისა პროდუქციის ხარისხის, ბრენდის აღიარების, ბრენდის ლოიალობის, გემოვნებისა და საცალო ფასის საფუძველზე.

ჯგუფის სტრატეგია წარმოადგენს მაღალი ხარისხის თამბაქოს ნაწარმის დამზადება და კლიენტებისათვის მიყიდვა. ამ მიზნის მისაღწევად ჯგუფს მაღალი ხარისხის თამბაქოს ფოთლები შემოაქვს მსოფლიოს წამყვანი მომწოდებლებისგან.

ჯგუფის 2020 და 2019 წლების შედეგები იყო შემდეგი:

	2020	2019
ამონაგები	**108,137**	**17,242**
მთლიანი მოგება	**27,196**	**6,394**
წმინდა მოგება	**16,706**	**26,449**
მთლიანი მოგების მარჟა (%)	**25%**	**37%**

2020 წელს შემოსავლების ზრდა გამოწვეულია შპს „გეოდისტრიბუციის“ შესყიდვით, რომელიც თამბაქოსა და სიგარეტის დამზადება-გაყიდვითაა დაკავებული.

2020 წელს ჯგუფმა მოიპოვა სრული კონტროლი შპს „თამბაქო ჰოლდინგსა“ და შპს „გეოდისტრიბუციაზე, რათა დაესრულებინა თამბაქოს კომპანიების ფორმირება ერთი ჯგუფის ქვეშ.

ღვინის პროდუქცია

ამჟამად ჯგუფი აწარმოებს ოცზე მეტი დასახელების ღვინოს, კონიაკს და ქართულ ტრადიციულ სასმელს - ჭაჭას ორი ხაზის გამოყენებით:

ბ. ...

- კაკაბაძის ხაზი - ღვინის ეტიკეტზე გამოსახულია ცნობილი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის (1889-1952) ფერადი პეიზაჟები. ჯგუფს აქვს ექსკლუზიური უფლება დავით კაკაბაძის ნახატების ეტიკეტზე რეპროდუცირებასთან დაკავშირებით მხატვრის ოჯახის თანხმობით.
- რუსთაველის ხაზი - იწარმოება პრემიუმ ტიპის ღვინოები: ცოლიკაური, შარდონე, კრახუნა, ქვევრის საფერავი, უსახელოური

შპს „თელავი დისტილერმა“ და შპს „ქართული ვაზისა და ღვინის კომპანიამ“ გაყიდვები 2017 წელს დაიწყეს და ერთ წელიწადში მიაღწია წელიწადში 1 მილიონი ბოთლის გაყიდვების მოცულობას. კერძოდ:

- გაყიდვების 76% (571,000 ბოთლი) მოდის რუსეთზე;
- გაყიდვების 9% (203,000 ბოთლი) მოდის ჩინეთზე;
- გაყიდვების 5% (118,600 ბოთლი) მოდის ბრაზილიაზე;
- გაყიდვების 10% (107,400 ბოთლი) მოდის ევროპის ბაზარზე.

კომპანიის უმსხვილესი კლიენტები არიან რუსეთიდან („ვინისტილი“, „ალიანტა გრუპი“, სავაჭრო სახლი „რუსიმპორტი“) და ჩინეთიდან („შანგჰაი ქი პან ტრეიდინგ კო“, „აგრიქალჩარ გრუპი“, „ფოშან ბლექ სი ვაინ კო“).

ჯგუფის გაყიდვების უდიდესი ნაწილი ხორციელდება კრედიტით. კრედიტის ვადები კლიენტებთან წულიდან 60 დღემდე მერყეობს. ჯგუფში არის უიმედო მოთხოვნების დასაფარი ნაშთები, რომელთა რეზერვირება მოხდა კომპანიის უიმედო მოთხოვნების ანარიცხების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მომწოდებლებთან კრედიტის ვადა ნულიდან 45 დღემდე მერყეობს.

მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები, წარმოების მიზანი და ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა

მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

	რისკისა და განუსაზღვრელობის განმარტება	ხელმძღვანელობის პასუხი
1	სავალუტო რისკი - საქონლის ნაწილის ყიდვა-გაყიდვა ხდება უცხოურ ვალუტაში. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო არსებობს პოტენციური ზარალის რისკი. ამ ფაქტის გამო, პრობლემატურია აგრეთვე ფასის კორექტირება.	ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებას, ადგენს მოკლე და გრძელვადიან მოლოდინებს და შესაბამისად გეგმავს ყოველთვიურ და ყოველწლიურ ბიუჯეტებს.
2	პოლიტიკური რისკები - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტების მოთხოვნაზე, შემოსავლებსა და მოგებიანობაზე.	ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება პოლიტიკურ მოვლენებს, რათა განჭვრიტოს პოტენციური შედეგები და გააკეთოს აუცილებელი და ადეკვატური ცვლილებები.
3	კოვიდ-19-ის რისკი - ბიზნესის ოპერაციების შეწყვეტა წარმოების შეწყვეტის ან ობიექტების დახურვის გამო. მიწოდების ქსელის ჩავარდნამ, პერსონალის კარანტინმა შეამცირა მოთხოვნა და გაართულა დაფინანსების მოზიდვა.	მენეჯმენტი ყველა ზომასა და ჯანდაცვის ორგანიზაციების რეკომენდაციას ახორციელებს იმისათვის, რათა ოპერაციები შესაბამისობაში იყოს კოვიდ-19-თან დაკავშირებულ სამართლებრივ მოთხოვნებთან და ჯგუფს არ მოუხდეს ოპერირების შეწყვეტა.
4	აქციზიანი სიგარეტების მოხმარება კვლავაც მცირდება-ეს შემცირება მრავალი ფაქტორითაა გამოწვეული, მათ შორისაა გაზრდილი გადასახადები და ფასები, მთავრობის აქტები, მოწევის მიმართ შემცირებული სოციალური ტოლერანტობა, უწყვეტი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური განუსაზღვრელობა. სიგარეტს მაღალი გადასახადი ერიცხება. შემოთავაზებული და უკვე აღსრულებულია სიგარეტთან დაკავშირებული გადასახადების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც სავარაუდოდ მრავალ იურისდიქციაში კვლავაც გაგრძელდება. გადასახადების ზრდამ შეიძლება არაპროპორციულად იმოქმედოს ჩვენს მომგებიანობაზე და ნაკლებ კონკურენტულები გაგვხადოს საბაზრო მეტოქეების მიმართ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება მოხმარების ტენდენციას და გეგმავს ხარისხის შენარჩუნებასა და ახალი პროდუქტების შემოტანას საბაზრო წილის გაზრდისა და კონკურენტულობის შენარჩუნების მიზნით.	მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება მოხმარების ტენდენციას და გეგმავს ხარისხის შენარჩუნებას და პროდუქციის ახალი ასორტიმენტის დანერგვას ბაზრის წილის გაზრდისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. მენეჯმენტი ახორციელებს გაყიდვების ყოველდღიურ ანალიზს და აკეთებს პროგნოზებს სიგარეტთან დაკავშირებულ გადასახადებისთვის, რათა შეიმუშაოს მდგრადობის გეგმა მომავალი პერიოდებისთვის.

მომავალი პერსპექტივები

ჯგუფის ოპერაციებზე კოვიდ-19-ის რეგულაციებზე მნიშვნელოვნად არ უმოქმედია. ჯგუფი ყველა რეკომენდაციასა და რეგულაციას ასრულებს, რათა მის ოპერაციებს შეწყვეტის საფრთხე არ დაემუქროს. ჯგუფი გეგმავს პორტფელის გაფართოებას საერთაშორისო ბაზრებზე მორგებული პროდუქტების შემუშვებით, რაც, მისი აზრით, გაზრდის ბაზარზე ჯგუფის წილს და მისაღებ შემოსავალს.

ალკოჰოლურ პროდუქტებზე მოთხოვნა იზრდება. კომპანიას დაგეგმილი აქვს, 2021 წლისათვის წელიწადში 1.5 მილიონი ბოთლის გაყიდვებს მიაღწიოს და შემდგომ წლებში ეს რიცხვი კიდევ უფრო გაზარდოს.

ჯგუფი გეგმავს ვენახების გაშენებას მარაგების თვითღირებულების შემცირებისა და მთლიანი მარჟის გაზრდის მიზნით. ვენახების გაშენება უკვე დაწყებულია.

თარჯიმანი: ნინო მახარაძე

ნინო მახარაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N211275008
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.11.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**გიორგი ჭიტაშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა #38**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	31850156348621

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსი გიორგი ჭიტაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ს. ცინცაძის ქ. №38, ვამოწმებ დიპლომირებული მთარგმნელის ნინო მახარაძის (დაბ. 21.03.1991 წელს, პირადი № 01024079993, რეგ. მისამართზე: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 35ბ, ბინა 9, დიპლომის ნომერი HSG # 000131) ხელმოწერის ნამდვილობას. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას. ხელმომწერის ვინაობა და ქმედუნარიანობა შემოწმებულია.

I, the notary Giorgi Chitashvili, whose notary office is located at the address: Tbilisi, №38 S. Tsintsadze Street, notarize herewith the authenticity of signature of certified translator **Nino Makharadze** (born on 21.03.1991, personal # 01024079993, reg. adress: Tbilisi, Al.Kazbegi avenue, #35b, ap. # 9, Diploma № HSG # 000131). The translator is warned about her responsibility for the correctness of the translation and she guarantees the correctness of the translation. Identity and effectiveness of the signer person are checked.

გადახდილია საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად, 96.00 ლარი, აგრეთვე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 2.00 ლარი, სულ 98.00 ლარი.

Fee is paid, 96.00 Gels according to the article 31 of Georgian Government Resolution №507 "On approval of notary action fee and volume of fees established for Notary Chamber of Georgia, the rules of its payment and service period", as of 29.12.2011; and also 2.00 Gels, fee for registration of the notary action in the electronic register according to the article 39 of the same resolution, totally 98.00 Gels.

ნოტარიუსი: გ. ჭიტაშვილი
Notary: G. Chitashvili